

ბიულეტენი

№ 41
2000
აპრილი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

☐

თურქეთ-ავროკავშირის
ურთიერთობა

☐

კავკასიის უსაფრთხოების
პერსპექტივები. „მშვიდობიანი კავკასია?“

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

C 01 - 01533

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

მამუკა კომახია

თურქეთ-ავროკავშირის ურთიერთობა 2

შოთა შტიგვილი

**კავკასიის უსაფრთხოების
პერსპექტივები. „გვიდობიანი კავკასია?“37**

‘Perspektiven der Kaukasussicherheit. ‘Friedlicher Kaukasus?’

Auflage: 1200
Verfasser: Zentrum für strategische Forschungen und Entwicklung Georgiens
Seitenzahl: 62
Sprache: Georgisch; englische und russische Annotationen
Originaltitel: ‘Kawkasiis usaprtchoebis perspektivebi. mschwidobiani kawkasia?’



თურქეთი-საქართველოს ურთიერთობები

■ მამუკა კობახიძე

თურქეთი ლა პერსა II მსოფლიო (1939-1945)

თურქეთი ერთდერითი სექულარული და დემოკრატიული ქვეყანაა ისლამური სამყაროდან, რომელიც ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ისტორიულად თურქეთმა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა. თურქული კულტურის გავლენა რეგიონზე დღესაც იგრძნობა.

თურქეთმა თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების „ვესტერნიზაცია“ ჯერ კიდევ XIX-ე საუკუნიდან დაიწყო. დასავლური სტანდარტებზე გადასვლა „თანზიმათის“ პერიოდით (1839-1877) იწყება, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ ევროპის სხვა დასხვა ქვეყნებიდან დასავლური კანონების გამოღება და ინსტიტუტების დანერგვა დაიწყო. ქრისტიანულ უმცირესობებს საკუთარი რელიგიური ავტონომიური ადმინისტრაციების შექმნის უფლება მიეცათ. ამ ლიბერალური დასავლური რეფორმების კულმინაცია კონსტიტუციის გამოცხადება და პარლამენტის მოწვევა (1876-78) იყო.

1877-78 წლებში რუსეთთან ომის დროს დასავლეთის იმპერიები ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდნენ, რამაც ოსმალთა იმპერიაში დასავლური გავლენის წინააღმდეგ ძლიერი ისლამური რეაქცია სახელმწიფო პოლიტიკად ოჯცია. დასავლეთის მიერ ოსმალთა იმპერიის ინტერესების უგულვებელყოფა იმპერიის საგარეო პოლიტიკური ვექტორი გაგრძელდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული მოვლენები მუსტაფა ქემალ ათათურკის მეთაურობით თურქეთის რესპუბლიკის შექმნით დასრულდა. ათათურქმა და დიდი ეროვნულ ასამბლეაში მისმა მომხრეებმა ქვეყნის სრული ვესტერნიზაცია თურქეთის ევროპულ ერთობა ოჯახში განეკრიბნენ უზენაეს პრინციპად გამოაცხადეს. ათათურქის დასავლური პოლიტიკა პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში გატარებული რეფორმებმა შეუქცევადი გახდა. ათათურქის მიერ დაწყებული ტრადიციული საზოგადოებრივი დასავლური ყიდიის სახელმწიფოსა და ერის ჩამოყალიბებისაკენ მიმართული პოლიტიკა II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებთან

ოფიციალური შეთანხმებების გაფორმებაში გააღიზარდა.

თურქეთი ლა პერსა II მსოფლიო (1945-1949)

II მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი საკუთარ თავს დასავლური სამყაროს წაწილად მიიჩნევდა. გარდა ამისა, თურქეთი გახდა გაეროს დამფუძნებელი სახელმწიფო, ნატოს, ევროპის საბჭოს წევრი და დასავლეთ ევროპის კავშირის ასოცირებული წევრი. თურქეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპის კონტინენტზე დაცვაში. ცივი ომის პერიოდში ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობა ანკარის საგარეო პოლიტიკის პრინციპული ელემენტი გახდა. ანკარის ევროპისაკენ სწრაფვის ლოგიკური გამოხატულება იყო თურქეთის ევროპის ეკონომიკურ კავშირში განეკრიბნენ სურვილი.

ანკარის შეთანხმება

ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნიდან (1958) ძალიან მოკლე პერიოდში, 1959 წლის ივლისში თურქეთმა კავშირში განეკრიბნენ პირველი განაცხადი გააკეთა. იმავე წელს კავშირმა თურქეთს განეკრიბნენ ასოცირებული ურთიერთობა შესთავაზა. ორმხრივი მოლაპარაკებები 1963 წლის 12 სექტემბერს ანკარის შეთანხმების (თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის ასოციაციის შექმნის შეთანხმება) ხელმოწერით დასრულდა. ამ შეთანხმებით თურქეთ-ევროპის კავშირის ურთიერთობის ისტორია დაიწყო. შეთანხმება ძალაში 1964 წლის 1 დეკემბერს შევიდა. ასოცირებულ წევრობას თურქეთისათვის ევროპის ეკონომიკურ კავშირში სრული განეკრიბნება უნდა მოეტანა. შეთანხმების არსი ეტაპობრივად (3 ეტაპი) საბაჟო კავშირის შექმნა იყო. ეს უკანასკნელი კავშირსა და თურქეთის შორის ინტეგრაციის საშუალებად უნდა ქცეულიყო.

ანკარის შეთანხმებით პროგრესული მეთოდით და ჩამოყალიბებული საბაჟო კავშირი, რაც მხარეებს ეკონომიკურ და საეკონომიკურ სფეროებში დაახლოებდა. ამავე დროს, კავშირი თურქეთს ფინანსურად უნდა დახმარებოდა. პირველი ფინანსური პროტოკოლით, რომელიც 1963-70 წლებს მოიცავდა, ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთს 175 მილიონ ეკიუს სესხი

გამოუყო. სატარიფო კვრებებით დაწესებულმა საეკონომიკურ შეღავათებმა მოლოდინი სრულად ვერ გაამართლა. 1972 წელს კავშირის წილი თურქეთის იმპორტში 1963 წელს 29%-დან, 1972 წელს 42%-მდე გაიზარდა.

გარდა ამისა, ანკარის შეთანხმება ითვალისწინებდა მხარეებს შორის პროდუქციის, ადამიანების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. თუმცა, თურქეთი ევროპის ეკონომიკური კავშირის გადამწყვეტილების მიღების მექანიზმიდან გამოთიშეს. მეორე და მესამე ფინანსური პროტოკოლის ხელი 1970 და 1977 წლებში მოეწერა. ანკარის შეთანხმებამ ასევე დააფუძნა ასოციაციის საბჭო, რომელიც რეგულარულად იკრიბებოდა და ასოციაციის მუშაობის შესახებ მხჯელობდა.

დამატებითი პროტოკოლი

საბაჟო კავშირის შექმნისაკენ კიდევ ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი იყო 1970 წლის 23 ნოემბერს დამატებითი პროტოკოლის ხელმოწერა. პროტოკოლი ძალაში 1973 წლის 1 იანვარს შევიდა. ევროპის ეკონომიკურ კავშირს თურქეთთან იმპორტზე (ზოგიერთ პროდუქტზე გამოწვევის გარდა) ტარიფები და რაოდენობრივი ბარიერები უნდა გაეუქმებინა. თავის მხრივ, თურქეთმა პასუხისმგებლობა აიღო, ევროკავშირის ეკონომიკურ სფეროში არსებული ნორმების შესაბამისად, თურქული კანონმდებლობის პარამონიზაცია მოეხდინა. ამისათვის შეიმუშავეს 12 და 22 წლიანი კალენდრული გეგმა. გარდა ამისა, დამატებითი პროტოკოლი მხარეებს შორის ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების საშუალებას იძლეოდა.

დამატებითი პროტოკოლით თურქეთის სოფლის მეურნეობის ექსპორტს ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა. 1971 წელს ამ რეგიონისაგან სარგებელი თურქეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 92%-მა მიიღო. მიუხედავად ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების, როგორებიცაა საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი, არსებობდა და კავშირსა და ზოგიერთ სხელთაშუაზღვისპირა ქვეყანასთან პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების გაფორმების, თურქეთი დღესაც კავშირის ყველაზე უფრო პრივილეგირებული საეკონომიკური პარტნიორია.

დამატებითი პროტოკოლით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული განხორციელების შემთხვევაში (პროდუქციისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება და თურქეთის მიერ სხვადასხვა სფეროში კანონმდებლობის ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრ-ქვეყნების კანონმდებლობასთან პარამონიზაცია) დასახული მიზნის მიწოდება 22 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდებოდა.

თურქეთის ბანაცხადი ევროკავშირში გააუმჯობესა

1980 წლის 24 იანვარს თურქეთმა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა საბაჟო ეკონომიკის პრინციპის რეალიზაციისაკენ მიმართა. 1980 წელს თურქეთში მომხდარი საშემდრო გადატრიალების შემდეგ კი, ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთთან ურთიერთობის გაყინვა დაიწყო ფინანსური პროტოკოლის დახლოება გადამწყვეტი. ურთიერთობის დარეგულირება მხოლოდ 1983 წელს საშუალო ხელისუფლების აღდგენისა და ეკონომიკის სფეროში გატარებული რეფორმების შემდეგ გახდა შესაძლებელი. თუმცა, ამის მიუხედავად, კავშირმა მეოთხე ფინანსური პროტოკოლი არ დამტკიცა.

ორმხრივი ურთიერთობის დარეგულირების ფონზე 1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა კავშირში განეკრიბნება განაცხადი შეიტანა. ევროპის ეკონომიკური კავშირის შეთანხმების 237-ე მუხლის თანახმად, ამის გაკეთების უფლება ყველა ევროპულ ქვეყანას ჰქონდა. საბჭომ თურქეთის განაცხადი იმეორე წლის 27 აპრილს დასკვნის მოსაზრებით დააბრუნა. ამის მიხედვით, რომ მაროკო ევროპული ქვეყანა არ იყო.

კომისიამ თავის დეკლარაციებში თურქეთის ევროკავშირში განეკრიბნების შესახებ შედეგების გამოხატულება ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება დაავალა.

კომისიის განაცხადებით, ქვეყნებთან ღია მოლაპარაკების დაწყება უნდა ეფუძნებოდეს მტკიცე იმედს იმისა, რომ შედეგები პოზიტიური იქნება. კომისიის დარწმუნებული უნდა ყოფილიყო იმაში, რომ კანდიდატი ქვეყანა აკმაყოფილებდა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში არსებულ ნორმებს და ახალი წევრის მიღებით ევროკავშირის დამატებითი პრობლემები არ შეექმნებოდა. ორივე შემთხვევა თურქეთის განსაკუთრებით ესადაგებოდა. პირველი, თურქეთი უზარმაზარი გეოგრაფიული რეგიონი იყო, ევროკავშირის წევრების მიერ წევრ-ქვეყანაზე მეტი მოსახლეობით და მეორე, მისი განვითარების დონე საერთაშორისო დონეზე შესაბამისად დაბალი იყო. ეს ორი ფაქტორი, თურქეთის სანაწილმდევროდ მუშაობდა.

კომისიამ თავისი დასკვნა 1989 წლის 18 დეკემბერს მოამზადა. მასში ნათქვამი იყო, რომ „არსებულ პირობებში თურქეთთან განეკრიბნების შესახებ მოლაპარაკების დაწყება სასარგებლო არ იქნებოდა“. კომისიამ მოიყვანა, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზები. კომისიამ ასევე აღნიშნა საბერძნეთისა და თურქეთის შორის დავის „ნეგატიური ეფექტი“ და „კვიპროსში არსებული მდგომარეობა“.

ევროპიკური მიზეზების დასახელებისას კომისიამ საზოგადოებას ამ სფეროში გარკვეულ პროგრესსაც. 1980 წლიდან მოყოლებული

მოიღონა შიდა პროდუქტმა შესაძენებელ მომ-
მატა. ექსპორტი გაიზარდა და მისი სტრუქტურა
უფრო დივერსიფიცირებული გახდა. ექსპორტის
80% სამრეწველო პროდუქტებზე მოდიოდა.
გაუმჯობესდა ეკონომიკური ინფრასტრუქტურა:
გზები, ელექტროგაყვანილობა, სატელეფონო
ხაზები, ავიალია, ირიგაცია.

თუმცა, კომისიამ ეკონომიკის სფეროში
გამოყოფის 4 ძირითადი პრობლემა, რომლებიც
თურქეთის დაუყოვნებლივ უნდა გადაეწყვიტა:

- სტრუქტურული უთანასწორობა სოფლის
მეურნეობასა და მრეწველობაში;
- მაკროეკონომიკური დისბალანსი;
- სამრეწველო პროდუქციაზე მაღალი ხარის-
ხის პროტექციონიზმი;

სოციალური დაცვის დაბალი ხარისხი.
დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ კომისიას
„სჯერა, რომ ევროპის თანამეგობრობამ უნდა
გააგრძელოს თურქეთთან თანამშრომლობა, რათა
თურქეთის ევროპასთან დაახლოებას ხელი შეუ-
წყონ“. კომისია ასევე აცხადებდა, რომ „თანამე-
გობრობას დიდი ინტეგრირება აქვს თურქეთთან
ურთიერთობა მაღალტექნოლოგიური და პოლიტიკური და
ეკონომიკური მაღალტექნოლოგიის პროცესის სწრაფ
დასრულებაში დაეხმაროს“.

1990 წლის 5 თებერვალს კომისიის დასკვნა
საბჭოთა დაამტკიცა, რომელიც თურქეთის განე-
რიანების პერსპექტივას შესაფერისი გარემოს
შექმნის შემდეგ აძლევდა. თურქეთის განე-
რიანებაზე უარის გასამართლებლად მოყვანილი
იყო ევროპის თანამეგობრობაში არსებული შიდა
ვითარება, რაც იმ ეტაპზე კავშირის გაფარ-
თოვნებას მიუღებლად მიიჩნეოდა. წინასწარი
პროგნოზით, მრავალმხრივი თანამშრომლობის
პროგრამების განხორციელებას ინტეგრაციისა-
თვის ხელი უნდა შეეწყოს და საბჭოთა კავშირის
გაფორმება 1995 წლისათვის დაესრულებინა.

1990 წლის 7 ივნისს კომისიამ მიიღო წინა-
დადებათა პაკეტი, რომელიც ე.წ. „მატუტეს პაკე-
ტის“ სახელით არის ცნობილი. იგი შეიცავდა
საბჭოთა კავშირის შექმნის დასრულების, ფინან-
სური თანამშრომლობის აღდგენისა და გააქტიუ-
რების, სამრეწველო და ტექნოლოგიური თანამ-
შრომლობის მხარდაჭერისა და პოლიტიკური და
კულტურული კავშირების გაძლიერების ზუსტებს.
საბჭოთა პაკეტი საბერძნეთის წინააღმდეგობის
გამო არ დაამტკიცა.

საბაჟო კავშირი

1987 წელს კავშირში განცხადებაზე
განაცხადის წარდგენის შემდეგ თურქეთმა დამა-
ტებითი პროტოკოლით გათვალისწინებული
საბაჟო შეზღუდვების პერიოდული გაუქმება
დაიწყო. 1995 წლის 6 მარტს ევროკავშირისა და
თურქეთის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის
შექმნის საბოლოო ეტაპზე გადასვლისა და ფინან-
სური თანამშრომლობის განახლების შესახებ
გადანყვეტილება მიიღო. საბჭომ ასევე გადა-

წყვიტა თანამშრომლობის ახალ სფეროებში
გადადგენილი ნაბიჯები, ინსტიტუციონალურ დონე-
ზე თანამშრომლობა გაემდიერებინათ და პოლი-
ტიკური დიალოგი გააქტიურებინათ.

1995 წლის 13 დეკემბერს ევროპარლამენტმა
საბაჟო კავშირის შექმნას მწვავე შეუი აუთო.
საბაჟო კავშირის შეთანხმება 1996 წლის 1 იანვარს
ძალაში შევიდა. ინსტიტუციონალურ დონეზე სა-
კონსულტაციო ორგანო, საბაჟო კავშირის ერთო-
ბლივი კომიტეტი შეიქმნა.

საბაჟო კავშირის ძალაში შესვლის შემდეგ
თურქეთმა ევროკავშირიდან სამრეწველო პრო-
დუქციის იმპორტზე ყველა ტარიფი გააუქმა.
გარდა ამისა, თურქეთს მესამე სახელმწიფოებიდან
სამრეწველო პროდუქციის იმპორტზე ტარიფების
პარამონაზივი ევროკავშირის საერთო საგარეო
ტარიფებთან შესაბამისობაში უნდა მოეყვანა და
პერიოდულად ევროკავშირის კომერციული პო-
ლიტიკა და სპეციფიკურ მესამე ქვეყნებთან პრეფე-
რენციული საგაქრო შეთანხმებები უნდა მიეღო. ეს
პროცესი 5 წელს იმდენი უნდა დასრულებულიყო.

მიღებული შეთანხმებების ძალით, თურქეთის
დაცვითი უნარი ევროკავშირის ქვეყნებიდან
იმპორტირებულ სამრეწველო პროდუქტებზე
5.9%-დან 0%-მდე დაეცა, მესამე ქვეყნებიდან იგივე
პროდუქციის იმპორტზე კი, 10.8%-დან 6%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო
პროდუქცია ამ პაკეტიდან ამოღებული იქნა, მასზე
პრეფერენციული საგაქრო რეჟიმი 1998 წლის 1
იანვარს შეიშალა. გარდა ამისა, თურქეთმა საგარე-
ო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის პრინცი-
პების პერიოდული მიღება დაიწყო. აიკრძალა
პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა
სათვის სახელმწიფოს მიერ სუბსიდიების გამო-
ყვანა. ამის გასაკონტროლებლად სპეციალური
მაკონტროლებელი ორგანო შეიქმნა. თუმცა,
დასაშვები იყო თურქეთის დაბალგანვითარებული
რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშე-
სანყობად დახმარება.

თურქეთის კანონმდებლობა სახელმწიფო
მონოპოლიებთან დაკავშირებით უნდა დაეცე-
ნილიყო, რაც თურქეთისა და ევროპის კავშირის
ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის მიმართ
დისკრიმინაციის დაუშვებლობას გულისხმობდა.
უახლოესი 5 წლის განმავლობაში თურქეთის უნდა
მიეღო არაერთი გადაწყვეტილება, რომელიც
ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობას მაქსიმალ-
ურად მოუხმობდა ბარიერებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა
თურქეთის ევროკავშირის კანონმდებლობასთან
პარამონაზივი ინტელექტუალური, სამრეწველო
და კომერციული საკუთრების სფეროში. მხარეებს
ასევე ეკრძალებოდათ შიდა გადასახადების,
როგორც არაპირდაპირი დაცვითი მექანიზმის,
გამოყენება.

საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ, 1996 წელს
თურქეთის იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან
წინა წელთან შედარებით 34.7%-ით გაიზარდა და

22.7 მლრდ დოლარს მიაღწია, მაშინ როცა
ექსპორტი 3.6%-ით გაიზარდა და 11.477 მლრდ
დოლარს განისაზღვრებოდა. თურქეთში იმპორ-
ტის 52.9% ევროკავშირზე შედგებოდა, ხოლო
თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში 49.5% იყო.

საბაჟო კავშირით თურქეთის პროდუქციის
ევროპის კავშირის ბაზარზე შედგენილიათვის
უკეთესი პირობები შეექმნა. გარანტირებულ იქნა
სამრეწველო პროდუქციის თავისუფალი გადაა-
დგენა. საბაჟო ტარიფები გააუქმეს და კვოტე-
ბის დანერგვა აიკრძალა.

საბაჟო კავშირის ძირითადი არსი იმაში
მდგომარეობდა, რომ პროდუქცია ევროკავშირისა და
თურქეთის შორის თავისუფლად გადაადგილდებოდა.
ასოციაციის საბჭოს შესუდგენებზე მიიღეს
რეზოლუცია იმ სფეროების შესახებ, რომლებიც
საბაჟო კავშირით არ იყო გათვალისწინებული და
ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას შეუწყო-
და ხელს. ასეთი სფეროები იყო: მრეწველობა,
ტრანსპორტი, კულტურული მემკვიდრეობა, ტრანს-
პორტი, ტელეკომუნიკაციები, სოფლის მეურნეო-
ბა, მეცნიერება, გარემოს დაცვა, სტატისტიკა,
მომხმარებელთა დაცვა, კულტურული თანამშრო-
მლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია.

საბაჟო კავშირი თურქეთისა და ევროპის
კავშირის დაახლოებაში გადადგმული სერიო-
ზული ნაბიჯი იყო. თურქეთთან დაახლოებით
ევროპის კავშირის ისლამურ სამყაროს აწევნა, რომ
ინტეგრაციისათვის რელიგიური განსხვავება არ
არის ხელისშემშლელი ფაქტორი. თავის მხრივ,
თურქეთში განმტკიცდა დასავლური ღირებუ-
ლებებისადმი სწრაფვა. თურქეთში დემოკრა-
ტიული რეფორმების გატარებისათვის საბაჟო
კავშირი შესანიშნავი სტიმული იყო, რამაც
დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრეებს ძლიერი
პოლიტიკური ბერკეტი შესძინა.

საბაჟო კავშირიდან ლუქსემბურგის სამიტამდე

1996 წლის იანვარში საბერძნეთსა და
თურქეთის შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ
ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა, რამაც
გააქნა ევროკავშირთან ურთიერთობაზეც
მოახდინა.

1996 წლის 15 ივლისს გენერალური სამეგობრო
საბჭო მიიღო MEDA-ს პროგრამის წესები
ხმელთაშუა ზღვის 12 სახელმწიფოსთვის, მათ
შორის, თურქეთისათვის. თუმცა, 1996 წლის 19
იექტემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზო-
ლუცია, რომელიც კომისიას მოუწოდებდა
დაუყოვნებლივ დაეხლოდა თურქეთში განსახორ-
ციელებელი MEDA-ს პროგრამით გათვალის-
წინებული პროექტები, გარდა დემოკრატიის,
ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზო-
გისათვის განვითარების მხარდაჭერის პროექტე-
ბისა. ეს რეზოლუცია ძირითადად განპირო-
ბებული იყო თურქეთში ადამიანის უფლებების
სფეროში არსებული ვითარებით.

1996 წლის 28 ნოემბრის ე.წ. პრეზიდენტთა
კონფერენციის შესხვედრას სპეციალური პროცე-
დურა შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც პარლამენტი
თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმ პროე-
ქტებზე, რომლის დაფინანსებაც კომისიის MEDA-ს
პროგრამით სურს (1996-99 წლებში თურქეთი-
სათვის 375 მილიონი ეკიუ იყო გათვალის-
წინებული). ამ პროცედურის მიუხედავად 1997
წლის ბოლოსათვის მხოლოდ 103 მილიონი ეკიუ
გამოყვეს. დანარჩენი, 272 მლნ ეკიუს, გამოყოფა
1998-99 პერიოდისათვის დაიგეგმა.

თურქეთი ევროკავშირის გაფართოების
პროცესს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორი
მთავარი მიზეზის გამო ანიჭებს. პირველი,
თურქეთი საბჭოთა ბლოკის დაშლაში აქტიური
როლს ასრულებდა და თურქეთს, ბუნებრივია,
ახალი ევროპის არქიტექტურის შექმნაში მონა-
წილობის მიღების სურვილიც აქვს. მეორე,
თურქეთსა და ევროკავშირის შორის ასოციაცია
მიზნად ევროკავშირში თურქეთის სრულ განე-
ვრინებას ისახავს, რასაც საბაჟო კავშირმა კიდევ
ერთხელ გაუსუცხა.

ევროპული საბჭოს საგარეო საქმეთა
მინისტრების არაფორმალური შეხვედრის შემდეგ
აპელაციონში (1997 წლის 16 მაისი), ევრო-
კავშირმა ასოციაციის საბჭოს შესხვედრად 1997
წლის 29 აპრილს თურქეთის ევროკავშირში
განცხადების შესაძლებლობა დაადასტურა.
ამავე დროს, ევროკავშირმა განაცხადა, რომ
თურქეთის განაცხადი იგივე კრიტერიუმებით
შეფასდებოდა, როგორც სხვა განმცხადებელი
ქვეყნებისა. კომისიას ეთხოვა თურქეთ-ევროკავ-
შირის ურთიერთობის გაფართოების პერსპე-
ქტივებზე რეკომენდაციები მოეწოდებინა.

ასოციაციის საბჭომ 1995 წლის საბაჟო
კავშირის ფინანსურ შეთანხმებაზე თანხმობის
მიღწევა ვერ შეძლო. თუმცა, საბერძნეთი და თურ-
ქეთი შეთანხმდნენ ე.წ. „ბრძენთა კომიტეტი“
შექმნათ, რომელიც ეგეოსის ზღვასთან დაკავ-
შირებული პრობლემებს შეისწავლიდა. გარდა
ამისა, ევროკავშირმა განაცხადა, რომ ორმხრივი
ურთიერთობის განვითარება დაიდა იქნებოდა
დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგო-
რებიცაა საბერძნეთი, კვიპროსი და ადამიანის
უფლებების დაცვა.

1997 წლის 15 ივლისს ევროკომისიამ თურქე-
თის ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება
შეაფასა. კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენ-
ტი აცხადებდა, რომ „თურქეთმა მკაცრი ვალდებუ-
ლება უნდა აიღოს რეგიონში არსებული რამდე-
ნიმე პრობლემის გადაწყვეტაზე და აქტიურად
შეუწყოს ხელი კვიპროსის საკითხის გადაჭრას.“
ჯავახანტურის ხელშეწყობით, ევროკომისიის
მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პროგრამა 2000
წლისათვის“ ფაქტობრივად თურქეთის ევროკავ-
შირის გაფართოების პროცესიდან გამორიცხა-
და, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდა საბაჟო
კავშირის დამატებითი ფაქტორების და

თურქეთის შესაძლებლობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ევროკავშირის ნორმების შესრულების შესახებ.

„პროგრამა 2000 წლისათვის“ ასევე აცხადებდა, რომ „ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს თურქეთის მხარდაჭერა მისი პრობლემების გადამწყვეტად და ხელი შეუწყოს ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.“

ევროკავშირის მიერ თურქეთის კავშირში განკერძოების შესაძლებლობის აღიარება და მისი გაფართოვების პროცესიდან გამომდინარე ურთიერთსაინტერესო ნაბიჯები იყო. ევროკავშირის განცხადებით ფონზე, რომ ყველა კანდიდატის მიმართ საერთო კრიტერიუმები იქნებოდა გამოყენებული, თურქეთმა ევროკომისიის გადამწყვეტილება უსამართლოდ და დისკრიმინაციულად შეაფასა. თურქეთის ეს შეფასება, ბუნებრივია, რომ ევროკავშირმა უარყო.

კომისიამ თურქეთთან ურთიერთობის ახალი სფეროების ათვისება გადამწყვიტა, რათა თურქეთის ევროპისაგან გარიყულიყო არც ერთი თავი. განსახორციელებელი ღონისძიებები საბაჟო კავშირის მასშტაბით ახალი სფეროების ათვისებას (მომსახურება და სოფლის მეურნეობა) და ზოგიერთ სფეროში (გარემოს დაცვა, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები) თანამშრომლობის გაფართოებას გულისხმობდა.

კომისიამ ასევე გადამწყვიტა თურქეთს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დახმარება. ამასთან დაკავშირებით კომისიამ მოამზადა წინასწარი პროგრამის პროექტი, რაც თურქეთის ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემას ითვალისწინებდა.

ლუქსემბურგის სამიტი

ევროკავშირის ლუქსემბურგის სამიტი 1997 წლის 12 დეკემბერს თურქეთის შესაძლებლობა ევროკავშირში განკერძოების შესახებ კიდევ ერთხელ დადასტურდა. ევროკავშირის სახელმწიფოთა ლიდერებმა თურქეთის ევროკავშირში მისაღებად სტრატეგიის შემუშავება გადამწყვეტეს. სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, ანკარის შეთანხმებაში ნახსენები შესაძლებლობების გამოყენება, საბაჟო კავშირის გააქტიურება, ფინანსური თანამშრომლობის განხორციელება, ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება და ახალის მიღება, სხვადასხვა პროგრამებსა და სააგენტოების მუშაობაში მონაწილეობა. დამატებით, ევროპულმა საბჭომ რამდენიმე პრინციპი დაასახელა, რასაც თურქეთთან ურთიერთობა უნდა გაემყარებინა. გარდა ამისა, ევროპულმა საბჭომ თურქეთი კავშირის წევრ-ქვეყნებისა და კანდიდატ-ქვეყნების ევროპულ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.

თურქეთმა საბჭოს გადამწყვეტილება ნეგატიურად შეაფასა და ევროკავშირი მის მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა. თურქეთის მიმართ განსაკუთრებით მწვავე პოზიცია საბერძნეთმა დააფიქსირა. ევროკავშირმა ფაქტობრივად თურქეთს აგრძნობინა, რომ მისი ადგილი ევროპაში არ იყო.

ევროპული საბჭოს გადამწყვეტილებამ იმედი გაუტრუა აშშ-საც, რომელიც ევროკავშირის წევრ-ქვეყნებზე თურქეთის დასავლეთთან ინტეგრაციისათვის ძლიერ ზეწოლას ახდენდა. თურქეთის კანდიდატ-ქვეყნად დასახელების განსაკუთრებული ოპონენტები თურქეთის ძველი მონინალ-მდევე ევროპის ზღვაში საბერძნეთი და გერმანია იყვნენ. თურქეთისთვის უარის თქმის ერთ-ერთი ოფიციალური მიზეზად დაამაინის უფლებების დაცვაში ცუდი ვითარება დასახელდა.

გადამწყვეტილებამ თურქეთის ოფიციალური პირების უკმაყოფილება გამოიწვია. ევროპასთან ურთიერთობის შენელება თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში მონოლიტად გაისმა. სამიტის დასრულების შემდეგ ევროკავშირის ლიდერებისათვის გამართულ სადილზე კი თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, მესულ ილმაზმა მიპატივებდა არ მიიღო, რითაც თავისი უკმაყოფილება ლიდ დაადასტურა. ილმაზმა გერმანიის კანცლერ, ჰელმუტ კოლს ანტიურთულ განწყობილებებში დასადაო ბოლო, რამაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კრიზისიც კი გამოიწვია. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გერმანიაში მცხოვრებ თურქული წარმომადგენლის მოქალაქეებს მოახლოებულ არჩევნებში კოლის კონკურენტულ პარტიის მხარდაჭერისკენ მოუწოდდა. რამდენად მოახლოება ამ მოწოდებამ გავლენა არჩევნების შედეგებზე ძნელი სათქმელია. თუმცა, ფაქტი ის არის, რომ კოლის პარტია არჩევნებში დამარცხდა და ხელისუფლებაში უფრო „პროთურქულად“ განწყობილი პარტია მოვიდა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა კი განაცხადა: „თუკი სამიტი შედეგებზე უარყოფითია, მაშინ თურქეთი ევროკავშირთან პოლიტიკურ საკითხებზე დიალოგს შეწყვეტს“. თურქეთის კანდიდატთა სიიდან გამორიცხვის პარალელურად, ლუქსემბურგის სამიტზე 6 ქვეყანა კანდიდატ-ქვეყანად გამოაცხადეს, 5-თან კი მეორე ეტაპზე დაინიშნა მოლაპარაკებები.

ევროკავშირის ლიდერებმა თურქეთს ახალ ე.წ. ევროპის კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს. კონფერენცია ერთად შეკრებად ევროკავშირის წევრ-ქვეყნებსა და კანდიდატებს ისეთი საკითხების განსახილველად, როგორებიცაა დამნაშავეობა, სასამართლო და საგარეო ურთიერთობები. მაგრამ თურქეთმა უარყო შემოთავაზება. ანკარის განცხადებით, კონფერენცია ევროკავშირში განკერძოებისაკენ მიმავალი გზა არ იყო. ამის შესაძლებლობა კიდევ უფრო იკლო, როდესაც საბერძნეთმა თურქეთის

მონაწილეობისათვის გარკვეული პირობები წამოაყენა.

ევროპის ქვეყნების ოფიციალური პირების განცხადებით, თურქეთმა ევროკავშირის მოთხოვნის დამინაის უფლებების დაცვაში, განსაკუთრებით ქურთი უმცირესობის მიმართ, კვიპროსის დავისა და საბერძნეთთან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებაზე ვერ დააკმაყოფილა.

გერმანიის წინააღმდეგობა თურქეთის კანდიდატურის მიმართ ძირითადად განპირობებული იყო გერმანიაში თურქი იმიგრანტების მოზღვა-ვებით. თურქული დიასპორა გერმანიაში უკვე რამდენიმე მილიონს აღწევს. დანარჩენ სახელმწიფოებში ლიდერები ძირითადად რელიგიურ განსხვავებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა კი ევროკავშირის თურქეთთან ურთიერთობის გაფართოვების კონცეფციას მხარი დაუჭირეს.

ლუქსემბურგის სამიტის მოთხოვნები სამეგრეო კომისიამ 1998 წლის 4 მარტს თურქეთისათვის „ევროპული სტრატეგიის“ წინადადებები მიიღო. ლუქსემბურგის სამიტის გადამწყვეტილების პროტესტის ნიშნად თურქეთმა 1998 წლის 12 მარტს ლონდონში ევროპის კონფერენციის საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ამით თურქეთმა ყველას აგრძნობინა, რომ ორმხრივი ურთიერთობის მომავალი ევროკავშირის პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული. კომისიამ „ევროპულ სტრატეგიაზე“ თავისი რეკომენდაციები 1998 წლის 4 მარტს გამოაქვეყნა. კომისიის განცხადებით, სტრატეგიის განხორციელებას ფინანსების მოძიება დასჭირდებოდა.

პარლიზის სამიტი

ევროკავშირის მორიგი სამიტი 1998 წლის 15-16 ივნისს კარდიფში გაიმართა. კარდიფის სამიტს გადამწყვეტილება შეადგენით რბოლ ტონებში იქნა მიღებული, რასაც თურქეთისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. კარდიფის სამიტის უმთავრესი შედეგი ევროლიდერების მიერ კომისიის მიერ შემუშავებული „ევროპული სტრატეგიის“ დამტკიცება იყო. გარდა ამისა, კომისიას სტრატეგიის განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მოძიების პრობლემის გადამწყვეტა დაეკლდა.

1998 წლის 4 მარტს კომისიის მიერ მიღებული სამუშაო პროგრამის მიხედვით, ორმხრივი თანამშრომლობა სხვა სფეროებშიც უნდა გაფართოვებულიყო. ევროსაბჭოს კარდიფის სამიტზე „ევროპულ სტრატეგიაზე“ გამოთქმული პოზიტიური შეხედულების საფუძველზე, 1998 წლის 22 ივლისს თურქეთის ხელისუფლებამ კომისიას დოკუმენტი გაუგზავნა, სადაც სტრატეგიაზე თურქეთის პოზიცია იყო გამოთქმული.

1998 წლის სექტემბერში კომისიასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის „ევროპული სტრატეგიის“ განხორციელების დეტალების

გასარკვევად პირველი ტექნიკური დისკუსია გაიმართა. ამ დისკუსიამ თურქეთის მზადყოფნა სტრატეგიის ფარგლებში თანამშრომლობაზე დაადასტურა.

ევროკავშირის კარდიფის სამიტის მოთხოვნის პასუხად 1998 წლის 21 ოქტომბერს კომისიამ „ევროპული სტრატეგიის“ მხარდამჭერი ფინანსური დოკუმენტი მიიღო. დოკუმენტი შეიცავდა ევროკავშირ-თურქეთის საბაჟო კავშირის გააქტიურებისათვის საჭირო ღონისძიებების მარეგულირებელ ნორმებს, ისევე როგორც თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებს.

ჰაელსინკის სამიტამდე

ევროპის კავშირის ჰელსინკის სამიტი თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში გადამწყვეტი მომენტი. ამ სამიტმა ორმხრივი ურთიერთობის ნორმალისაციისათვის რეალური შესაძლებლობა შექმნა. თურქეთ-ევროკავშირის უახლოეს ისტორიაზე საუბრისას ათვლა 1997 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტიდან უნდა დაივიწყო. ლუქსემბურგი ორმხრივი ურთიერთობაში შემოებრუნების ნერტილი იყო. ლუქსემბურგამდე ხანგრძლივი პერიოდი თურქეთისათვის ხასიათდებოდა, როგორც ევროკავშირში განკერძოებისაკენ სწრაფვა. პარტნიოვები, ანკარის შეთანხმებადამ მოყოლობილი საბაჟო კავშირის შექმნით დასრულებული, ამ ურთიერთობის ლოგიკურ დასასრულს ერთნაირად აღიქვამდნენ. დასახული პოლიტიკური და დიპლომატიური სტრატეგიები ამ წლებში წარმატებით იქნა განხორციელებული. ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ გადამგდული არაერთ ორმხრივი ნაბიჯს პოლიტიკური ინტეგრაცია უნდა მოჰყოლოდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ მხარეებს შორის მიმდინარე სტაბილური ურთიერთობა 1980-იან წლებში მომხდარმა ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ შეარყია. პირველი, საბერძნეთის ევროკავშირში გაწევრიანება და მეორე, ალბანელები ევროპის ტრანსფორმაცია. ამ ორმა მოვლენამ თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

პირველად ურთიერთობის სერიოზული გაუფუჭების მიზეზი საბერძნეთის ფაქტობრივი თურქეთი ევროკავშირისაკენ პოლიტიკური ვალდებულების შესრულებას მოითხოვდა. გარდა ამისა, ევროკავშირი ანკარას არწმუნებდა, რომ საბერძნეთის კავშირში გაწევრიანება თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ევროკავშირის მექანიზმში საბერძნეთის სრული ჩართვის შემდეგ თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში თურქეთ-საბერძნეთის დაავადანსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა.

თურქეთმა ათენში სამხედრო რევიზი დაშობის შემდეგ საბერძნეთის ნატოში ხელახლა განკერძოებისაკენ ვეტო არ გამოიყენა. ანკარა იმედოვნებდა, რომ ამით ევროპაში საბერძნეთის

მზარდ გავლენას დაახლოებით 80-იან წლებში საბერძნეთი წარმატებით ახერხებდა თურქეთთან სადავო საგნები ევროპული თანამშრომლობის განხილვის ობიექტად ექცია. მაგალითად, კვიპროსის საკითხი და ევროსის ზღვასთან დაკავშირებული პრობლემები, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობის შემადგენელი ფაქტორი გახდა. არსებული სისტემისათვის მეორე დიდი გამოწვევა ევროპაში პოლიტიკური რუკის შეცვლა იყო. ცივიომის დასასრულმა და ბერლინის კედლის დაქვემდებარება ევროკავშირის პოლიტიკური პრიორიტეტების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაცია პრიუსულ უპირველეს პრიორიტეტად იქცა და მისი პოლიტიკური და დიპლომატიური ძალისხმევაც ამ მიზნის მიღწევას კენი იყო მიმართული. ევროპაში მცხადებენ, რომ ასეთი შესხედულება არ შეესაბამება რეალურს, მაგრამ ფაქტია, რომ თურქეთი კანდიდატა სიაში პოლო ადგილზეა.

თურქეთი უკმაყოფილოა იმით, რომ ევროპამ თავისი ძველი პარტნიორი, რომელმაც ევროპასთან ინტეგრაციის სურვილი ჯერ კიდევ 1959 წელს გამოთქვა, შედარებით გარიყული დარჩა, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, რომლებმაც ევროპასთან ინტეგრაციაზე ფიქრი ერთი ათეული წელია რაც დაიწყეს, ევროკავშირში განევირინებინ უმთავრეს კანდიდატებად ითვლებინ.

საბერძნეთის ფაქტორმა და ევროპაში ცვალებადმა პოლიტიკურმა რუკამ ორმხრივი ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია, რამაც კულმინაციას ლუქსემბურგის სამიტის დროს მიაღწია.

ლუქსემბურგში ევროკავშირმა განსაზღვრა კავშირის გაფართოების სტრატეგია, საიდანაც თურქეთი გამოირჩეულ იქნა. კავშირი შეეცადა, რაც შეიძლება ფრთხილი ყოფილიყო თურქეთის მიმართ გაკეთებულ განცხადებებში. თუმცა, თურქეთმა სამიტის გადმაცვტილებები ევროკავშირის მხრიდან თურქეთის მიმართ დისკრიმინაციის გაგრძელებად მიიჩნია. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ თურქეთი კვლავ განცხადების შემტან სახელმწიფოდ დარჩა და არა როგორც სხვები, სრულუფლებიანი კანდიდატი.

პოსტლუქსემბურგის პერიოდი შეიძლება შეფასდეს როგორც, „გაყინული პერიოდი“. სამიტის გადმაცვტილებებზე თურქეთის რეაქცია ძალიან მკაცრი იყო, რაც ევროკავშირისათვის პოლიტიკური დიპლომატიის შეწყვეტაში გამოიხატა. თურქეთმა თავისი პოზიცია მკაცრად დაიცვა და კავშირისაგან ურთიერთობის ნორმალისაციისათვის შეცდომის გამოსწორება მოითხოვა.

ჰელსინკის სამიტმა „გაყინული ურთიერთობის“ დასრულების შესაძლებლობა შექმნა. თურქეთის კანდიდატი ქვეყნად გამოცხადებამ და თურქეთის სრული განევირინების მომზადებისთვის სტრატეგიის შემუშავებამ ურთიერთობის

ნორმალისაცია დააჩქარა.

ჰელსინკის სამიტი

ევროკავშირის ჰელსინკის სამიტის თურქეთი განსაკუთრებული მოლოდინით ელოდა. ანკარის განცხადებით, სამიტის შედეგები თურქეთ-ევროკავშირის მომავალ ურთიერთობაზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენდა. სამიტის მიერ თურქეთისათვის მისაღები გადმაცვტილების მიღებას წინ უძღოდა დაძაბული მოლაპარაკებები და დიდი იყო შანსი იმისა, რომ ორმხრივი ურთიერთობა დიდი ხნით გაფუჭებულიყო.

სამიტის მსვლელობისას გამართულ საზეიმო ვახშამზე მისვლაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჯევიტმა, სანამ ყველაფერი ნათელი არ გახდებოდა, უარი განაცხადა. ეჯევიტი ევროკავშირის ლიდერების მოწვევას მხოლოდ ერთ შემთხვევაში აპირებდა: იგი უნდა მიეწვიათ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რანგში. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ თურქეთის ლიდერები ამკვარ ვახშამს არ ესწრებოდნენ. მათი განცხადებით, თურქეთის „ევროკავშირის ლიდერებთან სურათის გადაღების ეს შესაძლებლობა“ არ აკმაყოფილებდათ, რაც თითქმის იმის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო, რომ თურქეთი ნამდვილად არის ევროპაში.

თურქი ლიდერების ყველათვის გასაგებმა პოზიციამ თავისი შედეგი გამოიღო და 1999 წლის 10 დეკემბერს თურქეთს კანდიდატის ნაწიური სტატუსი მოუტანა. თურქეთი სხვა ქვეყნებთან ერთად ერთნაირი პირობებით ევროკავშირში განევირინების სრულუფლებიან კანდიდატად აღიარეს. ამის შემდეგ ეჯევიტმა გადმაცვტი თავისი ევროპული კოლეგები არ გაეცხადებინა და ოფიციალურ ვახშამზე დასასწრებად ჰელსინკში გადავიდა.

ევროკავშირ-თურქეთის ურთიერთობაში პირველად მოხდა ისე, რომ განდგა საშიშროება, რომ თურქეთის ლიდერებს თქვამთ „არა“. ევროკავშირის ლიდერებმა თურქეთის კანდიდატურა სიამოვნებით გამოაცხადეს, რასაც ერთი შეხედვით ყველა მხარე უნდა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ თურქეთის კანდიდატურის გამოცხადებიდან რამდენიმე წუთში, ყველასაგან მოულოდნელად, ანკარამ თავისი პრეტენზიები წამოაყენა. ანკარის განცხადებით, თურქეთს არ აკმაყოფილებდა სამიტის მიერ მიღებული დეკლარაციის ზოგიერთი ნაწილი, რომლის ინტერპრეტაცია შეიძლება თურქეთისათვის განსაკუთრებულ პირობად წაყენებინათ. ასევე უკმაყოფილება გამოთქვა ანკარამ ევროკავშირის მიერ კვიპროსისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით.

ევროკავშირის დოკუმენტში თურქეთთან მიმართებაში ანკარის განსაკუთრებულ შემოქმედებას იწვევდა ის ნაწილი, რომელსაც შეიძლება თურქეთი საბერძნეთთან ევროსის ზღვაში დავის გამო შავის საერთაშორისო სასამართლოში

მიყვანა, თუ ეს დავა ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად 4 წელიწადში არ გადაწყდებოდა. თურქეთი უკმაყოფილო იყო კვიპროსთან დაკავშირებული მუხლებითაც.

თურქეთის კოალიციური მთავრობის ლიდერებმა და რამდენიმე მინისტრმა სასწრაფო შეხვედრა მოაწყვეს. მთელი თურქეთი სულმოუთქმელად ელოდა, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა პრემიერ-მინისტრი.

შეხვედრიდან პირველი „დედადასამშობლოს“ პარტიის ლიდერი მესული ილმაზი გამოვიდა, რომელმაც ისე დატოვა მთავრობის შენობა, რომ დიდი რაოდენობით შეკრებილ ჟურნალისტებს კომენტარიც კი არ გაუცხადა. ილმაზის შემდეგ შეხვედრიდან გამოვიდნენ სხვა ლიდერებიც. პრესისთვის განცხადება არ გაუკეთებია არც პრემიერ-მინისტრმა, ერთდღერევი ვიცე განაცხადა, რომ ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, ეროვნული მოქმედების პარტიის სახელმწიფო მინისტრი, თიუნჯა თოსქანი იყო. ამ განცხადებამ საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია, რადგან თოსქანი იმ პარტიის წევრი იყო, რომელიც უპირატესობას თურქეთის აღმოსავლეთთან, ცენტრალური აზიისა და კავკასიის თურქულენოვან ქვეყნებთან ურთიერთობას ანიჭებს, ვიდრე დასავლეთთან ინტეგრაციას. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, ევროკავშირის შემოთავაზებაზე უარის თქმას მოითხოვდა საგარეო საქმეთა მინისტრი სიმალ ჯემიცი, რომელიც თურქეთის დასავლეთთან ინტეგრაციის მთავარი მხარდამხრეა. იგი თურქეთის მხრიდან დიპლომატიის შეწყვეტის წინადადებას უჭერდა მხარს.

თურქეთის მთავრობაში მიმდინარე მოლაპარაკებები ევროკავშირისთვის უკვე დამაფიქრებელი გახდა, რის გამოც ანკარაში სასწრაფოდ „ფრინეს“ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი ჰაქიუნი სოლანა, რომელსაც ოფიციალური ანკარისათვის ევროკავშირის გადმაცვტილება უნდა „აეხსნა“. თურქეთის მთავრობამ ოფიციალურ პასუხის გამოცხადება დროებით გადადო და სოლანას ჩამოსვლას დაელოდა. განდგა იმედი იმისა, რომ სოლანა თურქეთის დარწმუნებას შეძლებდა. სოლანას თან მოჰყვებოდა ევროკავშირის გაფართოებაზე პასუხისმგებელი კომისარი გიუნტერ ვერჰაგენი. ვერჰაგენი თურქეთისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, მაგრამ ჰელსინკის სამიტამ დერამდენიმე თვით ადრე მისი პოზიციის თურქეთის სასარგებლოდ შეიცვალა. ვერჰაგენი თურქეთისაგან კომპენზაციის კრიტიკულ მხარეს მხარდამხრეა, თუმცა ბოლო მომენტში მისი პოზიცია შერბილდა.

ამავდროს, 10 დეკემბერს, სალაშოს პრემიერ-მინისტრ ბულენთ ეჯევიტის სახელზე ევროკავშირის პრეზიდენტო ქვეყნის, ფინეთის პრემიერ-მინისტრ პაუო ლიპონენისგან წერილი მოვიდა. წერილში ახსნილი იყო, რომ თურქეთთან

დაკავშირებით მიღებული მუხლები თურქეთისათვის ახალ პირობებს არ აყენებდა, გარდა კომპენზაციის კრიტერიუმისა. ხოლო რაც შეეხება მეზობლებთან სასაზღვრო დავების გადმაცვტილას, აქ მხოლოდ პოლიტიკური დიპლომატიის დანერგვა იგულისხმებოდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ საბჭო უახლოვრო 4 წლის განმავლობაში მხოლოდ ვითარებას განიხილავდა, მაგრამ აქ არ იყო არავითარი პირობა, რომ თურქეთის საბერძნეთთან საერთაშორისო სასამართლოში საკითხის გადაწყვეტისთვის უნდა მიემართა, სანამ მას კანდიდატად მიიღებდნენ.

წერილში ასევე ნათქვამი იყო კვიპროსის შესახებ. ფინეთის პრემიერი ეჯევიტის არწმუნებდა, რომ კვიპროსის ევროკავშირში მიღების დროს გათვალისწინებული იქნებოდა, ყველა შესაბამისი ფაქტორი“. ეს ანკარისათვის საკმარისი არ იყო, მაგრამ იმ დროისათვის ფაქტობრივად არ არსებობდა შანსი ევროკავშირს კუნძულზე კონფლიქტის მოგვარებამდე კვიპროსის მიმართ პოზიციისათვის გადაეხედა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ეჯევიტს დაურეკეს სხვადასხვა ევროპელმა ლიდერებმა, რომლებიც ცდილობდნენ თურქეთის პრემიერ-მინისტრს ვახშამზე მიწვევა მიეღო. თურქეთის კანდიდატი ქვეყნად გამოცხადებით კმაყოფილება გამოთქვა აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმაც. ეჯევიტის მხოლოდ ერთი ახალ დარჩენოდა. სოლანასა და ვერჰაგენთან შეხვედრის შემდეგ ეჯევიტმა განაცხადა, რომ თურქეთმა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო.

მოგვიანებით, ლიპონენის წერილმა მცირედი ინციდენტი წარმოშვა, როდესაც საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტას სიმიტისმა განაცხადა, რომ ლიპონენის წერილი მხოლოდ მის პერსონალურ შესხედულებას ასახავდა და არა ევროსაბჭოს მოსაზრებას. ეჯევიტმა ამაზე განაცხადა, რომ მას სიმიტისის სიტყვები სერიოზულად არ მიუღია, მაგრამ მან თურქეთში მცირედი უკმაყოფილების საბაბი მაინც წარმოშვა.

რა შემთხვევა ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ?

ამ შეკითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს. გერმანიაში მთავრობის შეცვლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომლითაც შეიძლება ევროკავშირის დონეზე ამ პოლიტიკის ცვლილება აიხსნას. პელმუტ კოლის მთავრობის ხელისუფლებიდან წასვლა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. გარდა ამისა, იყო დამატებითი ფაქტორები, ზოგი თურქეთთან ურთიერთობაში, ზოგიც ევროკავშირთან, ზოგიც კი გარე ფაქტორებთან, როგორცაა ბალკანეთზე სტაბილურობის დამყარება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჰელსინკის სამიტი თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიაში წყალგამყოფია, რომელმაც შეიძლება

არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის მომავალი განსაზღვროს, არამედ გავლენა ქვეყნის შიდა განვითარებაზეც მოახდინოს. პელსინკის სამიტის პოზიტიური შედეგი მოკლე პერიოდში იქნება ის, რომ ანტიევროპული კონსენსუსი პროპაგანდა ეფექტურობას დაკარგავს. ანტიევროპული განწყობილება განსაკუთრებით ძლიერი ულტრა-მემარჯვენეებსა და ისლამისტებში. მათი განცხადებით, ევროკავშირი ქრისტიანული კლუბია და იგი თავის რიგებში ისლამურ თურქეთს არასოდეს მიიღებს. ეს ჯგუფები ცდილობენ დასავლური მმართველობის მოდელის, რაც ევროკავშირთან გაერთიანებისათვის გადამწყვეტი ფაქტორია, დისკრედიტაციას.

პელსინკის სამიტის ეფექტი არც ისე შორეულ პერსპექტივაში შეიძლება იყოს თურქეთში შიდა ბრძოლის გააქტიურება, რაც შესაძლებელია პოლიტიკურ რეფორმებში გამოიხატოს. ცივი ომის შემდეგ თურქეთს ახალი პერიოდის რეალობასთან შეთვისება მოუწია. პროგრესი ნელი ტემპებით ვითარდებოდა. შიდა პოლიტიკური დინამიკა კი რეფორმების გატარებას აფერხებდა. პოლიტიკური ელიტა ქვეყნის შიგნით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას ვერ ახერხებდა ან ამის გასაკეთებლად უნარი არ შესწევდა.

ევროკავშირის ურთიერთობის განახლება კი შეიძლება შიდა პროცესებზე პოზიტიულად იმოქმედოს. თურქეთს საპარლამენტო დემოკრატია. დემოკრატიულად არჩეული მთავრობა ამომრჩეველთან არის პასუხისმგებელი, რაც სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს. პოლიტიკური სტრუქტურებიდან გამომდინარე კოალიციური მთავრობები პოლიტიკაში ცვლილებებს ძნელად მისაღწევს ხდის. ასეთი სტილის მთავრობები უფრო სტატუს ქვოს ინარჩუნებენ, იმ შემთხვევაშიც კი თუ შექმნილი ვითარება პოლიტიკურ ცვლილებას მოითხოვს და რეფორმას სასურველად აქცევს.

თანამედროვე თურქეთის ისტორიაში სუსტი და არასტაბილური მთავრობები კი ხშირი მოვლენაა. ამ სტრუქტურულ ფენომენს ბევრი მიზეზი აქვს. მათ შორის შეიძლება იყოს საარჩევნო კანონი, რომელიც წინასწარჩევნო ალიანსების შეკვრას კრძალავს, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი და უაღრესად დიფერენცირებული ამომრჩეველი.

შედეგად, თუკი საკითხის გადაწყვეტა პოლიტიკური ცვლილებას მოითხოვს, მთავრობები საჭირო პოლიტიკური ღონისძიების დაწყონენებლივ გატარებას ვერ ახერხებენ. დღეისათვის თურქეთში რეფორმების სწრაფი გატარება უპირველესი შიდა პოლიტიკური მიზანია. ახალი კონსტიტუციის შეტანა, მხოლოდ იმ მოთხოვნათა ცვლილებების შეტანა, მხოლოდ იმ მოთხოვნათა ნაწილია, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც

პოლიტიკური სპექტრი დაყოფილია, პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების ძირითადი მეთოდი კონსენსუსს ეფუძნება. პოლიტიკური დაყოფა რაც არ უნდა ღრმა იყოს, დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეუძლიათ კონსენსუსის წყალობით არსებობა გააგრძელონ.

ამ მხრივ საინტერესოა თურქეთის მაგალითი. პელსინკის სამიტამდე თურქეთში ევროკავშირთან მიმართებაში გარკვეული კონსენსუსი არსებობდა. სამსუხაროდ ეს კონსენსუსი ევროკავშირთან ურთიერთობაში ნეგატიურ დამოკიდებულებას ეფუძნებოდა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: ფინანსურ სფეროში არადაამკმაყოფილებელი თანამშრომლობა, თურქეთის ადამიანის უფლებების დარღვევების გამო გაუთავებელი კრიტიკა, საბერძნეთის მიერ ევროკავშირის თურქეთის წინააღმდეგ გამოყენება. ეს ის მცირე ელემენტებია, რომლებიც ევროკავშირის შესახებ თურქეთში საზოგადოებრივ აზრს აყალიბებდა. ნეგატიური შეხედულების ჩამოყალიბებას ხელი ლუქსემბურგის სამიტის გადაწყვეტილებებზეც შეუწევს.

პელსინკის შემდეგ კი ყველა მხარეს თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაზე ახალი ხედვის ფორმირების შესაძლებლობა მიეცა. თურქეთისათვის სამიტის წარმატებით დასრულება შიდა პოლიტიკურ აქტორებს ევროკავშირის კარტის გათამაშებასა და მისი ეფექტური დაცვის შესაძლებლობას მისცემს. პელსინკის სამიტმა თურქეთში რეფორმების გატარების მომხრეებს პოზიციები გაუმჯობესა და მათ ანტიევროპულად განწყობილი ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ძლიერი იარაღი მისცა.

პელსინკის ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროკავშირის გაფართოების სტრატეგიაზე რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში. სამიტმა ევროპის მიერ თურქეთის "სუფულ" ბელუჯის ექვები გააქრო. მომავალი საუკუნის დასაწყისი კი, გასცემს პასუხს, თუ სად მთავრდება ევროპა.

ამ კითხვაზე ბევრი პასუხი არსებობს. სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვა ადამიანები განსხვავებულ სასუბებს იძლეოდნენ. პასუხი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება ევროპა. იგი გეოგრაფიული ერთეულია თუ ლირებულებების სისტემა? სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ევროპა ფიზიკურად განსაზღვრული სივრცეა თუ იდეათა კონცეფცია თუ ორივე ერთად?

მთელი ისტორიის განმავლობაში ევროპის კონცეფციამ ბევრი ცვლილება განიცადა. უბრალოდ გეოგრაფიული განსაზღვრებიდან, რომელიც კონტინენტს საუკუნოვანი რუკებით გამოსატყვევს, ევროპა უფრო კულტურული განსაზღვრება გახდა. ეს კულტურა ქრისტიანობაზე იყო დაფუძნებული და შესაბამისად ევროპის ფორმირებაში რელიგიამ დიდი როლი შეასრულა. უბრალოდ დამთხვევა არ არის, რომ ევროპულთა გაერთიანების შესახებ ერთ-ერთი უპირველესი მოწოდება პაპის მხრიდან გაიშა,

რომელიც გიზნად ოსმალეთის იმპერიისაგან ევროპის გადარჩენას ისახავდა. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ისლამმა და თურქულმა საფრთხემ საერთო ევროპული პოზიციის შემუშავება დააჩქარა. ის გამომწვეული იყო არა ლათინურ ამერიკასა და აზიას შორის მიმდინარე მოვლენებით, არამედ უშუალოდ ევროპის მახლობლად არსებული საფრთხით. ამ ორი ცივილიზაციის ურთიერთშედეგმა ევროპის ისტორიის თავისი ნიშანი დაატყო.

ახალმა პერიოდმა ევროპას ახალი მნიშვნელობა შესძინა. ევროპაში იმსხვერპლა იმპერიები და ახალი ერი-სახელმწიფოები იქმნება. შედეგად, ევროპის კონცეფცია, არა მარტო გეოგრაფიულ და რელიგიურ ელემენტებს, არამედ ახალ პოლიტიკურ განსაზღვრებასაც შეიცვალს. ეს ახალი განსაზღვრება პირველ რიგში გულისხმობდა ერი-სახელმწიფოს და შემდეგ ისტორიულად მნიშვნელოვანი დემოკრატიისა და სეკულარიზმის კონცეფციებს. ისტორიულად უფრო მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ეს ორი კონცეფცია უფრო ხელსაყრელია იმის გასაგებად, თუ რა არის ევროპა დღეს და რა იქნება ხვალ.

გავრცელებული მოსაზრებით, ევროპულ ურთიერთობებში რელიგიის როლმა ეროვნებას განიცადა. ევროპაში ახალი კონცეფციები: დემოკრატია და სეკულარიზმი გაბატონდა, ისევე როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისადმი პატივისცემა. ახალი ევროპის მშენებლობაში ეს ღირებულებები ევროკავშირისთვის უმათიანესია.

ევროკავშირმა დაამტკიცა, რომ მსგავსი ღირებულებებისა და საერთო რელიგიის მქონე ქვეყნებმა შეძლეს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის, მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების მიღწევა. პელსინკის სამიტის შემდეგ ევროპას მიეცა მანის ისლამური თურქეთის კავშირში მიღებით დასარჩენი მსოფლიოს ახალი პრეცედენტი უჩვენოს. ამით ევროკავშირს, ასევე შეუძლია დაამსხვრიოს გაგვრცელებული შეხედულება ცივილიზაციათა შეჯახების შესახებ და ყველას დაუმტკიცოს, რომ ევროკავშირის ღირებულებები უნივერსალურია. თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც შეუძლია ევროპულ მოდელს მისადაგოს თავისი დემოკრატიული და სეკულარული წყობით.

პოლიტიკური პრიტიკაში

პელსინკის სამიტის დროს თურქეთი ევროკავშირს განცხადებით თავისი კანდიდატი ქვეყნად დაასახელეს. დეტალურად თუ მიუხედავად ამ მოვლენას, შეიძლება დაგინახოთ, რომ თურქეთის კანდიდატურას სხვა კანდიდატი ქვეყნებისაგან განსხვავდება. განსხვავება თურქეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, კუპრისისა და მალტისაგან არის ის, რომ თურქეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც განცხადებით თავისი საჭირო პირველი სამი კრიტერიუმი,

რომელიც ევროკავშირის კომპენსაციის სამიტზე 1993 წლის ივნისს მიიღეს, არ დააკმაყოფილა.

რკინის ფარდის დაშვების შემდეგ ევროკავშირის წინაშე ახალი პრობლემები წარმოიშვა, რაც კავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესის დაწყებაშიც გამოიხატა. ახალი საზღვრებისა და ახალი საფრთხეების გამოჩენამ კანდიდატი ქვეყნებისადმი საგანგებო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა.

გაფართოების პროცესში გადამწყვეტი პერიოდი 1997 წლის ლუქსემბურგის სამიტი იყო, როდესაც ევროკავშირმა 11 ქვეყანასთან განცხადებაზე მოლაპარაკების პროცესის დაწყება გადაწყვიტა. მათ შორის 6 ქვეყანასთან: კიპროსი, ჩეხეთი, რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვენია პირდაპირ მოლაპარაკებები დაიწყო. დანარჩენ 5 სახელმწიფოს: ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი და სლოვაკეთი მოსამზადებელი პერიოდი უნდა გაეწეოთ. ანკარის მოსაზრებით, ლუქსემბურგიდან პელსინკის სამიტამდე ამ 5 ქვეყნიდან, სლოვაკეთის გამოკლებით, კომპენსაციის კრიტერიუმის დასაქმავიდან გამომდინარე, პროგრესი არცერთს მიუღწევია. ყველაფრის მიუხედავად მათთან მოლაპარაკების პროცესი 2000 წლის 15 თებერვალს დაიწყო.

მეორე მხრივ, თურქეთი მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებთან შედარებით საუკეთესო ეკონომიკურ მაჩვენებლებს ფლობდა ევროკავშირის მხრიდან მოლაპარაკებაზე მინეული არ იქნა. პელსინკის სამიტის გადაწყვეტილებებმა დადასტურა პოლიტიკური კრიტერიუმის ახალი როლი და ევროკავშირის მომავალი პრიორიტეტები, რომელსაც ევროკავშირი ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის საუკეთესო გარანტიად მიიჩნევს. ამიტომაც, თურქეთის ევროკავშირში განცხადებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური კრიტერიუმის დაკმაყოფილებას, რაც კავშირში განცხადებისათვის გადამწყვეტია.

კომპენსაციის კრიტერიუმი და ევროკავშირის ქარტია ფუნდამენტური უფლებებზე

კომპენსაციის პოლიტიკური კრიტერიუმის მიხედვით ევროკავშირში განცხადებისათვის საჭიროა, რომ „კანდიდატმა ქვეყანამ მიაღწიოს ინსტიტუტების სტაბილურობას, რომლებიც დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და უმცირესობის უფლების დაცვის გარანტი იქნება“. ამის მსგავსად ევროკავშირის ფუნდამენტური აქტის მე-9 მუხლი, ამსტერდამის ხელშეკრულება აცხადებენ, რომ „კავშირი დაფუძნებულია თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვის, კანონის უზენაესობის, ნევრი-სახელმწიფოებისათვის საერთო პრინციპებზე“.

განცხადებისათვის საჭირო პოლიტიკური

კრიტიკის შესრულების მოთხოვნის გამო, რომელიც არ არის დაკანდილებული ქვეყნის შიდა კონსტიტუციის საერთო ევროპული სტანდარტების დანერგვის გულისხმობს. პოლიტიკური კრიტიკის შესრულების მოთხოვნის დაკანდილება ქვეყანაში საკუთარი კანონმდებლის პარამონია უნდა მოიცავდეს ე.წ. *acquis communautaire*-სთან, რომელიც შიდა საკანონმდებლო და შეიცავს ყველა იმ კანონს, ნორმასა და მათთან დაკავშირებულ ინსტიტუტებს, რომლებიც ევროკავშირის ყველა წევრისთვის სავალდებულოა.

1999 წლის ივნისში კიოლის სამიტზე ევროკავშირის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ „ფუნდამენტური უფლებების ევროპის კავშირის ქარტიის“ პროექტზე.

ევროპის კომისიის პროგრეს-ანგარიში, თანამშრომლობა განცხადებისათვის და პოლიტიკური კრიტიკის მიხედვით.

1998 და 1999 წლებში ევროკომისიამ გამოაქვეყნა ორი ანგარიში განცხადების საკითხში თურქეთის მიღწევების შესახებ. ეს დოკუმენტები დეტალურად აღწერს თურქეთის მიმართ პოლიტიკური კრიტიკის შესრულების მოთხოვნებს, სადაც დაუკონტროლებელი სერიოზული სამუშაოები ჩასატარებელია:

- უმნიშვნელო წინსვლა კონსტიტუციური რეფორმის სფეროში;
- 10%-იანი საარჩევნო ბარიერის გამო, 31 მილიონი ამომრჩეველიდან 5 მილიონის მხოლოდ ნაწილი მონაწილეობს თურქეთის დიდ ეროვნულ ასამბლეაში;
- სასამართლო სისტემა გაუმჯობესებას საჭიროებს, რეფორმები უნდა გატარდეს სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში;
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭო კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- კორუფციის კონკრეტული ნაბიჯები ქუჩის თული წარმოშობის დემოკრატიული პარტიის წევრების დაპატიმრებისა და ქართული წარმოშობის მოქალაქეების უფლებების დაცვის საკითხში;

- საგანგებო მმართველობის რეგიონები კვლავ არსებობს;
- ბარიერები არსებობს პრესის, აზრის გამოხატვის, შეკრებებისა და ასოციაციების შექმნის სფეროში;
- სიკვდილით დასჯა არ არის გაუქმებული;
- ნაშვების მრავალი ფაქტი;
- უსამართლო სასამართლო პროცესები უნდა აღმოიფხვრას და უნდა გაუმჯობესდეს ციხეებში არსებული მდგომარეობა.

თურქეთის შიდა პრობლემების გარდა ევროპის კავშირის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება საერთაშორისო არენაზე არსებულ პრობლემებს ეხება. მათ შორისაა კვიპროსის

საკითხიც. უფრო მეტიც, ანგარიში კანდიდატ-სახელმწიფოს უფლებებს მუშაობისთანავე მიანიჭებს გაუმჯობესების შემთხვევაში დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის აუცილებლობას.

კომისიის 1999 წლის ანგარიში ასახავს კანდიდატი ქვეყნების მიერ ნაჩვენებ შედეგებს და ადამიანის უფლებების დაცვაში გაკეთებულ პოზიტიურ ძეგლებს. ევროკავშირი რეკომენდაციას აძლევს ყველა კანდიდატ-ქვეყანას ხელი მოაწეროს 18 კონვენციასა და პროტოკოლს, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დაიდო. ანგარიშის მიხედვით, თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც 18-დან 11 დოკუმენტზე არა აქვს ხელი მოწერილი.

უახლოეს პერიოდში ევროკომისია თურქეთს, სანამ იგი ევროკავშირის საბჭოს ანგარიშს წარუდგენს, შარშანდელი ნოემბრიდან მოყოლებული თურქეთში არსებულ ვითარებაზე დოკუმენტურ მონაცემებს, სადაც კომპენაგენის კრიტიკური შიდა შესასრულებელი მოკლე და გრძელვადიანი რეკომენდაციები იქნება წარმოდგენილი.

პოლიტიკური დიალოგი

პოლიტიკური დიალოგი ყველა წევრ-სახელმწიფოსთან მიმდინარეობს. განცხადების პროცესს თანაგრძნობს ორი ძირითადი ორგანო: ასოციაციის საბჭო და ერთობლივი საპარლამენტო კომისია. პირველი შედგება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან. მისი პრეზიდენტი ყველა 6 თვეში როტაციის პრინციპით იცვლება. მეორე კი, 12 ევროპარლამენტარისა და კანდიდატი ქვეყნებისგან არჩეული 12 საპარლამენტარისგან შედგება. ეს სტრუქტურები კანდიდატი ქვეყნების ევროსტანდარტებზე დაახლოებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის მუშაობენ. გარდა ამისა, მხარეები ცდილობენ კანდიდატ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ახლო ურთიერთობის განვითარებას, განსაკუთრებით კონტინენტზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებსა და კანდიდატთა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერას.

თანამშრომლობა სასამართლო სფეროში

ევროკავშირის მესამე მნიშვნელოვან ფუნდამენტური აქტი, ამსტერდამის შეთანხმება სასამართლო და პოლიციის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს ეხება. განცხადების პროცესში კანდიდატ ქვეყნებსა საკუთარი კანონმდებლობის ტრანსფორმაცია უნდა მოახდინონ, უნდა მიიღონ ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სასამართლოსა და პოლიციის საკითხებს უკავშირდება. განცხადების პერიოდისთვის ამ სფეროში კანდიდატი ქვეყნების კანონმდებლობა ევროპულთან მაქსიმალურად დაახლოებული უნდა იყოს. ამ სფეროს განვითარება თავისთავად მიყვება, საგარეო საზღვრები, მიგრაცია, ორგანიზებული

დაწამაშავება, კორუფცია, ნარკოტიკები, ტერორიზმი, ეროვნულ პოლიციებს შორის თანამშრომლობა, სამოქალაქო და კრიმინალურ საქმეებზე სასამართლო თანამშრომლობა, ტრენინგ პროგრამები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. ყველა ეს სფერო კარგად ესადაგება დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, რომლებიც კომპენაგენის კრიტერიუმით არის გამოცხადებული.

განცხადებისათვის აუცილებელი წინაპირობაა თურქეთში კომპენაგენის კრიტერიუმის დაკმაყოფილება. ამ პროცესში თურქეთი მხოლოდ საკუთარ ძალზე უნდა დაეყრდნოს. ევროინსტიტუტებსა და წევრ-სახელმწიფოებს მხოლოდ რჩევების მიცემა და ტექნიკური დახმარება შეუძლია. ეს გარკვეულწილად პოლიტიკური შეთანხმებაა, რომელსაც ნაკლები მატერიალური სახსრები სჭირდება, ვიდრე ეკონომიკურ შეთანხმებებს, მაგრამ საინიციატივო დიდ მორალურ და პოლიტიკურ გამძლეობას მოითხოვს.

შელისნისის სამიტი: ახალი ერა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში

თურქეთის ევროკავშირის კანდიდატ-ქვეყნად დასახელების ორშრივი ურთიერთობაში ახალი ერა დაიწყო. სამი წლის წინათ ლუქსემბურგის სამიტზე ევროკავშირის ახალი გაფართოების პოლიტიკა თურქეთის მიერ უსამართლოდ იყო შეფასებული. მიღებული გადაწყვეტილება თურქეთის სხვა კანდიდატების მსგავს კონტექსტში არ განიხილავდა. ანგარიშ კავშირში გასანერგვად გარკვეული პირობები წაუყენეს.

ევროკავშირის ლუქსემბურგის სამიტის მიდგომა თურქეთისადმი უსამართლოდ შეაფასეს რამდენიმე ფაქტორის გამო: სრული განცხადების მიზნის ლეგიტიმურობა თურქეთ-ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმებაში იყო ჩადებული; თურქეთის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილი უკავია დასავლეთ ევროპაში, როგორც ნატოს წევრ-სახელმწიფოს; მისი ეკონომიკური დინამიზმი და სერიოზული დაზარად გადაქცევის დიდი პოტენციალი; საზოგადოებრივი აზრი თურქეთის, როგორც სეკულარული დემოკრატიის, ევროპაში ინტეგრაციის უპირატესობაზე; სამოქალაქო საზოგადოების დასახურება დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების საქმეში, რომელიც თურქეთში ბოლო წლების პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო.

1999 წლის სექტემბერში ფინეთის მთავრობამ თურქეთის საკითხი შემდეგი ფორმით დააყენა: შეიძლება თურქეთის სტატუსის შესახებ შეიძლება პასუხი გავცეთ არსებული ვითარების, თუ გავაზრთ თურქეთის გრძელვადიანი სტრატეგიისა და თურქეთისადმი ევროკავშირის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. ევროპის საქმიანი სამყაროს პასუხი ამ კითხვაზე ცალსახა იყო:

თურქეთი მნიშვნელოვანია ევროპისათვის და მას უნდა მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი.

ევროკავშირის პელსინკის სამიტის შემდეგ თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში ახალი ძალა შეიძინა. თუმცა, ურთიერთობის პოტენციალად ამ გრძელ და ვიწრო გზაზე არსებული უმარავი სხვადასხვა პრობლემა და ბარიერი. შემაფერხებელი ფაქტორებია: საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობა, თურქეთის ევროკავშირში განცხადებაზე შიდა ევროპული კონსერვატორული რეაქცია, ევროპის საზოგადოებრივი აზრი თურქეთ-ევროპის კავშირის მომავალ ურთიერთობაზე, თურქეთის შიდა პოლიტიკური ფაქტორები. ყველაზე ყურადსაღები სფეროები იქნება თურქეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელების პროცესი და ევროკავშირში თურქეთის ინტეგრაციის შესახებ თურქეთის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა.

ამჟამად თურქეთი აღიარებულია, როგორც სრულუფლებიანი კანდიდატი. თურქეთის ასოციაციის საბჭოს ფექტური მუშაობა, ევროკავშირის მიერ ფინანსური თანამშრომლობის სფეროში ვალდებულებების შესრულება და თურქეთის ევროკავშირისა და კანდიდატ-ქვეყნებს შორის გაზარტული ყველა ინიციატივაზე მონაწილეობა ურთიერთობის განვითარების მხრივ ნათელ მომავალს მოგვცა.

შელისნისის სამიტის შემდეგ შემდგომი ფაზა ევროკავშირში განცხადების მოლაპარაკების დაწყების პროცესია. ამ მიზნის მისაღწევად ევროპულმა საბჭომ კომპენაგენის კრიტერიუმის შესაბამისად თურქეთი უნდა აღიაროს, როგორც კანდიდატი ქვეყანა, რაც მიიღება ფორმალური მოლაპარაკების დასაწყისი უნდა გახდეს. კომპენაგენის პოლიტიკური კრიტერიუმები თურქეთის შიდა პოლიტიკური რეფორმების დაქვეყნებასა და გაღრმავებას მოითხოვს. რეფორმების მიზანია თურქეთის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში კანონმდებლობის დახვეწა.

ამავე დროს, თურქეთი მოგებული დარჩება კანდიდატის სტატუსის მიღებით, რადგან იგი რამდენიმე პოზიტიურ მომენტს შეიცავს:

კანონმდებლობის ანალიზი: ევროკავშირში მიღების პროცესი პირველ რიგში მოითხოვს თურქეთის კანონების ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარამონიურობის ხარისხის შემოწმებას პროცესის დაწყებას.

თანამშრომლობა განცხადებისათვის: ევროკომისია შეადგენს განცხადებისათვის საჭირო თანამშრომლობის დოკუმენტს, რომელიც საბოლოო განხორციელებისათვის 2000 წლის სექტემბერში იქნება მზად, როდესაც მას ევროკავშირის მინისტრთა საბჭო კვალდებით თურქეთის უმარავი სხვადასხვა საფუძველზე მიიღებს. ეს თანამშრომლობა გულისხმობს თურქეთისათვის მოკლე და გრძელვადიანი პროორიტიკების

შემუშავებას, რათა კოპენჰაგენის კრიტერიუმის შესაბამისად ევროკავშირში გასანერგებლად საჭირო დემოკრატიული, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები პერიოდულად გატარდეს.

ეროვნული პროგრამა: თურქეთის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური სამუშაო პროგრამა, რათა მოკლედ და გრძელვადიანი პროგრესები ევროპული ნორმების მისაღწევად ეროვნული პროგრამის ჩარჩოებში გადმოიტანოს. განვიხილოთ ნებისათვის თანამშრომლობის ფარგლებში პროგრამა ხელს შეუწყობს კომისიას თავისი ყოველწლიური პროგრეს-ანგარიშებისათვის მონიტორინგი აწარმოოს.

ფინანსური თანამშრომლობა: 1980 წლის შემდეგ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი ფინანსური თანამშრომლობა, ახლა შეიძლება თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობის ახალ ფაზაში გადავიდეს. ამ მხრივ, პროგრესის მნიშვნელოვან ასპექტს თურქეთის ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის დახმარების (PHARE) პროგრამაში ჩართვა წარმოადგენს. თურქეთის გარდა პროგრამაში პოლონეთი, უნგრეთი, მაღა და კვიპროსი მონაწილეობენ.

ევროკავშირის პროგრამები: თურქეთს შეუძლებლობა უნდა მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ყველა პროგრამასა და სააგენტოს საქმიანობაში. ევროპასთან ყოვლისმომცველი ინტეგრაციისათვის ეს ფაქტორი გადამწყვეტია. თურქეთს ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი გეო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა მისცეს ტრანსევროპულ ქსელებს (TENs) ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში.

პოლიტიკური თანამშრომლობა: თურქეთი ასევე იმედოვნებს მონაწილეობა მიიღოს საერთო ევროპული პოლიტიკის შემუშავებაში და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებში. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ შეწყვეტილი პოლიტიკური დიალოგი, კვლავ გააგრძელდება და თურქეთში პოლიტიკური რეფორმების გატარებაზე აქტიურად გააღვივდება.

თურქეთი, როგორც მზარდი ეკონომიკა: თურქეთის ეკონომიკამ 1999 წელს მძიმე პერიოდი გადაიტანა. ამის მთავარი მიზეზი იყო 1998 წელს თურქეთიდან მნიშვნელოვანი ფინანსების გადინება, 1996-1999 წლებში პოლიტიკური არასტაბილურობა, ქურთისტანის მუშათა პარტიის (ქმპ) ლიდერის, აბდულა ოჯალანის დაკავების შემდეგ თურქეთის ტურისტული ბიზნესის მიზანმიმართული დისკრედიტაცია, და ბოლოს, აგვისტოსა და ნოემბერში მომხდარი მძლავრი მიწისძვრები.

იმისდა მიუხედავად, რომ ეს მოვლენები თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებდნენ, 1999 წლის აპრილის არჩევნები ჩატარდა და ახალმა კოალიციურმა

მთავრობამ პარლამენტში უმრავლესობით ივნი-სში მოგვანება დაიწყო. რამდენიმე ფაქტორი თურქეთის ეკონომიკური შემობრუნების მანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. პოლიტიკურმა სტაბილურობამ პარლამენტში არაერთი საკანონმდებლო აქტის მიღება განაპირობა. ახალი კანონები უკვე მიღდება თურქეთის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, დეფიციტისა და ინფლაციის შემცირებისაკენ მიმართულ ახალ პოლიტიკას, პრივატიზაციის პროცესს;

2. ახალ შეთანხმებას მოეწერა ხელი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. გარდა ამისა, მთავრობამ 2000 წლისათვის შესაბამისი ბიუჯეტის აქტი მიიღო და მრავალმხრივი მონეტარული და ფაქტორული კურსის პროგნოზები შეიმუშავა;

3. ტურისტული ბიზნესი კვლავ აღმავლობის გასაღებად;

4. კერძო კაპიტალის მოდინებამ კვლავ მოიმატა. ვაშინგტონში მდებარე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პროგნოზით, წელს მზარდი ეკონომიკის ქვეყნები კერძო კაპიტალის მასშტაბი 190 მლრდ დოლარს მიაღწევს, ძირითადად უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (120 მლრდ დოლარი) ფორმით. თურქეთის წილი კაპიტალის გლობალურ მოძრაობაში 2000 წლისათვის გაიზარდება, მიმზიდველი გახდება რა უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის. გაიზარდება ასევე სტამბოლის საფონდო ბირჟის საერთაშორისო ავტორიტეტი;

5. ეს ფაქტი, რომ თურქეთი ახლა ევროკავშირში განვიხილავთ კანდიდატს, საერთაშორისო და შიდა ეკონომიკური აქტივობების წნობის მოპოვებაში განმსაზღვრელი ფაქტორია. იგი ასევე თურქეთში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებისა და პროგრესის მაშობრავებელი ძალაა.

მეორე მხრივ, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობების მიერ გამოყოფილი რისკის სფეროებია:

1. შესაძლო საზოგადოებრივი მღელვარება 2000-2001 წლების ინფლაციასთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში ხელფასების საკითხის გადწყვეტაში;

2. პრივატიზაციის პროგრამის ეფექტური განხორციელება, რაც სახსრები იწვევს უახლოეს 3 წელისა და 7.5 მლრდ დოლარს მოუტანს;

3. უახლოეს 3 წელისა და მიწისძვრის მუდმივი განხორციელების პროგრამების შემცირება;

4. ენერგოსექტორის განვითარება, რაც უახლოეს 25 წელისა და მრავალმილიარდობით საინვესტიციო პროგრამების განვითარებას მოითხოვს;

5. მეწარმეობის მხარდაჭერა, რათა საქმიანი გარემო თურქეთში დასავლეთთან ინტეგრაციის პირობებში კონკურენტუნარიანი გახდეს.

თურქეთს შეუძლია კარგად შეისწავლოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და

თავისი ეკონომიკის მოდერნიზაცია ევროპაში გავრცელებული საუკეთესო პრაქტიკისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მოახდინოს და ეკონომიკაში ევროპული მთავრობების მიერ დაშვებული შეცდომები თავიდან აიცილოს. უფრო დეტალურად ეს ნიშნავს ბაზრებისადმი პროდუქტის ელასტიურობის გაზრდას, კაპიტალისა და შრომითი ბაზრის ლიბერალიზაციას, სახელმწიფო სექტორის მასშტაბის შემცირებას, გადასახადების შემცირებას და კერძო კვლევების მხარდაჭერას.

თურქეთმა ევროპაში პოზიტიური როლი უნდა შეასრულოს. უახლოეს წლებში თურქეთს შედარებითი პოტენცია აქვს გააგრძელოს ზრდა, როგორც დინამიურმა ბაზარმა და საერთაშორისო ბიზნესისათვის რეგიონულმა ბაზამ. ამჟამად, თურქეთის მოსახლეობის 30% 15 წელზე ქვემოთაა, მოსახლეობის 65% ქალაქებში ცხოვრობს. 2025 წლისათვის, თურქეთის დემოგრაფიული ზრდა 88 მილიონზე დასტაბილურდება. ეს გრძელვადიანი დემოგრაფიული პერსპექტივა აჩვენებს, რომ თურქეთის საზოგადოება ტიპური ევროპული სოციალური მოდელის ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფვის.

ამავე დროს, თურქეთს მოუწევს რადიკალური ცვლილებების გატარება ეკონომიკის მართვისა და საგანმანათლებლო სისტემაში და მზარდ გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია. იმისდა მიუხედავად, რომ თურქეთში სწრაფად ვითარდება საინფორმაციო საზოგადოება, 1 მილიონი ინტერნეტის მომხმარებელი და 35 ეროვნული სატელევიზიო არხი, მისი მართვა და მომსახურება სტრუქტურულ ცვლილებებს საჭიროებს, რათა ტექნოლოგიურად ეფექტური, მისაწვდომი და გამჭვირვალე გახდეს.

ახალი საინფორმაციო საზოგადოების გამოჩენამ რევოლუცია მოახდინა ვაჭრობის, მომსახურების გაცვლის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღების სფეროში. ეს ტექნოლოგიური პროგრესი განვითარების ახალ ფაზაში გადასვლას დაიქარვს, გადაიჭრება რა ბევრი პრობლემა. ამავე დროს, გამოჩნდება ახალი საერთო პრობლემები. დღეს უკვე არაერთი დავობს იმაზე, რომ გარემოს დაცვა, კრიმინალური საქმიანობა (ნარკოტიკების კონტრაბანდა, ტერორიზმი და ფულით გათვითება) ევროპულ საზღვრებს სცილება.

სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ასევე ახალ მიდგომას უნდა დაეფუძნოს. ამ გლობალურ კონტექსტში ევროპული ინტეგრაცია უკვე გადამწყვეტ ფაზაშია, ევროსა და ახალი წევრების მიღებით. ევროკავშირი XXI საუკუნეში შედის ისტორიული გამორევეთი დაუმტკიცოს მსოფლიოს წარმატებული პოლიტიკური გაერთიანების მოდელის არსებობის შესაძლებლობა იმ კონტინენტზე, რომელიც ერთ დროს მსოფლიოში ყველაზე დიდი დამპირების ადგილი იყო.

ასევე საჩვენებელია დემოკრატიის ის უნივერსალური მოდელი, რომელიც ეთნიკურ, ენობრივ და რელიგიურ განსხვავებაზე მაღლა დგას.

ევროპული იდეალების ძლიერება ასევე განპირობებულია ეკონომიკური კრიტერიუმით, რაც ევროკავშირის მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ცენტრად აქცევს.

სამეწარმეო საქმიანობა დაბალია, ცოტა ადამიანი მუშაობს და უმუშევრობა დიდია ევროპაში აშშ-სა და იაპონიისთან შედარებით. ამიტომ ევროკავშირის მნიშვნელოვანი მიზანია მისი გასაღების ბაზრის არეალის გაზრდა და ეკონომიკური დინამიზმის ხელის შეწყობა.

თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობა ევროპულ იდეალებსა და ლიბერალურებს თავისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მეორე მხრივ კი, ევროპული ინტეგრაციის პროცესი მომავლის უფრო ფართოდ და მრავალმხრივ ხედვას საჭიროებს, რათა წარმატებით გადაწყდეს მშვიდობის, უნივერსალური დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების საკითხები - თურქეთის აზრით, ამიტომაც თურქეთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომელიც ჩართული უნდა იყოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში, რადგან თურქეთის წვლილი XXI საუკუნეში ამ პრობლემის გადაჭრაში უმნიშვნელოვანესი იქნება.

სამოქალაქო საზოგადოების როლი ევროპაში

არასამთავრობო ორგანიზაციები ევროპაში ინტეგრაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ევროკავშირი კანდიდატ-ქვეყნებს, მჭიდროდ თურქეთთან ურთიერთობაში განსაკუთრებულ ყურადღებას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას აქცევს. სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის მიერ კოპენჰაგენის კრიტერიუმის შესრულებაში. ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნებისაგან არასამთავრობო ორგანიზაციების მაქსიმალურ განვითარებას მოითხოვს. ასოციაციების თავისუფლება და მათ საქმეებში სახელმწიფოს ჩართულობა ევროპაში დემოკრატიის ნიშნად ითვლება.

სამოქალაქო სექტორის განვითარებისათვის ევროკავშირი თურქეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს. ევროკავშირი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაციებთან: ინტელექტუალთა არასამთავრობო ორგანიზაციები - TESEV და TOSAV, ქალთა ჯგუფები - KASIDE და KADER, ახალგაზრდულები - AEGEE და AIESEC, ფონდები - TKV და TDV, სპორტსმენთა ქსელები - IULA და HCA, ეკონომიკური ორგანიზაციები - EGVEV და GAGEV.

ევროკავშირი თურქეთთან ურთიერთობის დროს ქვეყნის მთელი მასშტაბით არასამთავრობო

ორგანიზაციების ქსელის გაფართოებისა და გაძლიერებას თურქეთის დემოკრატიზაციისათვის გადაწყვეტად მიიჩნევს. მათდამი დახმარებას უფრო იზრდება.

ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციები თურქეთის ევროკავშირში განვითარებისათვის სახელმწიფო სტრუქტურებში დემოკრატიული რეფორმების გატარების აქტიურად ლობირებენ. მათი მხრიდან განსაკუთრებით აქტიურად გაისმოის მოწოდებები ახალი კონსტიტუციის მიღების შესახებ. თურქეთში დღეს 1980 წლის გადატრიალების შედეგად მიღებული 1982 წლის კონსტიტუცია მოქმედებს, რომლის არაერთი მუხლი მთლიანად გადახედვის მოითხოვს. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, თურქეთში კანონები განახლებასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას საჭიროებენ. მათ მიერ გამოყვანილი პრობლემები შემდეგია:

- სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება;
- სიკვდილით დასჯა არ არის გაუქმებული;
- წამება, გაქრობა და უსამართლო სასამართლოები გრძელდება;
- ციხეებში მდგომარეობა არ უმჯობესდება;
- ასოციაციების შექმნის თავისუფლება კვლავ შეზღუდულია;
- სარჩევნო კანონში 10%-იანი საარჩევნო ბარიერი სამართლიანობის პრინციპს არ შეესაბამება;
- სიტყვის თავისუფლება შეზღუდულია კანონებითა და კონსტიტუციით;
- საჯარო სამსახურში კორუფციისა და ნეპოტიზმის შემთხვევები მრავლადაა, არ არის უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა;
- ადმინისტრაციული და ფინანსური პრობლემების გამო საკანონმდებლო სისტემა არაეფექტურად მუშაობს.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, 1982 წლის კონსტიტუცია უნივერსალურ სტანდარტებს არ შეესაბამება და მისი გამოყენება მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებებით არის შესაძლებელი.

რას უნდა ესმოდა კონსტიტუციური ცვლილებები:

- ძირითადი უფლებები და თავისუფლებები უნდა გადავსადეს;
- ევროკავშირის მოთხოვნები ასევე უნდა აისახოს კონსტიტუციაში;
- კონსტიტუციის მეექვსე მუხლში სუვერენიტეტის უფლება უნდა გადაიხედოს, ისე როგორც ეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებშია;
- პარლამენტში დემუტატის მანდატის მოპოვებისათვის მინიმალური ასაკი 25 წელი უნდა გახდეს;
- პარლამენტართა იმუნიტეტი უნდა გადაიხედოს.

არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებით

თრეული მოწოდებით შეზღუდნ თურქეთის პრეზიდენტად აჰმედ ნეჯდეთ სეზერის არჩევას. სეზერმა ღიად განაცხადა, რომ კონსტიტუციის კრიტიკით პარამონიზაციის პროცესი უნდა გააქტიურდეს. არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტს კონსტიტუციის გადახედვის მოთხოვნაში ახსოვლურად ეთანხმებიან. სეზერის განცხადებით, 1982 წლის კონსტიტუცია ადამიანის მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს ზღუდავს და ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციას არ შეესაბამება. პრეზიდენტის თქმით, კონსტიტუციური რეფორმა დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებით ყურადღებას ეროვნული უშიშროების საბჭოს სტატუსს, სამხრეთ-აღმოსავლეთის პრობლემას, ქურთების საკითხს და სიკვდილით დასჯის გაუქმებას აქცევენ.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ეროვნული უშიშროების საბჭოს გაუქმებას რეფორმების პროცესში პრიორიტეტულად მიიჩნევენ, რადგან საბჭოში სამხედროების სამოქალაქოებზე გავლენა განუსაზღვრელია, რაც დემოკრატიული ქვეყნისთვის შეუფერებელია. გარდა ამისა, ისინი გენერალური შტაბის უფროსის თავდაცვის სამინისტროზე დაქვემდებარებას მოითხოვენ, რაც სამხედროების ანგარიშგადებული ინტერესების მიმართ გაზრდის. სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლი დასავლეთის მხრიდან ერთ-ერთი მოთხოვნაა. დასავლეთის ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში სამხედრო საქმეებზე სამოქალაქო კონტროლი დემოკრატიის ერთ-ერთი საფუძვლი ითვლება.

არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას რელიგიურ საკითხებს აქცევენ. ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლებში რელიგიის სწავლება არჩევითი უნდა იყოს და იგი ფილოსოფიის მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ.

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, იგი უნდა გაუქმდეს და სერიოზული დანაშაულისათვის სამოქალაქო პატიმრობა უნდა დაწესდეს.

თურქეთი და ევროკავშირი ახალ ათასწლეულში

ბოლო ათწლეულში მიმდინარე მდელვარე მოვლენების შემდეგ ევროპაში შექმნილი გარემო თურქეთის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის. დამანგრეველი მინისტრების მიუხედავად თურქეთი ახალ პერიოდს დიდი ოპტიზმით უყურებს. მოვლენების ყველაზე კარგ განვითარებად შეიძლება თურქეთის ევროკავშირის წევრ-კანდიდატად დასახელება ჩაითვალოს. ევროკავშირის წევრობაზე თურქეთის ოფიციალური საკანდიდატო სტატუსის მინიჭება ისტორიული მოვლენაა. ეს კანდიდატობა თურქეთის ისტორიული განვითარებისათვის, მისი გეოგრაფიული

ფიზიკისა და 1963 წლის ასოციაციური შეთანხმების ბუნებრივი შედეგია. გარდა ამისა, თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირის წევრი არ არის და მასთან საბაზო კავშირი აქვს. კანდიდატობა ხელს შეუწყობს არა მარტო ევროკავშირის ინტეგრაციას, არამედ მოდერნიზაციას და აყვავებას.

მთავრობამ უკვე დაიწყო ევროკავშირის წევრობის მისაღწევად პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში რეფორმების გატარება. ამ კონტექსტში მთავრობამ ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება და დემოკრატიზაციის პროცესი დააჩქარა. ამ სფეროში პროგრესი გულისხმობს კონსტიტუციური ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს წევრები მხოლოდ სამოქალაქო მოსამართლეებისა და პროკურორებისაგან აირჩევიან. მიღებულ იქნა ზომები თანამდებობის პირობად გამოყენების თავიდან აცილების შესახებ, პატიმრობისა და დაკავებული პირების მიმართ ცუდი მოპყრობის გამო პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ, შეღავათიანი სასჯელები იმათთვის ვინც, ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობდნენ, მაგრამ მკვლელობასა და შეიარაღებულ თავდასხმებში არ მყოფი მონაწილეობა და კანონმდებლობა, რომელიც სამოქალაქო მოსამხაზურებს დანაშაულის გამო სასამართლოს წინაშე უფრო ანგარიშვალდებულის გახდის. ეს არის უკვე გადამგზავლ აუცილებელ ნაბიჯთა მხოლოდ ნაწილი.

გარდა ამისა, სეპარატისტული ტერორიზმი თითქმის დამარცხდა. მიიღეს კანონი სეპარატისტულ ტერორიზმში მონაწილეთათვის. ამ სფეროში პროგრესი თავის დაღებით გაცვლით სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული სტანდარტების გაუმჯობესებაში იმპლიმენტაციასამუშაოზე მოახდენს.

პარალელურად მიმდინარეობს სამუშაოები ეკონომიკის სექტორში. თურქეთმა ბევრ სფეროში უკვე მიიღწია კონკრეტულ შედეგებს საგადასახადო სისტემიდან და მონეტარული და ვაჭრობის ბაზრებიდან დაწყებული, საბაზრო სისტემითა და სოციალური უსაფრთხოებით დასრულებული. სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმები სოფლის მეურნეობის, კომუნიკაციის, პრივატიზაციისა და ენერგეტიკის სექტორებში მოსამზადებელი ეტაპზეა.

ამ კონტექსტში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ხელმოწერილი შეთანხმება უდიდეს მნიშვნელობას იქნის. იგი ინფლაციასთან ხანგრძლივ ბრძოლაში სტიმულს უნდა გახდეს. 3 წლის განმავლობაში ფონდის დახმარება 4 მლრდ დოლარი იქნება. შეთანხმების ძალით, ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო ახალი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსისა და მონეტარული პოლიტიკის გაძლიერება. ამის პარალელურად, ცენტრალურმა ბანკმა ახალი გადაწყვეტილებები მიიღო ბაზარზე

ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

თურქეთს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს დასავლეთისა და ენერგორესურსებით მდიდარ აღმოსავლეთის შორის. 1999 წელს გაფორმებული შეთანხმებები გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირებაზე, არა მარტო ანატოლიის აქცევს ენერგომარშრუტების გაზავადენიზე, არამედ გლობალური მასშტაბის შედეგებს გამოიღებს. ამ პროექტების განხორციელებით თურქეთიდან ჩინეთამდე შეიქმნება სახელმწიფოთა ჯაჭვი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი გახდება. ეს ბუნებრივია თურქეთის სტრატეგიულ ღირებულებასა და გავლენას ახალ მნიშვნელობას შესძენს.

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი თურქეთისა და ახალ საერთაშორისო გარემოსა და განსაკუთრებით ევროპაში მისი ადგილის შესახებ, საერთო ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაა.

თურქეთი ნატოს წევრია 1952 წლიდან და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა ცივი ომის პერიოდში მას ატლანტიკური ალიანსის შიგნით მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა. პოლიტიკურ და უსაფრთხოების გარემოში ახალი პროცესების შედეგად თურქეთის პოლიტიკა დღეს კიდევ უფრო გაძლიერდა.

ნატო ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში უპირველეს ორგანიზაციად კვლავ რჩება. ევროატლანტიკური კავშირის შენარჩუნება კონტინენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში კვლავ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დასავლეთ ევროპის კავშირში თურქეთის წარმომადგენლობა და ბელგიაში ელჩის, თემულ ისეთის განცხადებით, თურქეთი, როგორც ევროპული ქვეყანა, ყოველთვის იზიარებდა ევროპელთა იდეას, რომ კონტინენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ევროპელებმა მეტი როლი და პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ.

ნატოს ვაშლიწინის სამიტზე ევროპისათვის ასეთი როლის მოზამდებლობისათვის აუცილებელი საფუძველი შექმნეს. თურქეთი დარწმუნებულია, რომ ახალი ევროპის უსაფრთხოების სისტემაში ევროკავშირის არანაწევრი ქვეყნებიც მიიღებენ მონაწილეობას. ანკარის განცხადებით, ევროპულ უსაფრთხოებაში ევროკავშირის არანაწევრი ევროპული ქვეყნების ჩართვა ამ სფეროში წარმატებული მუშაობისათვის გადამწყვეტია. ნებისმიერ შემთხვევაში, თურქეთი გარკვევით აცხადებს, რომ ევროპის უსაფრთხოებასა და თავდაცვაში თურქეთის მნიშვნელოვანი როლი უნდა მიეჩიოს და ამ სფეროში გადამგზავლ ყველა ნაბიჯი თურქეთის უშუალო მონაწილეობით უნდა მიმდინარეობდეს.

თურქეთის როლი, როგორც ცენტრალური აზიისა და ატლანტიკური ზონის დამაკავშირებელი, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

ვიდრე ოდესმე. ანკარის აზრით, თურქეთი არა მარტო გააგრძელებს ევროპის უსაფრთხოებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, არამედ გადაწყვეტს როგორ შეასრულებს რეგიონული და გლობალური პრობლემების გადაჭრაში და XXI საუკუნის პოლიტიკის განსაზღვრაში.

თურქეთის ამოცანები ახალ ათასწლეულში

შელსინგის სამიტზე თურქეთის კანდიდატ-სახელმწიფოდ დასახელებით XXI საუკუნეში თურქეთის უმთავრეს ამოცანად ევროკავშირში სრული განეწიანება იქცა. ამის შესახებ განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმაც, რომელმაც ახალ საუკუნეში თურქეთის უპირველეს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტად ევროპასთან საბოლოო ინტეგრაცია დაასახელა.

თურქეთის ძირითადი პოლიტიკა XXI-ე საუკუნეში მიმართულია რეგიონულ ცენტრად და ჩსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაკენ. მსგავსი მიზანი კი ევრაზიის სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ურთიერთობით მიიღწევა. ევროკავშირში განეწიანებით ევრაზიის გასაყარზე მდებარე თურქეთი შეძლებს საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიისა და ცივილიზებული ინსტიტუციონალური სტრუქტურების განვითარებას. მსგავსი მიზანი კი ევრაზიის სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ურთიერთობით მიიღწევა. ევროკავშირში განეწიანებით ევრაზიის გასაყარზე მდებარე თურქეთი შეძლებს საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიისა და ცივილიზებული ინსტიტუციონალური სტრუქტურების განვითარებას.

ევსკარტების განცხადებით, თურქეთი ამ უზარმაზარ რეგიონში რამდენიმე როლს ასრულებს:

- რუსეთის ექსპანსიონიზმის შესაძლო განახლების წინააღმდეგ ბუფერული ზონა;
- ირანის, ერაყისა და სირიის დაბალანსება;
- ევკასიასა და ცენტრალურ აზიაში სტაბილურობის წყარო;
- ნატოს საიფრთხოება მოკავშირე.

თუმცა, ევროკავშირი თავის ხედვას ეკონომიკური, სახელმწიფო და პოლიტიკური გაფართოვების შესახებ თავისი საზღვრებით საზღვრავს. იმისა და მისგანაა, რომ მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები ევროკავშირის საკუთარ საზღვრებში ჩაქვეტის საშუალებას არ მისცემს. თურქი ანალიტიკოსების განცხადებით, უახლოეს 20 წელიწადში ევრაზიაში, რომელიც ევროკავშირის ბუნებრივი გაფართოვებაა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. რელიგია, ეთნიკური წარმოშობა, დემოკრატიზაცია, მასობრივი განადგურების იარაღი და ულტრანაციონალიზმი ამ რეგიონის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ელემენტები გახდებიან. ევროპას კი არ შეუძლია ინდიფერენტული გახდეს ამ ცვლილებებისადმი. ანალიტიკოსების აზრით, ევროპამ უზარმაზარ რეგიონში მოვლენების განვითარებას ვერ გაეცემა.

არგუმენტების ფაქტებით გაქარწყლება უწევდა და ცდილობდა ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ თურქეთის საზოგადოების ცხოვრება, ისევე ევროპული იყო, როგორც დანარჩენი ევროპელების. თურქებს ამის მაგალითად საბერძნეთი, ევროკავშირის წევრ-ქვეყანა მოჰყავდათ, რომელთანაც თურქეთის ევროკავშირის წევრებისაგან ყველაზე დიდი კულტურული ახლობლობა აკავშირებს. თურქების განცხადებით, რასაც საბერძნეთის ეთნოლოგიურ და სოციალურ კვლევებზე ამბობენ, იგივეს ნახვა ევროპის ზღვის აღმოსავლეთითაც შეიძლება. ძირითადი განსხვავება რელიგიური ნორმები და ტრადიციებია, რაც ადამიანთა ცხოვრებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს.

„თანამედროვე თურქეთის დაბადებად“ ზოგი 1923 წლის 29 ოქტომბერს, რესპუბლიკის გამოცხადების დღეს მიიჩნევს, ზოგი კი თურქეთის ევსკარტის დღესასწაულის, 150 წლის წინათ იწყებს. დასავლური ღირებულებები თურქეთში ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს. ჯერ გამოცხადდა რესპუბლიკა, გაუქმდა სასულთნო და სახალიფო, აიკრძალა რელიგიური ორდენები, მიიღეს დასავლეთ ევროპული კანონდარი და სამოქალაქო კოდექსი, გააუქმეს ისლამი, როგორც სახელმწიფო რელიგია, მიიღეს ლაიკური აღფავიტი, შემოიღეს სახელეები, ქალებმა ეროვნული ასამბლეის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიიღეს.

დასავლური ყაიდის რეფორმები თურქეთში მოკლე პერიოდში განხორციელდა, თუმცა ქვეყნის აღმოსავლეთის, სოფლებისა და დაბად ფენებს მოდერნიზაციის პროცესი ნაკლებად შეეხო.

II მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთში რესპუბლიკის პროცესი დაიწყო. რელიგიური მხრივ დაბალი ფენებისათვის გახდა დამახასიათებელი. ევროპეანობა კი პოლიტიკური იდეოლოგიის, ქვეყნის დემოკრატიზაციის წინადაც 1960, 1971 და 1980 წლების სამხედრო გადატრიალებებმა შეუშალეს ხელი. პოლიტიკაში სამხედროთა ჩარევამ დასავლეთის თვალში თურქეთის იმიჯი შეარყია. თავად თურქები პოლიტიკაში სამხედროთა ინტერვენციას სახელმწიფოში არსებულ კონფლიქტის გაგარტელებასთან შედარებით უმცირეს ბოროტებად მიიჩნევდნენ. გადატრიალებებს მხარს უჭერდნენ პოლიტიკოსები, ინტელიგენცია, სახელმწიფო მოხელეები და ოფიცრები.

თურქეთში რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე მმართველმა კლასმა დასავლური მოდელის გადმოღება დაიწყო. სისხლის სამართლის კოდექსი იტალიური კოდექსი შეესაბამებოდა, სამოქალაქო კოდექსი შვეიცარიულს, კომერციული გერმანულს და იტალიურს, ადმინისტრაციული კი ფრანგულს.

ქმისტიანული ღირებულებები და

თურქეთი

შელსინგის სამიტის შემდეგ თურქეთის ევრო-

კავშირის კანდიდატობის შესახებ დებატები ევროპულ მედიასა და პოლიტიკურ წრეებში კვლავ გრძელდება. თურქეთის აზრით, დასავლურ პრესაში დებატების მთავარი საკითხი მდგომარეობა იმაში, თუ როგორ შეიძლება ისლამურმა სახელმწიფომ აზიურ წარმოშობით ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციასთან ზიარება შეძლოს. ერთი მხარეებით, ევროპელებს სჯერათ, რომ ევროპული კულტურის სული და არსი ქრისტიანულ ღირებულებებს ეფუძნება. ტრადიციული ორიენტაციის ევროპელები თურქებს საკუთარ ნაწილად არ თვლიან.

თურქების აზრით, ეს ისტორიული ცრურმენა პირველად თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან გამოჩნდა. ევროპელთა სკეპტიციზმმა თურქეთი მიმართ შედარებით იკლო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, როცა თურქეთში პლურალისტური დემოკრატიის განვითარება დაიწყო. თურქეთის ეს ნაბიჯი დასავლეთში პოზიტიურად მიიღეს.

ცივი ომის პერიოდში ერების დაყოფა ქრისტიანულად და მუსლიმურად კომუნიზმსა და დემოკრატიას შორის იდეოლოგიურ დაპირისპირებასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა. ცივი ომის დროს თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ თურქეთის ისლამი ევროპისათვის საფრთხის წყაროდ არ განიხილებოდა. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთი დასავლეთის თავდაცვის სისტემაში ძველებურად მნიშვნელოვანი სახელმწიფო აღარ იყო. შედეგად თურქების ტრადიციული წარმოდგენები იმის თაობაზე, რომ განსხვავებული რელიგიისა და ცივილიზაციის ევროპაში მათ ადგილი არა აქვთ, კვლავ წარმოიშვა.

ევროპელთა ეს განწყობილება პერიოდულად ელინდებოდა. 1997 წლის მარტში, ბრიუსელში ევროკავშირის კონფერენციაზე ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ „თურქეთის ადგილი ევროპაში არ არის, რადგან იგი არ ფლობს ევროპისათვის დამახასიათებელ ქრისტიანულ, კულტურულ და პოპულარულ ღირებულებებს“. ამგვარი მოსაზრებები მომზარებული გახდა. თურქეთის ინტეგრაციის მატერიალური და სოციალური ღირებულება ძალიან მაღალი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ევროპა თურქეთის რეგონში და შიდა პრობლემების შესაძლო გავლენას უფრთხობდა.

თურქეთის ისტორიული მისია

თურქეთის ევროკავშირში განეწიანების კანდიდატ ქვეყნად გამოცხადება თურქეთისათვის კარგი მოტივაციაა სხვადასხვა სფეროებში პროგრესს მიაღწიოს, ისევე როგორც თურქეთმა შესაძლებელია მისი ისტორიული მისია შეასრულოს. რას გულისხმობს ეს ისტორიული მისია?

დასავლეთში გაბატონებული მოსაზრებით

პლურალიზმი, დემოკრატია და ინდუსტრიული საზოგადოება შეიძლება მხოლოდ ქრისტიანული ცივილიზაციის კონტექსტში განვითარდეს. იაპონური დემოკრატია ამ პრინციპიდან გამომდინარეობს. თურქეთში, როგორც სეკულარულმა, პლურალიზმმა, დემოკრატულმა და დასავლურმა ყიდაოს ეკონომიკური წყობის ქვეყანაში შეუძლია დაარღვიოს ეს თეზისი. გარდა ამისა, თურქეთი შეიძლება ისლამური სამყაროსათვის მიმზიდველ მოდელად იქცეს. თურქეთის ისტორიული მისია ეს სწორედ ეს არის.

არის 3 გზა, რომლითაც თურქეთს ამ მისიის მიღწევა შეუძლია. პირველი, თურქეთმა უნდა გააუმჯობესოს ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატია. მეორე, თურქეთმა უნდა დაამყაროს შიდა სტაბილურობა და მშვიდობა და ერთხელ და სამუდამო აღმოფხვრას ტერორიზმი. მესამე, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ხელმოწერა შთანხმება, ისევე, როგორც სხვა სტრუქტურული რეფორმები, ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად წარმატებით უნდა განახორციელოს.

ამ მიზნების მიღწევა თურქეთს არა მარტო ევროკავშირის წევრობისაკენ გაუხსნის კარს, არამედ თურქეთს განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებს, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. თურქეთს ენიჭება სამყაროში, ერთადერთი მუსლიმური სეკულარული დემოკრატიული სახელმწიფო. ამ გზით თურქეთს მიეცემა შესაძლებლობა მხარი დაუჭიროს რეგიონულ სტაბილურობას და აღმოსავლეთ-დასავლეთის შორის ხიდის როლი შეასრულოს. ასე, რომ თურქეთის ისტორიული მისია და თურქეთის ევროკავშირში წევრობა ერთმანეთს თანხვედრა.

თურქეთის ისტორიულ მისიაზე განცხადება გააკეთა აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა შარშან, როდესაც ის თურქეთის პარლამენტში სიტყვით გამოვიდა: „თურქეთი არის ქვეყანა, რომელიც XXI-ე საუკუნეში თავის სიტყვას იტყვის“. კლინტონმა თურქეთი არა მარტო შეაქო, არამედ პარლამენტის 550 წევრს შეახსენა თურქეთის ისტორიული მისიის შესრულებაზე აღებული პასუხისმგებლობა.

დღეს უკვე ევროკავშირში განცხადება თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში ქვეყნის ისტორიული მისიის რეალიზებისაკენ მიმავალ გზად აღიქმება.

ოპოზიციის მხარე (ოპოზიციის ხმები)

ცივი ომის დასრულების შემდეგ სრულიად ახალ გარემოში მოხვედრილი თურქეთი ახალი არჩევანის წინაშე დადგა. საბჭოთა კავშირის დაშლით გაქრა ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხე, სპარსეთის ყურის ომში კი თურქეთი დასავლეთის კოალიციის მხარეზე გამოვიდა, რამაც თურქეთის, როგორც დასავლეთის საიმედო

მოკავშირის სტატუსს, კიდევ ერთხელ სერიოზულად გაუსვა ხაზი. თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში სპარსეთის ყურის ომს თურქეთის ვესტერნიზაციის გამოცდად მიიჩნევენ. ომის დამთავრების შემდეგ ყველამ აღიარა, რომ თურქეთმა ახლო აღმოსავლეთში თავისი მისია კვლავ შეასრულა.

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საფრთხეების შემცირების შემდეგ თურქეთის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ახლა უკვე თურქეთის მეტი დრო ჰქონდა, რათა დასავლეთთან ინტეგრაციის გაუმჯობესებზე შეეზრუნა.

ცივი ომისა და სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ თურქეთს ორი მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა მისაღწევი. ერთი მხრივ, თურქეთის სახელმწიფოს დამოუკიდებელი ქრისტიანის მუშაობა პარტია, რომელიც ტერორისტულ აქტებს უკვე ტურისტულ ქალაქებში, სტრატეგიულ ბიზნეს-ცენტრებსა და დიდ ქალაქებში აწყობდა.

მეორე მხრივ, 90-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ევროკავშირთან ინტეგრაციის საბოლოო ეტაპს მიაღწია. საბაჟო კავშირის ხელმოწერის შემდეგ თურქეთი ევროპელებისაგან ევროკავშირში თურქეთის სრული განცვიკანებისათვის საბოლოო ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდნენ. საბაჟო კავშირის ძალაში შესვლამდე მძიმე მოლაპარაკებები გაიმართა, რის შემდეგაც თურქეთს ერთადერთი მკვეთარი მიზანი - ევროპაში საბოლოო ინტეგრაცია გაუქმდა.

ინტეგრაცია გულისხმობს ორ ან მეტ ეროვნულ საზოგადოებას შორის ცხოვრების ყველა ასპექტში, სოციალურში, პოლიტიკურსა და ეკონომიკურში დახლოებას. ასე, რომ თურქეთის ევროკავშირში საბოლოო ინტეგრაცია შეიცავს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებს.

ეს ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ პირველი დენიტიფიკაციის წყაროა, მეორე ინტეგრაციისაკენ არის მიმართული. ეს ორი საკითხი ერთმანეთისაგან განცალკევებულია დაგას, მაგრამ რეალურად იმდენად ურთიერთდამოკიდებული არიან, რომ მათი გაცემა თურქეთის საზოგადოებასა და პოლიტიკაზე უზარმაზარია.

სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ თურქეთი სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონში ქმნის სეპარატისტების ტერორისტულ მოქმედებებს შეეჯახა. ქმნის აქტიურობა განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ომის შემდეგ გაიზარდა. ჩრდილოეთ ერაყში ხელისუფლების ვაჟუშის შემწით ქმნის ისარგებლა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურა. მანამდე ანკარა ბაღდადიდან თანამშრომლობით რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას მეტნაკლებად ახერხებდა.

თურქეთის სამხედრო ოპერაციები ქმნის წინააღმდეგ ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე გადართვა. ამ ოპერაციებს შეენარა არა მარტო

სამხედროები, არამედ უზარალო მოქალაქეებიც. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების დარღვევები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც რეგიონში არსებული ვითარებიდან გამომდინარე გარდაუვალი ბოროტება იყო.

სპარსეთის ყურის ომმა ახლო აღმოსავლეთში თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა დაადასტურა. რეგიონში დღეს ფაქტობრივად არ არის ქვეყანა, რომელიც თურქეთის როლის შესრულებას შეძლებს. ეს არა მარტო სამხედრო და სტრატეგიულ სფეროებს ეხება. თურქეთის საგარეო პოლიტიკამ დადასტურა, რომ იგი ცალმხრივად დასავლეთისაკენ არის მიმართული. თუ თურქეთი ირანის მსგავსად ანტიდასავლურ პოზიციებზე გადავა, ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის ინტერესებს სერიოზული საფრთხე შეექმნება. ეს გამოწვეული არა მხოლოდ იმით, რომ თურქეთი დიდი ქვეყანაა რეგიონში თავისი არმიით, არამედ თავისი ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური პოტენციალით.

II მსოფლიო ომიდან დღემდე ორმხრივი ურთიერთობები პერიოდული ჩაჯვრდნებით ხასიათდებოდა. 1990-იანი წლებიდან თურქეთის მიერ ტერორიზმთან ბრძოლა უშუალოდ ევროკავშირში მის განცვიკანებას უკავშირდება. ამ წლებში ევროპის დამოკიდებულება თურქეთისადმი უაღრესად ნეგატიური იყო. ევროკავშირმა სახელმწიფოებმა თურქეთის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის მყარად მიზნად დაუდგინეს. ეს საუბრები განსაკუთრებით ტერორიზმის საკითხზე უკავშირდებოდა.

როგორც ყოველთვის, თურქეთს ადამიანის უფლებების ცუდი დაცვის გამო აკრიტიკებდნენ. თურქეთისათვის ეს დიდი სიუპრიზი არ იყო, რადგან 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ევროპელები თურქეთთან ურთიერთობას ხშირად წყვეტდნენ. თურქეთს შეუჩერეს ევროსაბჭოში წევრობა, შეუნყვრეს ყველა საგარეო ეკონომიკური დახმარება. ადამიანის უფლებების საკითხს აქტუალობა ახლაც არ დაუკარგავს. პირიქით, თურქეთის ევროკავშირში განცვიკანების ერთ-ერთ ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაში არსებულ დარღვევებს ასახელებენ.

საბაჟო კავშირის ხელმოწერამდე ევროკავშირმა თურქეთს სერიოზული პირობები წაუყენა. კვიპროსის საკითხი ტრადიციულად საბერძნეთის ლობირების შედეგი იყო, რომელიც თურქეთს ევროკავშირთან ინტეგრაციის ნებისმიერ ეტაპზე ბარიერად ხდებოდა. გარდა ამისა, ევროპელებმა თურქეთს პოლიტიკური და ადამიანის უფლებების დარღვევები შეახსენეს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის კლაუს კინკელის განცხადებით, პოლიტიკური ბარიერების არსებობის შემთხვევაში საბაჟო კავშირის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.

ყველაფრის მიუხედავად თურქეთ-ევროკავშირის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის ძალაში შესვლის გადამწყვეტილება მიიღო. თუმცა, ეს არ წინააღმდეგ თურქეთის ევროკავშირთან პრობლემების დასრულებას. პრობლემა საბაჟო კავშირის ძალაში შესვლისთვის ევროპარლამენტის რატიფიკაცია გახდა. თურქეთი ევროკავშირის საბაჟო კავშირში პოლიტიკური ხასიათი ორი მიზეზის გამო შეიძინა. პირველი იყო, საბერძნეთის პოლიტიკა, რომელიც თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის კვიპროსის საკითხს უკავშირდება. მეორე მიზეზი უშუალოდ ეკონომიკას უკავშირდებოდა, მაგრამ იგი ევროკავშირის მხრიდან პოლიტიზირებული იყო. თურქეთში რეფორმების გატარება ევროპარლამენტის მიერ საბაჟო კავშირის შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ იყო.

შემდგომი პრობლემები მაშინ წარმოიშვა, როდესაც ევროპელებმა თურქეთის ევროკავშირში განცვიკანება თურქეთის შიდა პოლიტიკაში ჩარევის წინაპირობად გამოიყენეს. ევროპელებმა თურქეთის პოლიტიკოსებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა დემოკრატიული პარტიის დეპუტატების სასამართლო პროცესი, ანტიტერორისტული კანონის მერვე მუხლის გაუქმება, მთელი რიგი ცვლილებები და რეფორმები მოსთხოვეს.

დემოკრატიული პარტიის წევრების სასამართლო პროცესმა დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის დიდი ყურადღება გამოიწვია. დასავლეთმა პარტიის წევრების სასამართლო ვერდიქტსგან დაუყოვნებლივ გაათავისუფლება მოითხოვა. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჯაკ დელორმა კი ევროკავშირში თურქეთის განცვიკანების საწინააღმდეგოდ ეს ფაქტი მოიყვანა და ანკარას ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება მოსთხოვა. საბოლოოდ, ევროპარლამენტმა განაცხადა, რომ მანამდე არ დაამტკიცებდა საბაჟო კავშირს, სანამ თურქეთი ადამიანის უფლებების დაცვაში გარკვეულ პროგრესს არ მიაღწევდა.

ზემოაღნიშნული საკითხებს უშუალოდ უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვა. ევროპარლამენტში რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციების გავლენის ქვეშ იყვნენ, ამ სფეროში თურქეთზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ევროპარლამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჟურნალისტების, მწერლებისა და მცენარეულების დამატირების, ციხეში წაშვებისა და სივრცეებიდან ადამიანების უგზოუკვლოდ გაქრობის მრავალ ფაქტს. შედეგად ევროკავშირმა თურქეთთან საბაჟო კავშირის დადება და შემდგომ კავშირში განცვიკანება ადამიანის უფლებათა დაცვაში მდგომარეობის გაუმჯობესებას დაუტოვა. ევროკავშირი თურქეთს იზოლაციით დამუქრდა, თუ ეს უგანჯანელი აქტიულობები ნაბიჯების გატარებაზე უარს იტყობდა.

ევროპელების კრიტიკა თურქეთის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვაში

ძირითადად ანკარის ქმარსთან ბრძოლის უკავშირდება. ევროკავშირის განცხადებით, თურქეთს ქმარს პრობლემა სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე უნდა გადაეწყვიტა, პოლიტიკური და უფრო დემოკრატიული მეთოდების გამოყენების გზით. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თურქეთს სამხრეთ-აღმოსავლეთში არსებული პრობლემის გადაწყვეტა ევროპის საბჭოს პრინციპების დაცვით მოსთხოვა. უფრო მეტიც, ევროკავშირმა ნათლად განაცხადა, რომ თურქეთს კავშირში გაწევრიანებამდე „ქუთუთული პრობლემა“ პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაეწყვეტა.

ევროკავშირი თურქეთს ასევე აკრიტიკებდა ჩრდილოეთ ერაყში წარმოებული სამხედრო ოპერაციების გამო, კლავს კინკლავის განცხადებით, ოპერაციების ყოველდღიური გაგრძელებით თურქეთის პოლიტიკური იმიჯი უარსდებოდა და მისი ევროკავშირში გაწევრიანება უფრო რთულდებოდა.

უფრო მეტიც, ქუთუთული პოლიტიკური ორგანიზაციები ევროპის სხვადასხვა დედაქალაქებში თავის წარმომადგენლებებს ხსნიდნენ და სატელევიზიო გადაცემებზე უშვებდნენ. ევროპაში მიმდინარე პროცესები ქუთუთულ საკითხთან დაკავშირებით ანკარისათვის დიდი დარტყმა იყო. თურქეთში სერიოზულად დაფიქრდნენ ევროპელების მიერ თურქეთის იზოლაციის შესახებ.

ამ ზეწოლამ თურქეთის დასავლეთით ინტეგრაციის პროცესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. თურქეთის პოლიტიკურ ელიტაში ევროპის სტანდარტებზე ჩადვირდნენ.

დასავლეთის მიერ საბაჟო კავშირის ხელშეწყობის ფაქტის თურქეთის შიდა პროცესებზე ზეწოლისათვის გამოყენებამ ანკარას ორი არჩევანი დაუტოვა: პირველი, პოზიტიურად ეპასუხა ევროპელთა მოთხოვნებზე და რეფორმების გატარება დაეწყო, ან ევროპელთა ზეწოლაზე უარყოფითი რეაქცია გამოეწვინა. თურქეთის განწყობილება, საზოგადოებრივი და დანეგირი სახელმწიფო დონით დაბთავრებული, ერთგვაროვანი იყო. ევროპელთა „ინსტრუქციები“ თურქეთის სუვერენიტეტის დარღვევად იქნა შეფასებული.

სახელმწიფო დონეზე თურქეთის ხელისუფლებამ რადიკალიზაცია გამოიწვია, რომელიც ზოგჯერ ურთიერთსაინტერესო იყო. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარი განმასაზღვრელი ფაქტორი იყო პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი და საპარლამენტო პარტიები.

ქუთუთული პრობლემის გადაწყვეტისთან დაკავშირებით თურქეთის პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება ცალსახად უარყოფითი იყო. პრეზიდენტ დემირელის განცხადებით, ქუთუთული პრობლემის გადასაწყვეტად პოლიტიკური მეთოდების გამოყენება შეუძლებელი იყო. პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად მათი ძალის

მეშვეობით გაუმჯობესება იქნა მიჩნეული. დემირელის განცხადებით, ტერორიზმთან ბრძოლა არ ნიშნავდა ადამიანის უფლებების დარღვევას. ანკარის განცხადებით, ევროპელთა მხრიდან პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტისკენ მოწოდება სერვის ხელშეკრულების გამოძახილი იყო, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე ქუთუთული სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა.

მეორე მხრივ, დემირელი ევროპასთან ურთიერთობის აუცილებლობას ხაზს უსვამდა. თუმცა, ტერორიზმთან სამხედრო ფორმით ბრძოლის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შექნარუნებისათვის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდა.

ეროვნული ინტეგრაცია

ევროპა, ანუ უფრო სწორედ ევროპის კავშირი, ხშირად აღიქმება, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გავრთიანება. ახლა, როდესაც კავშირში გაწევრიანებისათვის არაერთი ქვეყანა იბრძვის, ისმება კითხვა, რამდენად მომგებიანი იქნება ევროკავშირისათვის ახალი ქვეყნების მიღება. რეალურად კავშირის გაფართოვების პროცესს სარგებელი უნდა მოუტანოს ორივე მხარეს, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში.

თურქეთისათვის ევროკავშირში ინტეგრაცია აღიქმება, როგორც ათათურქის მიერ დანერგული მოდერნიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესის კულმინაცია. თურქეთის კავშირში გაწევრიანებას ესწრაფვას აშშ-იც, რომელიც ცდილობს ევროპა აზიის გასაყარზე მდებარე თავისი სიმდიდრე მოკავშირე ევროპას „მიიბას“, არა მარტო სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გზით, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით.

თურქეთში არიან ძალები, რომლებსაც ევროპასთან ინტეგრაცია გულზე „არ ეხატებათ“ და ევროპასთან ურთიერთობების ოსტენტაციით იმეორებენ. დღეს თურქეთს ორი არჩევანი აქვს, ევროპასა და აზიასთან პოზიტიურად და მკაცრ მორბეული რგოლის როლი შეასრულოს, როგორც ევროპასთან დაახლოებულია ქვეყანამ, ან რეგიონში არსებულ არაბულ ქვეყნებთან ერთად ისლამური ალიანსი შეკრას.

დღეს თურქეთში საზოგადოებრივი აზრი ევროპისკენ არის მიმართული. ევროპასთან საბოლოო ინტეგრაციის ფაქტობრივად აღტყნა ტყუარა აქვს.

ბრიუსელსა და ანკარას შორის ურთიერთობის ანალიზის დროს პირველ რიგში ორმხრივი ინტერესების მთავარი სფერო ეკონომიკას შეეხება. ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნებს შორის განსაკუთრებით 1964 წლიდან განვითარდა. ანკარის შეთანხმების შემდეგ, დაიღო არაერთი ეკონომიკურად მნიშვნელოვანი შეთანხმება, რის შედეგადაც თურქეთი ევროკავშირის პერიოდში

ტულ პარტნიორობაში შევიდა.

დღეს უკვე თურქეთის მოსახლეობის ზრდა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება ევროკავშირის მენარმეებისა და საქმოსნებისთვის დიდ და მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. გარდა ამისა, თურქეთი უახლოეს პერსპექტივაში გაზისა და ნავთობის ყველაზე მსხვილ სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცევა, რაც თურქეთის, როგორც სამხედრო სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობას ევროკავშირისათვის ამაღლებს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირი თურქეთის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის მთავარი მომხმარებელია. ამ სფეროში ექსპორტის 50% ევროკავშირზე მოდის. თუმცა, სავაჭრო დეფიციტმა არათანაბარი ეკონომიკური ურთიერთობის გამო 1995 წელს 5.8 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია. ეს მაჩვენებელი 1992 წელს 2.2 მილიარდ ამერიკული დოლარი იყო. საბაჟო კავშირის ხელშეწყობის შემდეგ კი, 1996 წელს დეფიციტმა 11 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ექსპორტი ევროკავშირში იმპორტზე შედარებით მაღლობს, სავაჭრო დეფიციტს მაინც მაღალი რჩება.

თურქეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი წყარო ევროკავშირია. კავშირის წილი საერთო მაჩვენებელში 70%-ს შეადგენს. საბერძნეთის მუდმივი წინააღმდეგობების მიუხედავად, ბრიუსელის ფინანსური დახმარებით სავაჭრო მაღალია. სხვადასხვა ფინანსური პროტოკოლებითა და ევროპული პოლიტიკის ჩარევებით გამოიშველნენ 1963-1980 წლებში ანკარამ 705 მილიონი ეკუ მილიონი.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროკავშირში, განსაკუთრებით გერმანიაში, მილიონები მცხოვრები და მომუშავე თურქეთის მოქალაქე, რომელიც ორმხრივ დაახლოების აუცილებლობას ხაზს უსვამს. ეს ადამიანები თურქეთისათვის სერიოზული შემოსავლის წყაროა. გარდა ამისა, ისინი საკუთარ დაბადების ადგილს მნიშვნელოვნად სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებას სთხოვენ, რაც ორმხრივი თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი უსაფრთხოების საკითხებია. ევროკავშირმა თურქეთის სანაღმოდ და ღრუბულ მოკავშირედ, პირველად, ცივი ომის დროს გამოაცხადა, როდესაც თურქეთს ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტზე საბჭოთა ექსპანსია უნდა შეეცდოდა. მეორეჯერ კი, სპარსეთის ყურის ომის დროს, როგორც მთავარმა სამხედრო ბაზამ კავშირში ძალებისათვის.

თურქეთმა შეიძლება ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეში დასავლეთის ინტერესების დაცვის ახალი თავდაცვითი ფუნქცია შეიძინოს. გარდა ამისა, თურქეთს, როგორც დემოკრატიული და სეკულარული ქვეყნის მაგალითს, შეუძლია პოზიტიური როლი შეასრულოს ცენტრალურ

აზიასა და კავკასიაში ახალი პოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბებაში.

თურქეთის უსაფრთხოების ინტერესები დასავლეთთან ურთიერთობაში ყოველთვის გადაწყვეტა უნდა ასრულებდეს. II მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთისა და დასავლეთის ერთობლივი უსაფრთხოების სისტემა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას წარმატებით აკავებდა. უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ცივი ომის პერიოდში მხარეებისათვის მისაღები შედეგებით დასრულდა, რამაც ამ სფეროში თანამშრომლობის სარგებლობა ახდგოცა.

ერთადერთი სფერო, რომელშიც მხარეებს თავისი ინტერესები გათვალისწინებით ბალანსირებული ურთიერთობის დამყარება შეუძლიათ უსაფრთხოებაა. დანარჩენ სფეროებში შეიძლება წარმოიშვას მრავალი სირთულე, რისი გადაჭრაც პრობლემების გარეშე ვერ მოხერხდება. ანკარაში ამ განსხვავების აღმოფხვრის ერთადერთ საშუალებად თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ხედავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთის პრიორიტეტებმა შეიძლება სხვა მიმართულებით აიღონ გეზი, რაც ევროპასა და თურქეთს შორის უსაფრთხოების სფეროში არაერთ პრობლემას წარმოშობს.

ევროკავშირის თურქეთში გაწევრიანების ერთ-ერთი ხელისშემშლელ ფაქტორად ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების პრინციპიდან გამომდინარე მილიონობით თურქი უმუშევარი ევროპაში მოზღვავენას ასახელებენ. ყველაზე უსუსიმისტური გათვლებით, ევროპაში დასახლებულ მილიონობით თურქ მოქალაქეს კიდევ ასეულ ათასობით თურქი შეურთდება, რაც თურქეთში დასახლებულ ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას გაართულებს. ამგვარი პროგნოზი გამომწვეულია ხელშეწყობისა და შემოსავლების მკვეთრი განსხვავებით, რაც ევროპაში უამრავი იმიგრანტის გადინებას შეუწყობს ხელს.

ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების პრინციპის რეალიზება ყველაზე მეტად გერმანიის აფრობოსს. შენგენის შეთანხმების არსებობის პირობებში არარეგულარულად მიგრაციული პროცესები საერთოეკონომიკური პრობლემაა. შენგენის ერთ ქვეყანაში შესვლით სხვა ქვეყნებში გადაადგილება გაადვილებულია. მიგრაციული პროცესების კონტროლი ევროკავშირისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა, რაშიც თურქეთთან თანამშრომლობის გარეშე კონკრეტული შედეგების მიღწევა შეუძლებელია. თურქეთი მიგრანტების ერთ-ერთი დიდი წყაროა. ამ სფეროში თანამშრომლობა კი ორივე მხარის გრძელვადიანი ინტერესებისათვის მომგებიანი იქნება.

საბერძნეთსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობა ევროკავშირისა და ანკარას ურთიერთობას პერიოდულად აფერხებდა. ბრიუსელის

პოლიტიკა თურქეთის მიმართ 1981 წლიდან, რომელიც საბერძნეთი კავშირის წევრი გახდა, ათენის ინტერესების გაცენას განიცდიდა. მხოლოდ 1979 წლიდან შეიცვალა ვითარება, როდესაც თურქეთსა და საბერძნეთში მომხდარმა მინისკამ ანკარა-ათენის დაახლოება გამოიწვია. ამას წინ უძღოდა ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის აბდულა ოჯალანის დაკავება, რამაც ორი ქვეყნის ურთიერთობას განსაკუთრებით გაართულა. ამის შემდეგ პროცესები პოზიტიურად განვითარდა, რასაც საბერძნეთის პოზიციის გაძლიერება მოჰყვა. ათენზე დასავლეთის ქვეყნების ზეწოლა იმყოფებოდა, რამაც საბერძნეთის ვეტო თურქეთის ევროკავშირის კანდიდატ-ქვეყნად დასახლებაზე მოხსნა. ორმხრივი ურთიერთობების გამოსწორებაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი ის არის, რომ ყინული გალღვა.

მილსადენები და ევროპა
კასპის ზღვაში აღმოჩენილი ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხმა თურქეთ-ევროპის ურთიერთობის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. ტრანსკასპიური მილსადენი თურქმენული გაზისთვის და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი თურქეთსა და ევროპის შორის ენერგორესურსებით ვაჭრობას მაქსიმალურად გაზრდის. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის ჯუმშურ ერსულერის განცხადებით, თურქეთი ევროპაში შესასვლელად ერთხელში გაზსადენითა და მეორე ხელში ნავთობსადენით ემზადება. ევროპის 50 წლის განმავლობაში რუსული გაზის მომხმარებელი იყო, თურქმენული გაზის თურქეთის გავლით ევროპაში ტრანსპორტირებით კი ენერგორესურსების ბაზარი მნიშვნელოვნად შეიცვლება.

აზიასა და ევროპას შორის გადაჭიმული თურქეთი ორ კონტინენტს შორის ენერგოხიდი. უკანასკნელი წლების განმავლობაში თურქეთმა შეძლო მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის უპირატესობის დამტკიცება. ეუთოს სტამბოლის სამიტზე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობის შესახებ სამთავრობათშორისო შეთანხმებების ხელმოწერამ თურქეთის წარმატება ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხში რეალურად აქცია. დღეისათვის ევროპის ენერგორესურსების მნიშვნელობის პორტია, მაგრამ უახლოეს მომავალში თურქეთი მისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის მინიჭებას გეგმავენ. ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა ევროპის ნავთობის ბაზარზე გავლენას აუცილებლად მოახდენს.

მეორე მხრივ, არის ბუნებრივი გაზის საკითხიც. ევროპა რუსულ გაზს 50 წლის განმავლობაში მოიხმარდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობას საკითხში ეკონომიკური პრობლემების გარდა, პოლიტიკურიც დომინირებს, ანკარა

იმედოვნებს, რომ გაზსადენის პროექტის რეალიზება ევროპულ ბაზარს მთლიანად შეცვლის.

ევროპული ქვეყნები თურქმენული გაზის თურქეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებით უაღრესად არსად დინტერესდებიან. დასავლეთი ამით ცდილობს რუსეთზე დამოკიდებულება მინიმუმამდე შეამციროს და მოსკოვს ევროპაზე ზეწოლის ბერკეტი გამოაცხადოს. გარდა ამისა, ისრაელი რუსული გაზის მიღებას, აცისფერი ნაკადის პროექტის განხორციელების შემდეგ იმედოვნებს. პროექტი შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის გაყვანას ითვალისწინებს, რომელიც ქალაქ საშუსინად შემდეგ მთელ თურქეთს მიეწოდება. ამ პროექტის განხორციელებაში ევროპული ფირმები მონაწილეობენ, თუმცა მის მხარე არაერთგვაროვანი რეაქცია არსებობს. მის რეალიზებას განსაკუთრებული წინააღმდეგობას აშშ უწევს, რომელსაც მიაჩნია, რომ პროექტი ამერიკის ინტერესებს შავი ზღვის რეგიონში შეასუსტებს.

ამ ენერგოპროექტების განხორციელება თურქეთს მომავალ საუკუნეში ევროპულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულების საშუალებას მისცემს. ანკარის მიერ მილსადენების პოლიტიკის ეფექტური გამოყენების შემთხვევაში თურქეთს ევროპაში თავის სასარგებლო პოლიტიკური სურათის შექმნა ძალუძს.

თურქეთის მხარედი ეკონომიკა დასავლური ენერგოკომპანიებისათვის დამატებითი შემოსავლების წყაროა. დღეისათვის თურქეთში არაერთი ამერიკული და ევროპული ენერგოკომპანია მოღვაწეობს. ენერგოკომპანიები, ფაქტობრივად, დასავლეთში თურქეთის ინტერესების დამცველები გახდნენ, რამაც ანკარას არგუმენტებს ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა შეუქმნა. მაგალითად, როდესაც ოჯალანის გამო თურქეთ-იტალიას შორის პოლიტიკური კრიზისი წარმოიშვა იტალიური ენერგოფირმები ენერგეტიკის მინისტრთან შეხვედრაზე არ მიიწვიეს. იტალიურ ფირმებს იტალიის მთავრობაში თურქეთის ინტერესების ლობირება ეთხოვა. მსგავსი ვითარება იყო ფრანგულ და გერმანულ კომპანიებთან დავაპირებებით.

თურქეთი ახალი ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში

თურქეთის უსაფრთხოების გარემო გამომდინარეობს მისი რამდენიმე რეგიონს შორის მდებარეობით. თურქეთი არის, როგორც ევროპული, ისე ახლო აღმოსავლური ქვეყანა. მას გასასვლელი აქვს ბალკანებზე, შავ ზღვაზე, ხმელთაშუა ზღვასა და ევრაზიის სახელმწიფოებზე. მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა თურქეთის მნიშვნელობას ხაზს უსვამს. თურქეთი, როგორც დასავლური ორიენტაციის მუსლიმური ქვეყანა გარემორტყმულია სხვადასხვა რეჟიმებით, განსხვავებული კულტურისა და ორიენტაციის ქვეყნებით. ყველა მუშაობელთან კარგი

ურთიერთობის შენარჩუნება თურქეთისაგან მრავალმხრივი მიმართულებით ურთიერთობის განვითარებას მოითხოვს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თურქეთის ევროპასთან ურთიერთობა სხვებთან ურთიერთობის გაუარესების ხარჯზე არ უნდა განვითარდეს. თურქეთის გეოსტრატეგიული მდებარეობა ანკარას რეგიონებს შორის დამაკავშირებელი რგოლის შესრულების შესაძლებლობას სათვარის, რაც თურქეთის მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ცივი ომის დროს თურქეთის პოზიცია ცალსახად გარკვეული იყო და იგი, როგორც ნატოს წევრი-სახელმწიფო ხიდის როლს ვერ შეასრულებდა. კომუნისტური შედეგის შემდეგ იდეოლოგიური ბარიერები მოიხსნა და თურქეთს ახალ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებთან ურთიერთობა დამყარება მოუწია. ახალმა ერამ თურქეთს შესაძლებლობა მისცა ყოფილი მტრები მეგობრებად გადაექცია და თავისი გავლენა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაეცრევილიყვნა.

ახლო აღმოსავლეთში სპარსეთის ყურის ომმა სტრატეგიული ბლანსი აშშ-ის სასარგებლოდ რადიკალურად შეცვალა. სპარსეთის ყურის ომში დასავლეთის მხარეზე თურქეთიც გამოვიდა, რომელმაც თავისი მისია წარმატებით შეასრულა. რეგიონში თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ნატოს წევრია და ესაზღვრება არაღმარკრატული, ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, რომლებიც ფუნდამენტალისტურად და ტერორისტულ ქვეყნებად არიან აღიარებული. ამის საპირისპიროდ, თურქეთი გვევლინება, როგორც დემოკრატიული ღირებულების მატარებელი სახელმწიფო და სტაბილურობის გარანტი.

ბალკანებსა და კავკასიაში თურქეთი შემოიხაზღვრულია ეთნიკური კონფლიქტებით, რომლებიც შესაძლოა რეგიონულ კონფლიქტებშიც გადაიზარდოს. თურქეთი კმაყოფილი დარჩა, როდესაც ბოსნიასა და მოგვიანებით კოსოვოს კონფლიქტში ნატო ჩაერია, მაგრამ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტსადმი უყურადღებო ბით ანკარა შემოგოვებას გამოთქვამს და ყველა სათვით, „თანაბარ უსაფრთხოებას“ მოითხოვს.

თურქეთის ურთიერთობას დასავლეთთან ყოველთვის აფერხებდა ეგეოსის ზღვასა და კვიპროსთან დაკავშირებით საბერძნეთთან დაპირისპირება. საბერძნეთის ფაქტორი წლების განმავლობაში თურქეთს ევროპასთან დაახლოებას ხელს უშლიდა.

სხვადავრის მიუხედავად უკანასკნელი 5 ათეული წლის განმავლობაში თურქეთის უსაფრთხოების ინტერესები ევროპას უკავშირდებოდა. ევროპაში დიდ რაოდენობით თურქი ცხოვრობს და თურქეთის ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპაზე მოდის. ეს ეკონომიკური კავშირები საბაჟო შეთანხმების ხელმოწერით იურიდიულადაც იქნა განმტკიცებული. შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში მჭიდროდ

დღობა დასტაბილურობა თურქეთის სასიცოცხლო ინტერესებში შედის. დემოკრატიული ღირებულებები, პოტენციური შეიარაღებული კონფლიქტები, ნარკოტიკების კონტრბანდა, მასობრივი იარაღის გავრცელება, ტერორიზმი, ორგანიზებული დამნაშავეობა, არარეგულირებადი მარაგისა და საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს თანაბრად ადარდებს. ახალი უსაფრთხოების გარემოში თურქეთს უფრო მოწყვლადი მდგომარეობა უკავია, ვიდრე ნებისმიერ დანარჩენ ევროპულ ქვეყანას.

ევროკავშირის თავისი ინტერესების ეფექტურად დასაცავად სჭირდება იმ ზონის განსაზღვრა, სადაც ის ინტერესები უნდა დაიცვას. უსაფრთხოების ზონაში იგულისხმება ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპის კავშირის ახლანდელი და პოტენციური წევრები და ნატოს წევრი ქვეყნები. ყველაზე დიდი მასშტაბის საფრთხე მოსალოდნელია რუსეთიდან, თურქეთის საზღვრებში მდებარე აზიის ქვეყნების ხელახლა დაპყრობისა და აღმოსავლეთიდან, ტერორიზმიდან დაწყებული სოციალური მღელვარებებით დასრულებული.

ანკარის აზრით, კრიზისების მართვა და ომების შეჩერება ევროკავშირის ზონაში კავშირის პრიორიტეტად უნდა იქცეს. ბოსნიის მსგავსი კონფლიქტები, საბერძნეთ-თურქეთის დაპირისპირება, პირველ რიგში პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაწყდეს. ევროკავშირის უნდა შეეძლოს დაპირისპირების თავიდან აცილება. ევროპულ უსაფრთხოებასთან უშუალო კავშირშია საერთაშორისო ბაზრებისა და ბუნებრივ რესურსებზე გასვლა, გარემოს დაცვა, ბირთვული იარაღის გაუფრთხილება, შეიარაღების ტექნოლოგიების გავრცელება და კავშირის გარეთ ევროკავშირის მოქალაქეთა უსაფრთხოება. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ევროპაში თურქეთთან ერთად უნდა გადაწყვიტოს. თურქეთთან თანამშრომლობა ევროპული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია. თურქეთის ორი კონფლიქტების გადაწყვეტაში კოსოვოს კრიზისის დროსაც გამოვლინდა, როდესაც თურქეთმა ჯერ კონფლიქტამდე დიპლომატიის შეფარებაში და შემდეგ რეგიონში თავისი ჯარების გაგზავნით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

თურქეთისა და აშშ-ის ინტერესები ევროპაში კონტინენტზე მჭიდროდ არის დასაფუძვნიებული ინტერესებით არის ნაკარსხევი. ორივე სახელმწიფო თანამდებარე იმ აზრზე, რომ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემა ნატოს ევროპული ფლანგის გაძლიერების ბერკეტი უნდა გახდეს. ამ სისტემის განვითარება ევროპას საკუთარი უსაფრთხოებისადმი შეჭარბის დროული განვითარების შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, ეს სისტემა აშშ-ის მხრიდან ალიქმება, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ

ამერიკის გავლენიდან გამოსვლის მცდელობა. ამავე ზრის იზიარება თურქეთიც, თუმცა ამ სისტემიდან მისი შესაძლო გამოთქმის პერსპექტივა ანკარას ევროპასთან ურთიერთობის გაფუჭების წინაპირობად მიიჩნია.

ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის განვითარება, როგორც ნატოს შემცველ-სის, ანკარაში დასავლეთის ბოლოში დაპირისპირების წარმოქმნის წყაროდ მიიჩნევა. ამ იდეას ეთანხმება ვაშინგტონიც, რომელიც ახალი სისტემის შექმნას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებს. მითუმეტეს თუ სისტემაში არ იქნება განსაზღვრული აშშ-ის საიმედო მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში, თურქეთი. სისტემიდან თურქეთის გამორიცხვა გამოიწვევს თურქეთის პერიფერიულ ქვეყნად გადაქცევას, რაც ორმხრივ ურთიერთობაზე უცოდინებლად უარყოფილად იმოქმედებს.

შავი ზღვის კონფლიქტი თანამშრომლობის (ოპი) (არანაწილობა)

ევროლიდერების განცხადებით, ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია მრავალ ათასწლეულში რეგიონში განვითარებული პროცესები თავისთვის პოზიტიურად გამოიყენოს. ანკარის აზრით, მრავალმხრივი გრძელვადიანი მიდგომის შემუშავების გარეშე ევროკავშირის პოლიტიკა შეიძლება ჩაკეტილი აღმოჩნდეს. ამ მხრივ, ევროკავშირმა უნდა შეიმუშავოს მკვეთრი პოლიტიკა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC) არსებული პროცესების მიმართ.

BSEC-ი იმ რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გამოხატულებაა, რომელსაც საფუძველი 1992 წლის 25 ივნისს ჩაეყარა. მასში თურქეთისა და საქართველოს გარდა კიდევ 9 სახელმწიფო მონაწილეობს. უზარმაზარი ეკონომიკური რეგიონი მოიცავს სივრცეს ადრიატიკის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი 325 მილიონია. მისი ძირითადი მიზანია ნევრ-სახელმწიფოებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და სხვადასხვა ხელშეწყობი ფაქტორების გამოყენებით მისი დივერსიფიკაცია.

ევროკავშირში განვითარება BSEC-ის აღმოსავლეთ ევროპის ნევრ-ქვეყნების უმრავლესობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური მიზანია. საბერძნეთი უკვე ევროკავშირის წევრია. განვითარების სურვილი აქვთ ბულგარეთს, რუმინეთსა და უკრაინას. ამ მხრივ, რეალური ნაბიჯები გადადგა თურქეთიც. BSEC-ი თავის წევრებს არ უკრძალავს ევროკავშირის წევრობას, არამედ პირიქით ახალისებს მას.

რეალურად, BSEC-ის წევრობა არ ზღუდავს ნევრ-სახელმწიფოების მიერ მესამე ქვეყნებთან და რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. თავის მხრივ, ევროკავშირი BSEC-ს არ განიხილავს, როგორც კონკურენტ და მტრულ სტრუქტურას. პირიქით, BSEC-ის სხვაგვარა თანამშრომლობის

მოდელმა შეიძლება ხელი შეუწყოს პანევროპულ ინტეგრაციას. რეგიონული ქვეყნებისათვის BSEC-ი ევროპასთან ინტეგრაციისთვის მოსაშვადებელი ეტაპია. ნევრებს შორის სხვადასხვა სფეროში ნაყოფიერი თანამშრომლობა ევროპაში ინტეგრაციას აუცილებლად ხელს შეუწყობს. შეიძლება ითქვას, რომ BSEC-ი ევროპული არქიტექტურისათვის ერთ-ერთი ბერკეტია, რათა მისმა ნევრმა ქვეყნებმა ის ნორმები, სტანდარტები და პრინციპები შეიმუშაონ და საკუთარ ქვეყნებში დანერგონ, რაც ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას მოესადგება.

ევროკავშირის უშუალო ინტერესებში BSEC-ის ქვეყნებთან ახლო კავშირების დამყარება შედის. თურქეთი, თავის მხრივ, ის ქვეყანაა, რომელიც ნებისმიერ რეგიონულ პროცესში მონაწილეობს და მათთან ახლო ურთიერთობაზე ევროპაში უკვე აღარავინ დავობს. იგივეს თქმა შეიძლება საქართველოზე. არსებული პოლიტიკური რეალობა თურქეთსა და საქართველოს ევროპისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი და ევროპის ნევრ-ტური დამოკიდებულება რუსეთის მიერ ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გზების კონტროლზე საქართველოს როლს განსაკუთრებით წარმოაჩენს.

ანკარის აზრით, ევროკავშირის მიერ BSEC-ის ქვეყნების მიმართ მრავალმხრივი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება აუცილებელია. ევროპის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური დაილა-გისა და თანამშრომლობის განსაზღვრელი უნდა გახდეს.

ევროკავშირის პოლიტიკა BSEC-ის მიმართ სამი კონკრეტულ ფუნქციაში გამოიხატება:

✓ ევროკავშირის აქვს ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია: რეგიონული თანამშრომლობა შეიძლება ევროპული ინტეგრაციისათვის სასარგებლო გახდეს, რადგან კავშირში განვითარების მსურველი ქვეყნები აუცილებელი და დამაკმაყოფილებელი ნორმების შესასრულებლად მოემზადებიან. გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფილი იქნება კაპიტალის, პროდუქციის, მომსახურებისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება. ევროკავშირის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შავი ზღვის ეკონომიკური სივრცის განვითარებაში. თავისუფალი ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები ხელს შეუწყობს ეკონომიკისა და კანონმდებლობის სფეროში რეფორმის დაჩქარებას, რაც როგორც საქართველოსთვის, მითუმეტეს თურქეთისათვის ევროკავშირთან ახლო ურთიერთობის განვითარებისა და თურქეთისათვის მასში განვითარების პერსპექტივას დააჩქარებს. თავისუფალი ვაჭრობისა და სხვა პარალელური სფეროების გაწვითარება რეგიონისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობი ფაქტორი იქნება.

✓ პოლიტიკური ფუნქცია: ევროპა დასავლური იდეების გავრცელებას თავისი ინტერე-

სებისათვის სასიცოცხლოდ მიიჩნევს. იგი უფრო ძლიერი იქნება, თუკი დემოკრატიული სახელმწიფოები იქნება გარემორტყმული. შედეგად ეს სტაბილური ევროპულ გარემოს შექმნის. პოპულარული ევროპული დემოკრატიული სტრუქტურის შექმნისათვის ევროკავშირის საჭიროება დემოკრატიზაციის პროცესების სწრაფი მხარდაჭერა მისთვის ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში, როგორებიცაა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, კავკასია და ახლო აღმოსავლეთი.

✓ უსაფრთხოების ფუნქცია: ევროკავშირის სტაბილურობა და უსაფრთხოება ესაჭიროება არა მარტო უშუალოდ ევროპაში, არამედ პერიფერიულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეგიონებშიც. ასეთ პერიფერიულ რეგიონად შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ კავკასიაც. BSEC-ის საბოლოო მიზანია შავი ზღვის რეგიონი ეკონომიკური განვითარების გზით სტაბილურობისა და უსაფრთხოების ზონად აქციოს. ამიტომაც, ევროკავშირის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ რეგიონის ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისაკენ, რათა ევროკავშირ-BSEC-ის ეკონომიკური ზონა ჩამოყალიბდეს.

ევროკავშირთან რეგიონის თანამშრომლობა შეიძლება ტრანსნაციონალურ დამნაშავეობასთან ბრძოლაშიც გამოიხატოს. საქართველოსა და თურქეთის სატრანსპორტო ქვეყნის ფუნქცია ავტომატურად გულისხმობს კრიმინალური საქმეებისადმი გახსნილობასაც. საქართველო და თურქეთი ის ქვეყნებია, რომლებზეც მნიშვნელოვანი კრიმინალური (ტერორიზმი, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრბანდა) სატრანსპორტო გზები გადის. ამ გზებისა და მათზე გატარებული საქონელის საბოლოო ადრესატი კი ევროპის კავშირის ქვეყნებია. ეს პრობლემა ევროპისათვის ნათელია და ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში თანამშრომლობა თავად ევროპისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

თურქეთის განცხადებით, BSEC-ის წარმატება ევროპის კავშირის უშუალო ინტერესებში შედის. ევროკავშირისათვის BSEC-ი ერთგვარი სუბსისტემაა, რომლის განვითარებაც მხარდაჭერას საჭიროებს. ევროპული ინსტიტუტები: ევროკომისია, ევროპის ეკონომიკური კომისია, ევროპის რეგიონალური კავშირები და განვითარების ბანკი BSEC-ის განვითარებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაება.

ევროკომისია უკვე მონაწილეობს სხვადასხვა რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში, თუმცა ამ პროექტებში მათი მონაწილეობის მასშტაბები და ფორმები უნდა გაიზარდოს.

მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციებს შორის ინსტიტუციონალური კავშირების გაფართოება. ამ ქვეყნების მინისტრებს შორის შეხვედრები კი რეგიონებს შორის კავშირებს კიდევ უფრო გააღრმავებს. ურთიერთობის დროს მნიშვნელოვანია BSEC-ი განვითარდეს არა ევროპის

კავშირის ჩრდილში, არამედ როგორც ცალკე ორგანიზაცია, რომელსაც აქვს არსებობის უფლება და შეუძლია ევროპასთან ინტენსიური კონტაქტებით დასავლური ღირებულებები საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში დანერგოს.

რა შეიძლება შესთავაზოს BSEC-მა ევროკავშირს? ამ მხრივ, თანამშრომლობის განვითარების მრავალი პერსპექტიული დარგი არსებობს, რაც BSEC-ის ქვეყნებს და მათ შორის თურქეთსა და საქართველოს უდავოდ კარგ პერსპექტივებს უსახავს. ინვესტიციების ჩადებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის არაერთი მომგებიანი დარგი არსებობს: ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ენერგეტიკა, ვაჭრობა, გარემო:

• ტრანსპორტი

ტრანსევროპულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ტრანსპორტმა, ტელეკომუნიკაციებმა და ენერგეტიკამ უკანსწელ პერიოდში უზარმაზარი მნიშვნელობა მოიპოვა. ამ სფეროში არსებული შესაძლებლობები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციისათვის მძლავრი იარაღია. თუკი ევროპის სურს შავი ზღვის მნიშვნელოვან რეგიონში პოზიციები გაიმყაროს, ამისათვის ევროკავშირს ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სფეროში მრავალმხრივი ქსელებისა და სისტემის შექმნა დასჭირდება, რათა რეგიონმა ტრანსევროპულ სისტემაში წარმატებით მოახერხოს ინტეგრირება.

პანევროპული სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დერეფნების შექმნა მნიშვნელოვანია, როგორც ევროპის კავშირისათვის, ისე BSEC-ის ქვეყნებისათვისაც. თურქეთის მიმართულებით ტრანსპორტო დერეფანის გაფართოება ხელს შეუწყობს ევროპის ქვეყნების ვაჭრობას, როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ისე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. ეს დერეფანი პოზიტიურ გავლენას მოახდენს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებზე, რომელიც ეკონომიკურად თურქეთის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ნაწილია. დასავლეთი აღმოსავლეთის დერეფანი ადრიატიკის ზღვას შავ ზღვასთან ტრანსპორტითა და კომუნიკაციებით დააკავშირებს.

სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება შესაძლებელს გახდის კასპიის ზღვის ჩრდილოეთის ზღვასთან დაკავშირებას. გარდა ამისა, ეს სატრანსპორტო დერეფნები თურქეთსა და საქართველოს ბუნებრივ მოკავშირეებად აქცევს, რაც ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული თანამშრომლობის შექმნის წინაპირობაა.

სატრანსპორტო პროექტების განხორციელებისას ევროკავშირის ქვეყნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სასაზღვრო ეკონომია. შავი ზღვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება კი ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებს აზიიდან ნედლეულის მიღებას მნი-

შენელოვნად გაუადვილებს. ამისათვის მართო ინვესტიციების ჩადება არ არის საკმარისი, აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების შემუშავება.

• ტელეკომუნიკაციები

შავი ზღვის რეგიონი საჭიროებს სატელეკომუნიკაციო ქსელის: სატელეფონო მომსახურება, ტელემაუწყებლობა და სატელეკომუნიკაციო განვითარებას. ამ მხრივ, BSEC-ის დაარსებისთანავე დაიწყო სხვადასხვა პროექტების განხორციელება. პროექტებში მონაწილეობს თურქეთიც, რომელიც მათი განხორციელებისას ევროპულთა ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია. თურქული სატელეკომუნიკაციო ფირმები ქსელის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ.

• ენერგეტიკა

ევროპის მომავალი განვითარება უშუალოდ არის დამოკიდებული მუდმივ ენერგომომარაგებაზე. ეკონომიკის განვითარებისათვის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა გადამწყვეტია და უახლოეს წლებში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაც ევროპისა და თურქეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

შავი ზღვის რეგიონმა XXI-ე საუკუნეში ნავთობისა და გაზის მინოდეების სფეროში კვლავ შეიძინა დაცვადი მნიშვნელობა. დღეისათვის საბრუნველო-თურქეთის მარშრუტი დასავლეთის ბაზრებზე ენერგორესურსების გასატანად ყველაზე მისაღებია. თუმცა, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი პოლიტიკურმა ფაქტორებმა შეასრულეს. არსებობს მოსაზრება შავი ზღვის ქვეყნების ელექტროენერგიით დაკავშირების შესახებ, რაც რეგიონის ევროპასთან დაახლოებას გადადევნებს. ამ სფეროში განსახორციელებელი პროექტები ევროკავშირისა და BSEC-ის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

• ვაჭრობა

შავი ზღვის რეგიონი ეს არის 300 მილიონი მომხმარებელი. ეს არის ნებისმიერი სერიოზული ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისა და რეგიონისთვის მნიშვნელოვანი მასშტაბის ბაზარი. ამ მხრივ, ევროკავშირის ფართო არჩევანი აქვს. რეგიონში არსებული სავაჭრო შესაძლებლობები იმდენად დიდია, რომ ამ დიდი სივრცის მრავალმხრივი ათვისება შესაძლებელია.

• ტექნიკური დახმარება

ევროპული და სამრეწველო პოლიტიკაში დიდი როლი დაწესებულია ინტერუმენტი ტექნიკური დახმარება. ტრანსფორმაციის პერიოდში მყოფი შავი ზღვის რეგიონისთვის ტექნიკური დახმარება მნიშვნელოვანია. ამ სფეროში ევროკავშირის აქტიურობა მის ინტერესებშივე

შედის.

• კერძო სექტორებს შორის დიალოგი

შავი ზღვის რეგიონის განვითარებაში განსაკუთრებული სიტყვა ეკუთვნის კერძო სექტორს. ყველაზე მეტად იგი საჭიროებს კანონმდებლობისა და ნორმების მართონიზაციას, ისევე როგორც იურიდიულ და ფიზიკურ უსაფრთხოებას. რეგიონში მოღვაწე კერძო სექტორის მხარდაჭერა ევროპული ფირმებისათვის ინვესტიციების განხორციელებაში მიმზიდველი უნდა იყოს. ამ სფეროში მონაწილეობა შეუძლიათ თურქიკურ ტექნოლოგიებს, რომლებიც ევროპის მრავალ ქვეყანაში მუშაობენ. მათ მიერ თურქეთსა და რეგიონში განხორციელებულმა ინვესტიციებმა უკვე გამოიღო დადებითი შედეგები. ეს განსაკუთრებით თურქეთს ეხება, სადაც მილიონობით საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული თურქი საკუთარ სამშობლოში სერიოზული რაოდენობის გზავნილებს აგზავნის. მათი ინვესტიციების სფეროდ შეიძლება შავი ზღვის ქვეყნებში ერთობლივი საწარმოები იქცეს.

• მშენებლობა

თურქული სამშენებლო ფირმები არაერთ ქვეყანაში მოღვაწეობენ. თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ თურქული სამშენებლო ფირმების ავტორიტეტი მცირედით შეიღება, მაგრამ ეს ფაქტორი თურქული კომპანიებისათვის ზედმეტად უარყოფითი შედეგებით არ დასრულდება. თურქული კომპანიებისათვის ევროპულ ფირმებთან ერთად შავი ზღვის რეგიონში ერთობლივ პროექტში მონაწილეობა, თურქეთ-ევროკავშირის დაახლოებისათვისაც მასტიმულირებელი ფაქტორია.

ევროკავშირის პოლიტიკა BSEC-ის ქვეყნების მიმართ უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე პრინციპს, რაც გავლენას თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზეც მოახდენს:

- ევროკავშირისა და BSEC-ის დიალოგი უნდა განვითარდეს არა მარტო მთავრობებისა და კერძო სექტორის დონეზე, არამედ პოლიტიკური პარტიების, სამრეწველო ასოციაციების, პროფკავშირებისა და აკადემიური წრეების დონეზე;
- ევროპაში გამყოფი ხაზის გაღალია ხვისთვის აუცილებელია რეგიონში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული რეჟიმების განვითარების ხელშეწყობა. ამ ქვეყნებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტექნიკურ, სამეცნიერო და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობა BSEC-ის წევრ ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციას დააჩქარებს;
- ევროკავშირისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დასავლური პოლიტიკური კულტურის განსავითარებად დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა;

• შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა ევროკავშირის უშუალო ინტერესებში შედის. სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ხიდის განვითარებაში გადამწყვეტი ფაქტორია. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თურქეთსა და საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარებას, რადგან სწორედ ამ ორ ქვეყანაზე გადის ევროპასთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები;

• მშვიდობა და სტაბილურობა განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. ამიტომაც შავი ზღვის რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება უნდა გადაიღოს და ორმხრივი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთმომდებელი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. ევროკავშირის უსაფრთხოება ბევრად არის დამოკიდებული შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად კი ევროკავშირისათვის საუკეთესო საშუალებაა ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება.

მიმდინარე პოლიტიკური მომართვა

თურქეთის ახალი პრეზიდენტი დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს

პელსინკის სამიტის შემდეგ თურქეთში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საპრეზიდენტო არჩევნები იყო, რომელსაც თურქეთის საზოგადოებრიობა თურქეთის ევროკავშირში საბოლოო ინტეგრაციის საკითხს უშუალოდ უკავშირებდა. საპრეზიდენტო არჩევნებს წინ უძღოდა თითქმის ერთწლიანი დებატები სულიმიან დემირელისთვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელების შესახებ. პრემიერ-მინისტრ ბულენთ ევჯიეთის ძალისხმევით მიუხედავად, პოლიტიკურმა პარტიებმა დემირელის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებისათვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებას მხარი არ დაუჭირეს.

პრეზიდენტობის კანდიდატობის დასახელებისათვის კი ძალიან მცირე დრო იყო დარჩენილი. თურქეთის პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება თანხმდებოდა იმ აზრზე, რომ ქვეყნის ახალ პრეზიდენტს საგარეო-პოლიტიკურ გამოცდილება უნდა ჰქონოდა. წინასწარჩვენოდ გაბატონებული მოსაზრებით, ახალ პრეზიდენტს XXI-ე საუკუნეში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა. მის უპირველეს ამოცანად კი ევროკავშირში განეწინააღმდეგებოდა. ევროკავშირთან ურთიერთობა და კავშირში განეწინააღმდეგებოდა თურქეთის ნომრს პირველ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად გამოცხადდა.

მსგავსი შესვლების მიუხედავად, თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში

უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. ხუთივე საპარლამენტო პარტიის ლიდერმა არჩევნებში ერთი საერთო კანდიდატი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, აჰმედ ნეჯდეტი სეზერი წარადგინეს. დასახელებს სხვა კანდიდატებიც, მაგრამ სეზერი ტურქიდან ტურქამდე გამარჯვებისაკენ დამაჯერებლად მიიწვედა. სეზერმა დიდი წინააღმდეგობის გარეშე გაიმარჯვა, რითაც თურქეთის ევროკავშირში განეწინააღმდეგებინა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.

სეზერის გაპრეზიდენტებას დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში პოზიტიურად შეხედნენ. დასავლეთის აზრით, სასამართლო ხელისუფლებიდან მოსულმა სეზერმა კარგად იცის კანონის უზენაესობის ფასი. მან დასავლეთს თავი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლის წინათ საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ გაკეთებული ტაცადებით დაამახსოვრა.

სეზერმა გაპრეზიდენტებისთანავე 1982 წლის კონსტიტუციის გადახედვის შესახებ ლიბერალური დასავლეთის თურქეთის ახალი პრეზიდენტის განცხადებით თურქეთის მიერ რეფორმების პროცესის დაჩქარების ნიშნად მიიღო. თურქეთის საზოგადოებრიობაც სეზერისგან სწორედ რეფორმების გატარებას მოელის, რამაც თურქეთის დასავლეთთან ინტეგრაციის ხელი უნდა შეუწყოს. სეზერმა მასზე დაკისრებული მისია კარგად იცის. მიუხედავად იმისა, რომ მას საგარეო-პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს, იგი დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში კარგი იმიჯით სარგებლობს. ეს იმიჯი კი სეზერმა თავისი ქვეყნის საუკუნოვანი მიზნის - ევროპასთან საბოლოო ინტეგრაცია - მისაღწევად წარმატებით უნდა გამოიყენოს.

საფრანგეთი - ევროკავშირის პრეზიდენტი

ევროკავშირის პრეზიდენტობა 2000 წლის 1 იელისიდან პორტუგალიისაგან საფრანგეთმა გადაიბარა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას უმჯობესად შეასრულებდა. საფრანგეთის პრეზიდენტობის დროს თურქეთისათვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გაფართოების პროცესი და ევროპაში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემა იქნება. ამ საკითხებისადმი საფრანგეთის დამოკიდებულება თურქეთის ევროპულ პოლიტიკაზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს.

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის განცხადებით, იგი არ დაუშვებს ევროპის ახალ დაყოფას და თურქეთს საფრანგეთის პრეზიდენტობის პერიოდში კვანძების პროცესის დაჩქარებაში ხელს შეუწყობს.

თურქეთი უკვე ამზადებს ეროვნულ პროგრამას, რომელსაც ევროკავშირის ოქტომბრამდე წარუდგენს. ეს სამუშაო პელსინკის სამიტის შემდეგ სასწრაფოდ დაიწყო და საგარეოდაც საფრანგეთის პრეზიდენტობის დროს უნდა დასრულდეს. პროგრამის წარმატებას ღიად

განსაზღვრავს პარიზის პოზიციას. საფრანგეთის პრეზიდენტობის დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უდავად ევროკავშირის გაფართოვება იქნება, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ანკარის შორის არეწაზე ევროპის მომავალი პოზიცია. პარიზის აზრით, გაფართოვებამდე ევროკავშირის ინსტიტუტებს რეფორმირება სჭირდებათ.

მსოფლიოში ძლიერი ევროპის წარმოჩენა დღისათვის უკვე მხოლოდ საერთო უსაფრთხოებებისა და თავდაცვის სისტემის შექმნით არის შესაძლებელი. ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის საკითხთან დაკავშირებით საფრანგეთი ევროკავშირის წევრებისა და ნატოს წევრის, რომელიც ევროკავშირის წევრები არ არიან, მონაწილეობით კონფერენციის მონაწილად გეგმავს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თურქეთისათვის, რომლის როლიც ამ სისტემაში თურქეთს არ აკმაყოფილებს. ანკარას პრეტენზია აქვს გადანაცვლების მიღების პროცესში მიიღოს მონაწილეობა და ევროპული უსაფრთხოების საკითხებიდან მოწყვეტილი არ იყოს.

ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობა
როგორც ჩანს ევროპისკენ მიმავალი გზა თურქეთისათვის გრძელი და უშიშესი იქნება. თურქეთსა და ევროპაში ბევრი მიიჩნევს, რომ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისათვის ბევრი დრო უქმად დაიკარგა. თავად სახელმწიფო ინსტიტუტებს შორისაც რეფორმების პროცესის მიმდინარეობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. თურქულმა მასშედიამ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას „ანგარიშების ომი“ უწოდა. დებატების ცენტრში მოქცეა ადამიანის უფლებების უმაღლესი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც რამდენიმე სამინისტროსთან თანამშრომლობით მომზადდა და კომპენაგენის კრიტერიუმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებების მსვლელობას ეხება.

დოკუმენტის პირველი ვერსია ხელისუფლებას მოუწოდებდა აზრის თავისუფალი გამოხატვის შემოღებული კანონების გაუქმებას, ქურთულად განათლების მიღებისა და მაუწყებლობის უფლების მიცემას, ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობის სამოქალაქო პირებით გაზრდას. კონსტიტუციის მიხედვით ეროვნული უშიშროების საბჭოს მთავრობისათვის სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებზე მხოლოდ რეკომენდაციების მიცემის უფლება აქვს. თუმცა, რეალურად, საბჭოს გაანაცვლებები, რომელიც სამხედროთა უშუალო მონაწილეობით მიიღება, მთავრობისთვის შესასრულებლად საავტორობაა.

ამ დოკუმენტმა ლიბერალების დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელისუფლებაში უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოოდ დოკუმენტიდან, რომელიც მთავრობას დასამტკიცებელი

ცებლად გაეგზავნა ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობის შეცვლის შესახებ მუხლი ამოიღეს.

ეროვნული უშიშროების საბჭომ თავისი ანგარიშიც მოამზადა, რომელიც ევროკავშირის დემოკრატიულ მოთხოვნებს გადაჭარბებულად და თურქეთის რეალობისთვის შეუსაბამოდ მიიჩნია. ეროვნული უშიშროების საბჭო ზოგადად რეფორმისათვის დღისათვის არსებულ გარემოს შეუსაბამოდ მიიჩნევს.

კომპენაგენის კრიტერიუმში უმცირესობებისათვის უფლებების მინიჭებას მოითხოვს, რაც თურქეთის შემთხვევაში ქურთებისთვის კულტურული უფლებების მინიჭებას გულისხმობს. თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, ისინი არ აღიარებენ ქურთების განსხვავებულ სტატუსს, რადგან 1923 წლის ლოზანას შეთანხმება უმცირესობის სტატუსს მოხელად რელიგიურ უმცირესობებს ანიჭებს. თუმცა, ამავე დროს ლოზანას შეთანხმების ერთ-ერთი მუხლი აცხადებს, რომ არ შეიძლება შეიზღუდოს თურქეთის მოქალაქის უფლება გამოიყენოს ნებისმიერი ენა კერძო საუბრებში, კომერციაში, რელიგიური რიტუალის შესრულებისას, პრესაში და ნებისმიერი სახის საზოგადოებრივ შეხვედრაზე.

სამხედროები უფრო ლიბერალურად არიან განწყობილი სიკვდილით დასჯის გაუქმების მიზნად, მაგრამ მათთვის ქურთული საკითხი ყველაზე უფრო მძიმეა. ამავე პოზიციის იზიარებს პრემიერ-მინისტრი ბულენთ ეჯევიტიც, რომლის განცხადებითაც ქურთული პრობლემა უფრო სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობისაა, ვიდრე ეთნიკური და კულტურული.

ამ პრობლემის გადანაცვლების გარეშე თურქეთს ევროკავშირთან დაახლოება გაუჭირდება. მისი გადანაცვლა კი თურქეთის ხელისუფლებისგან დიდ პოლიტიკურ ნებას მოითხოვს, რომელიც ჯერ თურქეთის მმართველ პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში არ შეიძლება.

გიუნტერ ვერპაგენის ვიზიტი

ევროკავშირის გაფართოებაზე პასუხისმგებელი ევროკომისარი გიუნტერ ვერპაგენი 13-14 ივლისს თურქეთს ორდღიანი ვიზიტით ესტუმრა. მსგავსი ვიზიტი მარტის დასაწყისშიც შედგა. ევროკომისარი შეეცადა თურქეთის გალიზიანება არ გამოეწვია და მკვეთრი განცხადებები არ გაუკეთებია. ვერპაგენის თქმით, მისი ვიზიტის მიზანი იყო ევროკავშირში განევრიანების შესახებ თურქეთის გეგმების მოსმენა და არა რჩევების მიცემა.

ვერპაგენმა პრეს-კონფერენციაზე თურქეთში რეფორმების პროცესში კმაყოფილება გამოთქვა, თუმცა ადამიანის უფლებების დამცავი ორგანიზაციებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა არასათვარბო ორგანიზაციებთან შეხვედრისას ანკარა ადამიანის უფლებების სფეროში პროგრესის ნაკლებობის გამო

გააკრიტიკა. ვერპაგენის განცხადებით, პელსინკის სამიტის შემდეგ თურქეთმა ადამიანის უფლებების სფეროში შესამჩნევ რეფორმები ვერ განახორციელა. ამ ფაქტის გამო, უკმაყოფილებია წარმოქმნილი თავად ევროკავშირში, სადაც პელსინკის სამიტის შემდეგ თურქეთისაგან ამ სფეროში რეფორმების დაქარბებას ელოდნენ.

ვერპაგენის აზრით, ევროკავშირი თურქეთის მხარეს ვერ ამჩნევს პოლიტიკურ ნებას კომპენაგენის კრიტერიუმის შესაბამისად პოლიტიკური რეფორმები გაატაროს. კომისიარს განცხადებით, რეფორმების ნელიტემპის შემთხვევაში განცხადებების პროცესის დაწყების შესახებ გადანაცვლებია, რომელიც ნოემბრისათვის უნდა მიიღონ, შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.

მსგავსი განცხადებები ვერპაგენმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას ფრთხილად გააკეთა, რათა ამას ზედმეტი პოლიტიკური გართულებები არ მოჰყოლიდა.

იგი ასევე შეეხო ქურთებით დასახლებული საზოგადოებას რეგიონის პრობლემას და სიკვდილით დასჯის გაუქმებას. ვერპაგენმა შეხვედრით გამართა პრეზიდენტ სეზერთან, პრემიერ-მინისტრ ბულენთ ეჯევიტთან და ახლად დანიშნულ ვიცე-პრემიერსა და ევროკავშირთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო მინისტრ მესუთ ილმაზთან.

ვერპაგენთან შეხვედრის შემდეგ ეჯევიტმა განაცხადა, რომ „თურქეთს შეუძლია დასახული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები დადამდე შესრულოს“.

ილმაზთან შეხვედრისას ვერპაგენმა ძირითად პრობლემად ადამიანის უფლებების დაცვა დაასახელა. ილმაზს მან განუცხადა, რომ ამ სფეროში რეფორმების გატარებისთვის „პოლიტიკური ნება“ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ვერპაგენი ევროკომისიის თურქეთის შესახებ ანგარიშს ოქტომბერში წარუდგენს. ანგარიში საფუძვლად დაედება განევრიანების პროცესის დაწყებისათვის საჭირო დოკუმენტის მიღებას. თურქეთის მთავრობას თავისი ეროვნული პროგრამის ახსნა-განმარტება მოუწევს, თუ როგორ აპირებს ანკარა თავისი კანონმდებლობის ევროსტანდარტებამდე დაყვანას.

განევრიანების პროცესში თანამშრომლობა თურქეთის მიერ კავშირში განევრიანებისაკენ შეიძლება მიიჩნიოთ კომისიარის განცხადება თურქეთის ევროკავშირში განევრიანების მომზადებისათვის ფონდის გამოყოფის შესახებ.

ვერპაგენის ვიზიტის პოზიტიურ შედეგად შეიძლება მიიჩნიოთ კომისიარის განცხადება თურქეთის ევროკავშირში განევრიანების მომზადებისათვის ფონდის გამოყოფის შესახებ. ეს ფული თურქეთსა და ევროკავშირს შორის საბაჟო კავშირის ფუნქციონირებით არის გათვალისწინებული.

დაპირისპირება კოალიციურ მთავრობაში
ევროკავშირის მოთხოვნები დიდი დაპირისპირების მიზეზია თურქეთის კოალიციურ მთავრობაში. ევროკავშირთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო მინისტრად მესუთ ილმაზის დანიშვნის შემდეგ ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაიზარდა. ილმაზი პარლამენტმა კორუფციის ბრალდებებიდან გაათავისუფლა, რის შემდეგაც მან შეძლო მთავრობაში ვიცე-პრემიერის პოსტის დაკავება. მისი თქმით, დროა გატარდეს დემოკრატიული რეფორმები და ქურთების უფლებების პატივი ცვეთ. ამას ულტრამემარჯვენეების, რომლებიც კოალიციურ მთავრობაში მნიშვნელოვან პოსტებს ფლობენ, მწვერივ რეაქცია გამოიწვია. ილმაზის განცხადებით, წარსულში ამგვარი ნაბიჯების გადადგმა არ შეიძლებოდა, მაგრამ დღეს ტერორიზმი აღარ არის და დროა დასახლება მიზნები განვსოცოციოთ. ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა ქურთებს საკუთარ ენაზე განათლების მიღებისა და მაუწყებლობის გაშვების უფლება მისცენ, რაც ქურქეთში არა მარტო ულტრამემარჯვენეებში, თუკენაში სეპარატისტების განხორციელებად მიიჩნიათ.

გარდა ამისა, ულტრამემარჯვენე ეროვნული მოქმედების პარტია სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგია. ეს საკითხი პირდაპირ ადულა ოჯალანს უკავშირდება. პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი გაუქმებას მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდებიან, რაც ოჯალანს ჩამოართვეს. ეს მოთხოვნა ევროკავშირის რეკომენდაციებში ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას.

ფაქტობრივად, თურქეთში 1984 წლის შემდეგ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოცხადებული. ანკარა ევროკავშირთან დიალოგის დროს ამ არგუმენტს ხშირად იყენებს, თუმცა დასავლეთისთვის ამ შემთხვევაში იურიდიული მომენტის გადამწყვეტია. თურქეთის პოლიტიკური ელიტა თანახმაა სიკვდილით დასჯა გაუქმოს, მაგრამ ამისთვის საზოგადოებრივი აზრია შესაზომადებული, რათა ოჯალანისთვის სასჯელი გაუქმება ხელისუფლებას ძვირად არ დაუჯდეს. თავად საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ არსებული შეხედულებას იზიარებს, მაგრამ ოჯალანზე იგი არ ვრცელდება. თურქეთის 30 ათასი მოქალაქის მკვლელობაში (სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ქმსთან ბრძოლის შედეგად დაღუპული სამხედროები და უზრალო მოქალაქეები) მონაწილეობა თურქი საზოგადოებრიობა ოჯალანს არ პატიობს.

ეროვნული მოქმედების პარტია ასევე წინააღმდეგია სისხლის სამართლის კოდექსის 312-ე მუხლის გაუქმების, რომელიც ძირითადად ქურთებისა და ისლამისტების წინააღმდეგ გამოიყენება. ეს მუხლი კრძალავს რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ ნიადაგზე შუღლის გაღვივებას. სასამართლოების მიერ კოდექსის ინტერპრეტაცია თავისუფლად ხდება, რაც ხელისუფლებას არასა-

სურველი პირების მოპოვების საშუალებას აძლევს. იგი უშუალოდ უკავშირდება აკრძალული ისლამისტური პარტიის ლიდერის ნეჯმეთინ ერბაქანის სასამართლოს, რომელსაც პოლიტიკაში მოღვაწეობა სამუდამოდ აუკრძალეს.

სამხედროები მცირე დათმობებზე მიდიან
თურქეთის ლიბერალი პოლიტიკოსები დემოკრატიული რეფორმების გატარების პროცესის შეფერხებაში სამხედროებს ადანაშაულებენ, თუმცა ზოგიერთ სფეროში რეფორმების განხორციელებაზე სამხედროები წინააღმდეგნი არ არიან.

თურქეთის გენშტაბის მეთაურმა გენერალმა ჰუსეინ ქივრიქოღლუმ განაცხადა, რომ სამხედროები არ არიან ეროვნული უშიშროების საბჭოში მეტი სამოქალაქო წევრების მონაწილის წინააღმდეგნი, რამაც მთავრობის მხრიდან პოზიტიური რეაქცია გამოიწვია.

პრემიერ-მინისტრ ბულენთ ევჯევიტის განცხადებით, ქივრიქოღლუმ სწორი განცხადება გააკეთა, რადგან ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა, სწორედ საბჭოს რეფორმირებაა.

ქივრიქოღლუს განცხადებით, საბჭოში მეტი სამოქალაქო პირის შეყვანით მისი ეფექტურობა არ დაცემება. „თუ მათ სურთ, შეუძლიათ 100 სამოქალაქო პირი ჰყავდეთ. მე მთხოვა მთავრობამ ამის შესახებ, მე ვუთხარი მათ, რომ ჩვენ განსაკუთრებით წინააღმდეგნი არ იქნებოდა“- განაცხადა გენშტაბის მეთაურმა.

„ნებისმიერ შემთხვევაში ეროვნული უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებებს კენჭისყრით არ იღებს. ყველა თავის შეხედულებას ამბობს და პერიზიდენტს მას აჯამებს. მე მონაწილეობა მიიღე საბჭოს შეხვედრაში, სადაც 34 ადამიანი იყო. არცერთ შემთხვევაში პრობლემა არ ყოფილა და კონსენსუსი საბოლოოდ მაინც მიიღწეოდა“- ასევე განაცხადა ქივრიქოღლუმ. ანალიტიკოსების შეფასებით, გენერალს ამით შეიძლება იმის ხაზგასმა სურდა, რომ საბჭოში სამოქალაქო პირების სიჭარბე საბჭოს შეუშაბსაში ძირეულ ცვლილებებს ვერ შეიტანდა.

საბჭოს შემადგენლობის სამოქალაქო წევრებით გაზრდა ევროპის პოლიტიკური წრეების იდეაა. ერთ-ერთი წინადადებით საბჭოს შემადგენლობას უნდა დაემატათ ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი.

ეს წინადადება თურქეთში ვიზიტად მყოფ ევროკავშირის გაფართოებაზე პასუხისმგებელ კომისარს, გიუსტერ ვერპაგენსაც გააცნეს. ამ ფორმულას მთავრობა უახლოეს მომავალში განიხილავს.

ეროვნული უშიშროების საბჭო ახლა შედგება 5 სამოქალაქო: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებისა და 5 სამხედრო პირისაგან: გენშტაბის, უნდარმერიის, სამხედრო, საჰაერო და საზღვაო ძალების მეთაურები.

ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნა არმია

სამოქალაქო-პოლიტიკურ კონტროლს დაექვემდებაროს. დღევანდელი პოლიტიკური გარემო, ეროვნული უშიშროების საბჭოს რეფორმირებას საფარუდოდ ხელს ვერ შეუშლის, რაც ევროკავშირისავე გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი იქნება. თუმცა, რეალურად რამდენად გამოიწვევს ეს სამხედროების პოზიციების შესუსტებას ძნელი სათქმელია. საბჭოში გადაწყვეტილება კონსენსუსის ძალით მიიღწევა, რაც ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე სამხედროების თანხმობას მოითხოვს.

თქმამ-მარამ-მარამის ურთიერთობა
და საპარტიო

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და არსებული შესაძლებლობის ფარგლებშიდან გამოირჩევა დიდად არის დამოკიდებული რეგიონში მიმდინარე პროცესების განვითარებაზე. ეს განსაკუთრებით იმ პროცესებს ეხება, რომლებიც საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ვითარდება. საქართველოს მეზობელ სახელმწიფოში მიმდინარე ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროზე გავლენას ახდენს. იქნება ეს უსაფრთხოების, პოლიტიკის თუ ეკონომიკის სფერო.

ამ მხრივ, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოა თურქეთი, რომელთანაც დღეისათვის სახელმწიფო დონეზე ურთიერთობა აღმავალი ხაზით ვითარდება. საბჭოთა კავშირის მსხვერვის შემდეგ თურქეთის საბჭოთა კავშირის ნაცვლად საქართველოს სახით ახალი მეზობელი გაუჩნდა, რომელთანაც დიდი ხნის ისტორიული კავშირები ჰქონდა. ეს ურთიერთობები სამაგალითოდ ვერ გამოადგენია, თუმცა ახალი კავშირები სრულიად განსხვავებულ მიდგომას დაევუქნა. თურქეთიც აღარ იყო, ის ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში მეზობლობა უწევდა. დღეს თურქეთი ისლამურ სამყაროში ერთადერთი სეკულარული და დემოკრატიული ქვეყანაა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძირითადად თურქეთის მხრიდან საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენაში გამოიხატებოდა, რაც თავის მხრივ რეგიონში თურქეთის ინტერესებთანაც იყო განპირობებული. საბჭოთა კავშირის მსხვერვაში თურქეთს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობა მისცა, რაც ანკარამ რეგიონის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გამოიყენა.

საქართველო ამ ქვეყნიდან განსაკუთრებულად გულს იკავებს, რადგან იგი თურქეთ-სომხეთის დაძაბული ურთიერთობის ფონზე აზერბაიჯანთან და ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი ხიდაა. გარდა ამისა, საქართველოსთან ურთიერთობა თურქეთს ერთ-ერთ პრიორიტეტად ესახება. ჰელსინკის სამიტის შემდეგ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისმაილ ჯემმა

მომავალ საუკუნეში თურქეთის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე საუბრისას ორი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიყო: თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება და კავკასიური პოლიტიკის გააქტიურება.

ორივე ეს პრიორიტეტი უშუალოდ უკავშირდება საქართველოს. კავკასიური პოლიტიკის გააქტიურება თავისთავად გულისხმობს მასში საქართველოს მონაწილეობას, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას კი საქართველოსთვის უფრო გრძელვადიანი შედეგი აქვს.

რა გავლენას მოახდენს საქართველოზე თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება? ერთი შეხედვით, მეზობელი სახელმწიფოს ევროპულ ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოსთვის ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ამან შეიძლება საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს. ისეთი მასშტაბისა და პოტენციალის მქონე სახელმწიფო, როგორიც თურქეთია, საქართველოს მსგავს პატარა მეზობლებზე ყოველთვის მოახდენს გავლენას, რაც ამ ქვეყნებისათვის შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობის აღმოჩნდეს.

თურქეთის ლტოლვა დასავლეთისაკენ საქართველოსთვის ცალსახად პოზიტიური მოვლენაა. დასავლური ღირებულებების მატარებელი სახელმწიფო, როგორც წესი ითვლება დემოკრატიულ ქვეყნად, რომელიც მეზობლებთან ურთიერთობისას მშვიდობიანი და ურთიერთპატივისცემის პრინციპებით ხელმძღვანელობს. დრომ დააჩვენა, რომ დემოკრატიული და დასავლური მმართველობის მოდელის ქვეყნები ერთმანეთში არ ოპოზიციონ. უფრო მეტიც, ისინი ორმხრივ ურთიერთობაში ურთიერთსარგებელის მიღებას ცდილობენ.

ამ პერსპექტივიდან გამომდინარე საქართველოს ინტერესებს არა თუ ეწინააღმდეგება თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება, არამედ პირიქით, იგი ხელს შეუწყობს საქართველოს დასავლეთთან დაახლოებას და რეგიონული სტაბილურობის დამყარებას. დღეს, აღარ არის ის დრო, როდესაც საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობისთვის სხვა ქვეყნების დახმარება სჭირდება, თუმცა დასავლური ღირებულებების მატარებელი სახელმწიფოს მეზობლობა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

თურქეთის ევროკავშირში მიღებამ საქართველოსთვის შეიძლება რამდენიმე პოზიტიური შედეგი გამოიღოს. თურქეთისთვის კავშირში გაწევრიანება გულისხმობს იმას, რომ თურქეთმა დააკმაყოფილოს მთელი რიგი მოთხოვნები, რომელსაც მას დასავლეთი უყუვნებს. ეს მოთხოვნები უმთავრესად ქვეყნის დემოკრატიზაციას და ადამიანის უფლებების დაცვას გულისხმობს. ამ შემთხვევაში თურქეთს აქვს საშუალება კავშირის წევრობა მოიპოვოს. თურქეთის დემოკრატიზაცია კი საქართველოს უშუალო ინტერესებში შედის,

რადგან მცირე და მითუმეტეს სუსტი სახელმწიფოს მეზობლად დიდი სახელმწიფოს არსებობა, რომელიც დასავლური ღირებულებების მატარებელია და უფრო მეტიც ევროკავშირის წევრია, საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტიაა. არაადემოკრატიული სახელმწიფო კი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისას თამაშის განსხვავებული წესებით თამაშობს, რაც შეიძლება ხშირად დემოკრატიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ქცევის ნორმებს სცილდებოდეს.

ამ მხრივ, საქართველო უაღრესად მოგებული დარჩება, რასაც შეიძლება გადამდები ეფექტი ჰქონდეს რეგიონის სხვა ქვეყნებზეც. ამას, კი საქართველოსთვის მხოლოდ სარგებელის მოტანა შეუძლია. თავისთავად დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს თავისი მეზობელი დემოკრატიული განვითარების რელსებზე დააყენოს. ევროკავშირის წევრი ქვეყნის მეზობლობა საქართველოსთვის კარგი სტიმული უნდა იყოს თავიდან შეიღოს წარსულს და სახელმწიფოს მართება და ცხოვრების ყველა სფეროში დასავლური მოდელი დანერგოს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი თავისებურების გათვალისწინებით. დასავლური მოდელის გადმოღება და დემოკრატიზაცია ყველაფრის ცვლილება არ გულისხმობს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებამ საქართველოს არანაკლებ ეფექტი შეიძლება მოუტანოს. მაშინ, როდესაც საქართველო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი „ხიდის“ ფუნქცია აღადგინა, საქართველო დასავლეთისთვის კვლავ მიმზიდველი გახდა. ამიტომაც, განკუთვნილი მეზობელი სახელმწიფო, ძლიერი ეკონომიკით საქართველოს მხოლოდ წაადგება.

ევროკავშირში გაწევრიანება თურქეთისაგან მთელი რიგი ეკონომიკური კრიტერიუმების შესრულებასაც მოითხოვს, რაც თურქეთის ძლიერი საბაზრო ეკონომიკის შექმნისაკენ უბიძგებს. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა კი საქართველოს მეზობლებთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას პირდება. თურქეთის ეკონომიკური გაძლიერება არ გულისხმობს ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობაში მხოლოდ ცალმხრივ სარგებელს. ქვეყნის უნარიანი მართვის პირობებში, პატარა მასშტაბის ქვეყანას ყოველთვის შეუძლია დიდი მშენებლის რამე შესთავაზოს.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებით საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია ევროპისათვის გაიზრდება. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია მილსადენები. ეს საკითხი საქართველოსა და თურქეთს უშუალოდ უკავშირდება. რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური გეოგრაფიულიდან გამომდინარე, მილსადენების პოლიტიკაში საქართველოსა და თურქეთს მსგავსი პოზიციები ჩამოუყალიბდება. ამ შემთხვევაში, თურქეთის ინტერესების დაცვა საქართველოს ინტერესების დაცვასაც გულისხმობს. პერსპექ-

ტივაში საქართველომ და თურქეთმა კასპიის ზღვის ენერგორესურსები თავისი ტერიტორიის გავლით დასავლეთს და ევროკავშირს უნდა მიანწოდონ. ამიტომაც, თურქეთის ევროკავშირში განწევრიანება, თავისთავად გულისხმობს ევროკავშირში თურქეთის სახით საქართველოს ლობის გაძლიერებას. ნებისმიერი პროექტის განხორციელებაში თურქეთი, ბუნებრივია, თავისი ინტერესების დაცვას შეეცდება, რაც საქართველოს სასარგებლოდაც იმოქმედებს.

მილსადენების გარდა გასათვალისწინებელია სახმელეთო ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობები. თურქეთის კავშირში მიღებით, თურქეთის სატრანსპორტო სისტემისადმი (საავტომობილო გზა, სარკინიგზო ხაზი) დასავლეთის ყურადღება გაიზარდა. რის შედეგადაც, ევროკავშირის უშუალო ინტერესი გახდება ცენტრალურ აზიასა და კავკასიასთან თანამედროვე სატრანსპორტო ხაზებით დაკავშირება, რაც საქართველოზე თავის თავად პოზიტიურ გავლენას მოახდენს.

თურქეთის ევროკავშირში განწევრიანებით საქართველო ევროპაში იკარგავს დარბაზს და გეგმულს შეიძენს. თავად თურქეთის ხელისუფლება ღიად აცხადებს, რომ ანკარა საქართველოს დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში შესვლის პროცესის დაჩქარებაში უღალატებდა არის დაინტერესებული და ამისათვის მზად არის კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგეს. მსგავსი განცხადებების ფონზე, როდესაც თურქეთი საქართველოს არაერთ სფეროში უწევს დახმარებას, თურქეთის ევროკავშირში განწევრიანება საქართველოსთვის არათუ სასურველი, არამედ მნიშვნელოვანი ინტერესი უნდა იყოს.

არის იმის შესაძლებლობა, რომ თურქეთი ევროპის კავშირში არ მიიღონ. ამ შემთხვევაში, საქართველო-თურქეთის ურთიერთობამ შეიძლება გარკვეული ცვლილება განიცადოს. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბულენთი ევჯივრის განცხადებით, თურქეთი ევროკავშირში შესასვლელად 2004 წლისთვის იქნება მზად. დასავლეთელი ექსპერტების მოსაზრებით, თურქეთის პრემიერის განცხადება უაღრესად ოპტიმისტურია და იგი რეალობას არ შეესაბამება.

რა მოხდება, თუ თურქეთს 2004 წელს კავშირში მიღებაზე უარი უთხრეს. ამის პროგნოზირება რთულია, თუმცა, თურქეთმა ერთხელ, ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ დადასტურა, რომ ევროპასთან ურთიერთობის გაფუჭებას არ მოერიდება. მაშინ, ორ მხარეს შორის პოლიტიკური დიალოგი შეწყდა. ორმხრივი ურთიერთობები შემდგომ დაძაბვას მხოლოდ პელსინკის სამიტმა გადაიარაღა. თუმცა, გაიმეორებს თუ არა ძველ სვლას ანკარა ამ ეტაპზე ამის განსაზღვრა შეუძლებელია. ერთის ეტაპი კი დანაშაულებით შეიძლება, თურქეთი ევროპაში საბოლოო ინტეგრაციას ხელშეკრულებების დონეზე აგერ უკვე 1963 წლიდან ესწრაფვის. თურქეთში ევროპასთან გაერთიანების ოცნებით თაობები აღიზარდენ.

ფაქტობრივად ეს მიზანი თურქეთისათვის XXI-ე საუკუნეში ერთადერთია, რომლისკენაც თურქეთის რესპუბლიკა წლების განმავლობაში მიიღებს. ევროკავშირის უარი იქნება დიდი იმედგაცრუება, რამაც თურქეთის საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებში შეიძლება რადიკალური ცვლილებები შეიტანოს.

თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსის გადახედვა კი საქართველოზე პოზიტიურად ნამდვილად ვერ იმოქმედებს. თურქეთში ჯერ კიდევ თურგთუ ოზალის მმართველობის დროს ანკარამ ევროპას ზურგი აქცია და საგარეო პოლიტიკა აშშ-სა და ისლამური ქვეყნებისაკენ ურთიერთობის განმტკიცებისკენ მიმართა. ამის შანსი მომავალშიც არსებობს. ევროკავშირის უარი ლიბერალური, დასავლეთთან ინტეგრაციასზე ორიენტირებული ძალებისათვის დიდი დარტყმა იქნება. მას ლოგიკურად მოჰყვება პროდასავლური პარტიების პოზიციების შესუსტება და ულტრამემარჯვენეების, ულტრამემარცხენეებისა თუ ისლამისტების გაძლიერება. ამის საშიშროება თურქეთში ევროპასთან ურთიერთობის გაფუჭების პერიოდში დროგამოშვებით ნარმოიშვება ხოლმე.

ყოველგვარ ულტრაპოზიციებზე მდგარი პარტიის თურქეთის ხელისუფლებაში მოსვლა კი საქართველოს განვითარებაზე უშუალო გავლენას მოახდენს. არ არის დასაშალო, რომ თურქეთში მოღვაწე ზოგიერთი რადიკალური პოლიტიკური პარტია სამხრეთ კავკასიას თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს და გარკვეულ ვითარებაში რეგიონში პოზიციების გაქყარებას სამხედრო მეთოდებითაც არ მოერიდება. თუმცა, როდესაც ამ პარტიების პოპულარიზების ზრდაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია სამხედროების ფაქტორიც, რომლებიც თურქეთის სეკულარული განვითარების სადარაჯოზე დგანან და ხელისუფლებაში ულტრაპარტიების მოსვლას სხვადასხვა მეთოდებით აჩერებენ.

ევროკავშირის უარით, ულტრაპარტიებისა და განსაკუთრებით ისლამისტების გაძლიერება სამხედროების ბუნებრივი რეაქციის გამოირევს, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში ქაოსს გარდაუვალ შედეგად აქცევს. შიდა ქაოსი და არასტაბილურობა საქართველოზე აუცილებლად უარყოფით გავლენას მოახდენს. თურქეთში არასტაბილურობა, ფაქტობრივად რეგიონის არასტაბილურობას გულისხმობს, რაც ჯაჭვური რეაქციით საქართველოს ისედაც ფეთქებად მდებარეობას სახიფათოდ აქცევს. ამგვარად, თურქეთის ევროკავშირში არმიღება საქართველოსთვის თვისთავად, ნეგატიურ შედეგებს გამოიღებს, რაც საქართველოს, ისედაც შესუსტებულ მდგომარეობას, კიდევ უფრო დაასუსტებს.

პოლიტიკური არასტაბილურობა თავის ასახვას ეკონომიკაზეც მოკვებს. დასავლეთაღმოსავლეთის დამაკავშირებელი სახმელეთო ტრასები საფრთხის წინაშე დგას. თურქეთის მიერ

საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა კი ჩააგდება იმ ეკონომიკურ პროექტებს, რომელშიც საქართველო და თურქეთი ევროპულ ქვეყნებთან ერთად მონაწილეობს. შედეგად, საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს ზიანი მიადგება.

მსგავსი პერსპექტივების განვითარების ფონზე თურქეთის ევროკავშირში განწევრიანება საქართველოს ინტერესებში შედის. ევროკავშირის გამეზობლება საქართველოს მომავალზე აუცილებლად დადებით გავლენას მოახდენს. თუმცა, ამისათვის თავად საქართველოშიც კარგად უნდა გაიზარდონ თურქეთის ევროპული პოლიტიკის არსი და ზუსტად და გრძელვადიანი პერსპექტივით ქვეყნის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები განსაზღვრონ, რომლის განხორციელებაც მიზანმიმართულ და კარგად გათვლილ პოლიტიკას დაუფუძნება.

მნიშვნელოვანი თარიღები თურქეთში:

1963 წლის 12 სექტემბერი - თურქეთმა და ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა ხელი მოაწერეს ანკარის შეთანხმებას.

1964 წლის 1 დეკემბერი - ანკარის შეთანხმება ძალაში შევიდა.

1970 წლის 23 ნოემბერი - ხელი მოაწერეს დამატებით პროტოკოლს.

1973 წლის 1 იანვარი - დამატებითი პროტოკოლი ძალაში შევიდა.

1976 წლის დეკემბერი - თურქეთმა ყველა მისი ვალდებულებების შესრულება შეაჩერა, გამოიყენა რა დამატებით პროტოკოლში არსებული დავითი პუნქტი.

1982 წლის იანვარი - ევროპის პარლამენტის მიერ შემოთავაზებული ასოციაციის შეთანხმების განხილვის პროცესი შეჩერდა, 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ მასობრივი დაპატიმრებებისა და პოლიტიკური პარტიების დახურვის გამო.

1986 წლის სექტემბერი - დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ მოიწვიეს თურქეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო. ამით დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი.

1987 წლის 14 აპრილი - თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თურგთუ ოზალმა ევროკავშირში განწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა.

1995 წლის თებერვალი - ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა თურქეთთან საბაჟო კავშირის შექმნას მზადება შეიტანეს.

1995 წლის ოქტომბერი - საბერძნეთმა მოხსნა თავისი ვეტო საბაჟო კავშირთან მიმართებაში.

1995 წლის 13 დეკემბერი - ევროპის პარლამენტმა საბაჟო კავშირის შეთანხმებას რატიფიკაცია გაუკეთა.

1996 წლის 1 იანვარი - საბაჟო კავშირის მოქმედება ძალაში შევიდა.

1997 წლის 15 ივლისი - ევროკავშირის გაფართოების შესახებ მიღებული დოკუმენტის „პროგრამა 2000 წლისათვის“ მიხედვით, თურქეთი ევროკავშირის გაფართოების პროცესიდან გამოითქვს.

1997 წლის ოქტომბერი - პრემიერ-მინისტრ მესუთ ილმაზმა პირობა დადო მუშების თავისუფალი გადაადგილების საქმეში უფრო მოქნილი პოლიტიკა გაეტარებინა. გერმანიის კანცლერმა, ჰელმუტ კოლმა თურქეთს მხარი გარკვეული პირობებით დაუჭირა.

1997 წლის ოქტომბერი - თურქეთის პრემიერ-მინისტრ მესუთ ილმაზმა შეხვედრისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა თურქეთის ევროკავშირში განწევრიანებას მხარი დაუჭირა.

1997 წლის ნოემბერი - გერმანიამ თურქეთის მიმართ თავისი წინააღმდეგობა მოხსნა. ევროკავშირის წევრები შეთანხმდნენ მუდმივ ევროპულ კონფერენციაზე 11 კანდიდატ სახელმწიფოსთან ერთად თურქეთიც მიენკიათ. ერთადერთ შემთხვეურებაზე ფაქტობრივად საბერძნეთის შესაძლო ვეტო დარჩა.

1997 წლის 12-13 დეკემბერი - ევროკავშირის 15 სახელმწიფოს ლიდერმა თურქეთი კანდიდატა სიიდან გამოითქვა, თუმცა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თურქეთი ევროპის წინააღმდეგ და კავშირის გადანაცვლებას ანკარისათვის ევროკავშირის კარის მიხურვას მიზნად არ ისახავდა. ლუქსემბურგის სამიტის საბოლოო განცხადებაში თურქეთს განწევრიანების პერსპექტივა მიეცა. ამ განცხადებების შემდეგ თურქეთმა ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგი შეწყვიტა და ლუქსემბურგში მიღებულ გადაწყვეტილებას თურქეთის წინააღმდეგ დისკრიმინაციული უწოდა.

1998 წლის 15-16 ივნისი - კარდიფის სამიტის გადაწყვეტილებით თურქეთი ევროკავშირის გაფართოების პროცესში არ მოხვდა. ევროკავშირისამ თურქეთისათვის „ევროპული ინტეგრაციის“ რატიფიკაცია მოახდინა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ თურქეთის კანდიდატურა გარკვეული არ იქნა გამოცხადებული.

1999 წლის აგვისტო - თურქეთში 17 აგვისტოს დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მისილ ჯემმა თავის ბერძენ კოლეგა გიორგ პაპანდრეუსთან ერთად დაძაბული ურთიერთობის გასაწესებად ინტენსიური შეხვედრები დაიწყო.

1999 წლის სექტემბერი - ისმაილ ჯემმა განაცხადა, რომ ევროკავშირში განწევრიანება თურქეთისათვის „იდეა ფიქსი“ არ არის. მისი თქმით, პელსინკის სამიტი უკანასკნელი შანსი იყო ლუქსემბურგის სამიტის დროს თურქეთის მიმართ გამოუღწეველი დისკრიმინაცია გაეცნოყლებათ.

1999 წლის ოქტომბერი - საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგ პაპანდრეუმ სტამბოლში სიტყვა წარმოთქვა.

1999 წლის ოქტომბერი - ევროკომისიამ თავის ყოველწლიურ ანგარიშში განაცხადა, რომ თურქეთი შეიძლება პელსინკის სამიტზე ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატად დაუ-სახელდებინათ.

1999 წლის ნოემბერი - ისმაილ ჯემმა ევროკავშირში გაწევრიანებაზე თურქეთის პოზიციის გასაცნობად სტამბოლში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანი-ზაციის სამიტის დროს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებთან საქმიანი სადილო გამართა.

1999 წლის ნოემბერი - პელსინკის სამიტამდე ისმაილ ჯემმა განაცხადა, რომ თურქეთს საბერძნეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია.

1999 წლის დეკემბერი - ევროპის პარლამენტმა განაცხადა, რომ თურქეთი კანდი-დატ-სახელმწიფოდ უნდა მიიღოს.

1999 წლის 10 დეკემბერი - თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანების მეცამეტე კანდი-დატად დაასახელეს.

გამოყენებული ლიტერატურა ლა. წყაროები:

1. Agenda - 2000 - Enlargement, Regular report 1998 from the Commission on Turkey's progress towards accession, Bulletin of the European Union, Supplement 16/98;
2. The role of civil society in European integration, by Karen Fogg, Insight Turkey, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
3. Agenda - 2000, For a stronger and wider Union, Bulletin of the European Union; Supplement 5/97;
4. Turkey and the European Union: Helsinki and beyond, by Sinan Ilgen, Insight Turkey, October-December 1999, Vol. I, Number 1;
5. A new phase in Turkey-EU relations, by Nihat Akyol, Insight Turkey, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
6. The role of civil society in European integration, by Karen Fogg, Insight Turkey, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
7. A political stand-by agreement, by Cengiz Aktar, Insight Turkey, April-June 2000, Vol. 2, Number 2;
8. Turkey's historic mission, by Pukru Elekdad, Insight Turkey, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
9. Helsinki: opening a new era in Turkish-EU relations, Insight Turkey, by Bahadır Kaleađasi, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
10. The Challenges for the Turkey in the new millennium, by Hakan Hanly, Insight Turkey, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
11. Turkey and the EU in the new millennium, by Temel Yskit, Insight Turkey, January-March 2000, Vol. 2, Number 1;
12. Turkey and Europe: A Historical Perspective, by Halil Ynalcyk, Perceptions, March-May 1997, Vol. II, Number 1;
13. Turkey's European Foreign Policy, by Onur Oymen, Perceptions, March-May 1997, Vol. II, Number 1;
14. The Black Sea Economic Cooperation and the EU, by Ercan Ozer, Perceptions, September-November 1996;
15. European security and defense identity and Turkey, by Turan Morali, Perceptions, June-August, 1996;
16. Turkey and the new European Security context, řadi Erguvenç, Perceptions, June-August 1998;
17. The European parliament and Turkey, by Gunduz Aktan, Perceptions, December 1998-February 1999;
18. Turkey and the European Union: A question of cultural difference?, by Günter Endrueyç, Perceptions, June-August 1998;
19. Relations between Turkey and the European Union
20. Two processes in Turkish foreign policy: Integration and isolation, by Ramazan Gozen, Foreign Policy, Vol. XXI, Number 1-2, 1997;
21. Turkey and the EU: An endless hurdle-race, by Jesus A. Nuñez Villaverde, Perceptions, September, November 1998;
22. European Union excludes Turkey from expansion plans, by Anne Swardson, Washington Post Foreign Service, Saturday, December 13, 1997;
23. Final countdown to Helsinki summit, 9 December 1999, Turkey Update;
24. Final countdown to Helsinki summit, 9 December 1999, Turkey Update;
25. EU Commissioner's visit unleashes heated debate about EU demands, 23 July 2000, Turkey Update;
26. State departments divided over approach to EU accession process, 22 June 2000, Turkey Update;
27. DSTG: We endorse president Sezer's views, by Inci Hekimoglu, 1 July 2000, Turkish Daily News;
28. French takes European Union presidency, Turkey hopeful, 1 July 2000, Turkish Daily News.

კავკასიის უსაზღვრობის პანსაჰიპოპიკი გეოლოგიური კავსია?

■ შოთა უტიაშვილი

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასია პოსტკომუნისტურ სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ რეგიონად მოგვევლინა. პოლი-ტიკურმა, ეკონომიკურმა, პუმიანტარულმა პრობლემებმა და როგორც შიდასახელმწიფო-ბრივმა, ისე სახელმწიფოთაშორისმა კონფლი-ტებმა კავკასია აქცია ფეთქებადსაშიშ ზონად, რომელიც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს მიმდებარე რეგიონებისთვისაც.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები, ფაქტო-ბრივად, ჩიხში შევიდა. ჩეჩნეთის ომმა კავკასიის ჩრდილოეთით ახალი ნგრევა და განადგურება გამოიწვია. როგორც რეგიონის შიგნიდან, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან წამო-სულ სამშვიდობო ინიციატივებს ჯერჯერობით რაიმე შედეგი არ მოუტანიათ. უფრო მეტიც, არ არსებობს რეგიონის ჩიხიდან გამოყვანისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რეგიონში მოქმედი პოლიტიკური ძალები ახლო მომავალში პრობლემების მოგვარების საერთო ხედვის შემუშავებას შეძლებენ.

მოუგვარებელ კონფლიქტებს და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს ემატება რეგიონში არსებული ეკონომიკური კრიზისის მძიმე შედეგებიც. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს თითქმის ყველა სფეროში გაბატონებული კორუფცია, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორ-მების გატარებას, საოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ეს კი კავკასიის კიდევ უფრო ინტერულ რეგიონად აქცევს.

რეგიონის ინტეგრაციის საერთაშორისო სისტემაში და, პირველ რიგში, დასავლეთთან, ხელს უშლის რეგიონის შიგნიდან არსებული დაძა-ბულობები და სახელმწიფოებს შორის ჩამოყა-ლიბებული უნდობლობა. რეგიონული პარტნიო-რობა და თანამშრომლობა აუცილებელია არა მხოლოდ ევროგაერთიანებასთან და სხვა ევრო-პულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, არამედ კავკასიის გეოეკონომიკური პოტენციალის გამოსაყენებლად, რაც „ახალი აზერუშუმის გზისა“ და სხვა მსგავსი პროექტების ამუშავებას გულისხმობს.

კავკასიის მომავალზე მსჯელობისას,

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეგიონის ენერგეტიკული რესურსები. კასპიის შიდაკარბონატების მარაგის გამო რეგიონი საერთაშორისო ყურადღების ერთ-ერთ ფოკუსს წარმოადგენს. ამ დარგში ჩადებულ მრავალ-მძლიარდიან ინვესტიციებს და ნავთობის ექსპორტისაგან მიღებულ შემოსავლებს, მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში, შეუძლიათ ეკონომიკური განვითარების მძლავრ კატალი-ზატორებად მოგვევლინონ. ნავთობთან დაკავ-შირებული სამხედრო-პოლიტიკური ინტერე-სებიც შეიძლება მშვიდობისა და სტაბილურობის ხელისშემწეოდ ფაქტორებად იქცეს. ჯერჯე-რობით კი კავკასიის ნავთობმა რეგიონში მოქმედ გარეშე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გამწვავება გამოიწვია, რაც რეგიონის სახელ-მწიფოთა ურთიერთობაზეც აისახება.

კავკასიის მომავალზე მსჯელობისას, რე-გორც წესი, ორ ძირითად ვარიანტს განიხილავენ. უფრო ოპტიმისტური ვერსიის თანახმად, საქარ-თველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უნდა მიხედნენ, რომ მჭიდრო თანამშრომლობა და რეგიონული ინტეგრაცია მათ საშუალებას მისცემს უფრო სრულად გამოიყენონ ეკონომიკური და გეო-ეკონომიკური პოტენციალი და განიმტკიცონ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. რეალის-ტეტი კი ამტკიცებენ, რომ კავკასიის სამი სახელმწიფო საკმაოდ ჩამორჩენილია იმისათვის, რომ ინტეგრაციისა და კომპრომისების გზა აირჩიოს და საკმაოდ სუსტი, რომ თავის არჩეულ გზას ბოლომდე მიყვეს, გარეშე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად. ისინი, საუბრობენ კავკასიაში ორი მჭკოქე ალიანსის (ღერძის) წარმოქმნაზე უცხო სახელმწიფოების მონაწილეობითა და მხარდაჭერით. ზოგერთი ექსპერტი იმასაც ამტკიცებს, რომ სწორედ გარეშე სახელმწიფოები ერთობლივად იზრუნებენ რეგიონის სტაბი-ლურობისა და განვითარებისათვის, მაგრამ ეს ჯერჯერობით ძალზე შორეულ პერსპექტივად ჩანს.

გეოგრაფიული არეალი

როდესაც კავკასიაში სტაბილურობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია დაზუსტდეს რეგიონის საზღვრები. გეოგრაფიული თვალსაზრისით, კავკასია მოიცავს ჩრდილოეთ კავკასიას, კავკა-სიონის ქედსა და სამხრეთ კავკასიას (აღრე

გამოყენებული ტერმინი ამერიკაში თანდათან გამოდის ხმარებიდან. აშკარა პოლიტიკური შედეგის გამო. პოლიტიკურ რუკაზე იგი მოიცავს რუსეთის ერთ ნაწილს, საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს. ამ სუბიექტების ერთი რეგიონის შემადგენლობაში მოქცევა გარკვეულწილად გამართლებულია. ჯერ ერთი გეოგრაფიული საზღვროვითა და მეორე იმ ფაქტით, რომ რეგიონის შემადგენელი ქვეყნები დიდი ხნის მანძილზე ერთი სახელმწიფოს, ჯერ მეფის რუსეთისა და შემდეგ სასრულის შემადგენლობაში შედიოდნენ. თანაც, აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი რიგი ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ კავკასიის ორივე მხარეს, მაგალითად ოსები, ჩეჩნები (ქისტები) (საქართველო-რუსეთი), ლეზგები (აზერბაიჯანი-რუსეთი). ჩეჩნების მეორე ომის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში გადასახლდა ჩეჩენი ლტოლვილების ნაკადმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ ქვეყნები რეგიონულ სტაბილურობაზეა საუბარი, იგი უნდა მოიცავდეს როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიას.

მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სულ უფრო აშკარად იკვეთება ტენდენცია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია სულ უფრო განსხვავებულ ნიშან-თვისებებს იძენენ და სხვადასხვა გზით ვითარდებიან. რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-აზერბაიჯანს შორის არსებული უთანხმოებებმა ამ პროცესს კიდევ უფრო შეუწყო ხელი. სრულიად განსხვავებულია საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მიმართაც. თუ დასავლეთი ალიანსები და მხარსაც უჭერს სამხრეთი კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას, აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია აქვს მას ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში, რომელიც რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. ჯერ ერთი მხრივ, რაიმე ნიშანი იმისა, რომ აშშ ან ევროპა ცნობს რუსეთის რომელიმე ჩრდილო კავკასიური სუბიექტის, მაგალითად, ჩეჩნების დამოუკიდებლობას, არჩანს (ამგვარი დამოკიდებულება გამოიწვევს შეიძლება იყოს იმით, რომ ჩრდილო კავკასიის გამოყოფის შემთხვევაში შეიძლება რუსეთში პროცესები უმართავი გახდეს, ამ თავად ჩრდილო კავკასიაში ძალაუფლების ვაკუუმი ექსტრემისტმა ისლამისტებმა შეავსოს).

კავკასიის რეალურად ერთ რეგიონად ჩამოყალიბება შეიძლება წარმოვიდგინოთ ორ შემთხვევაში. პირველი, თუ კავკასიაში მოქმედებს ექსტრამეგობრობის ძალები (რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ, ევროკავშირი) გადანაცვლები მჭიდროდ ითანამშრომლონ ამ რეგიონში (ე.წ. ჩრდილოეთი განზომილების გადმოტანა კავკასიაში) და მეორე, თუ რუსეთის და ჩრდილო კავკასიის პროცესი გაგრძელდება და მან ჩრდილოეთ კავკასიაში მოიცავს სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ ლოგიკურია, თუ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას ცალკე-ცალკე სუბიექტებად წარმოვიდგენთ. თუმცა გასა-

თვალისწინებელია, რომ ეს რეგიონები მნიშვნელოვნად ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთის განვითარებაზე დიდი გავლენის მოხდენაც შეუძლია.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებრივი

სომხეთი

სომხეთის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი ფაქტორი აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან საფრთხის (წარმოსახული თუ რეალური) შეგრძნებაა.

სომხურ ეროვნულ ცნობიერებას ღრმა კვალი დაამჩნია 1915 წელს თურქეთში სომხების მასობრივმა განადგურებამ, რომელმაც სომხური წყაროებით მილიონნახევარი ადამიანის სიცოცხლე შეინარა და სომხების მთელ მსოფლიოში გაფანტვა გამოიწვია. მას შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები არ მონსტრულივდა. პირიქით, ახლად გაჩენილი ფაქტორები კიდევ უფრო აუარესებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას.

პირველი, სომხების მხრიდან გენოციდის ფაქტის აღიარების მოთხოვნის წამოყენებაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურია სომხური დიასპორა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში სისტემატურად აყენებს გენოციდის ცნობის საკითხს და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. გენოციდის ფაქტი სწრაფად აღიარების პარალელურად ქვედა პალატამ, კანადის პარლამენტმა და ა.შ. აქტიურდნენ სომხები აშშ-შიც, სადაც მათ ძალზე გავლენიანი დიასპორა ჰყავთ, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ. სომხების ეს მცდელობა თურქეთის სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. თავად თურქები გენოციდის ფაქტს უარყოფენ.

ორმხრივი ურთიერთობების მეორე ხელისშემშლელი ფაქტორია თურქეთის აშკარად პრო-აზერბაიჯანული პოზიცია ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. სამხედრო მოქმედებების დროს, თურქეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში კონფლიქტში ინტერვენციასაც კი მოითხოვდნენ. როდესაც ნახიჩევანში სომხეთის ჯარისკაცების საფრთხე შეიქმნა, თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები საზღვრის ახლოს გადაისროლა. ცეცხლის რეჟიმის შემდეგ აზერბაიჯანში გაჩნდა მოთხოვნები, აფშერონის ნახევარკუნძულზე განთავსებული თურქეთის ან ნატოს სამხედრო ბაზა. ამგვამდ თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვარი ჩაკეტილია, არ არის დიპლომატიური ურთიერთობები, არ ხდება პირდაპირი ვაჭრობა. საზღვრის გახსნისა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წინაპირობად თურქეთი სომხეთისაგან ყარაბაღის საკითხში კომპრომისზე წასვლას მოითხოვს.

რაც შეეხება სომხეთ-აზერბაიჯანის ურთი-

ერთობას, სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ სომხეთი საკუთარი გამარჯვების მძევლად იქცა. სომხეთი არ მონაწილეობს კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პროექტებში, მინიმალური მისი მონაწილეობა ტრასები-ს ეგვიდით მიმდინარე პროგრამებშიც. ბაქო აცხადებს, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებამდე არ დათანხმდება სომხეთთან ერთად ეკონომიკურ ან სატრანსპორტო-სატრანზიტო პროექტებში მონაწილეობაზე. ეს კი ნეგატიურად მოქმედებს როგორც სომხეთზე, ისე მთლიან რეგიონზე.

თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად სომხეთი იძულებულია რუსეთთან სამხედრო ალიანსს დაეყრდნოს. სწორედ ამ ალიანსის წყალობით იგი საპრეტო კავკასიის სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ჰეგემო სახელმწიფოდ იქცა. რუსეთმა დიდი ოდენობით (სხვადასხვა მონაცემებით ერთიდან ორ მილიარდ აშშ დოლარამდე ღირებულებით) იარაღი გადასცა სომხებს, ეხმარება მას ოფიცერთა შემადგენლობის მომზადებაში, სისტემატურად ტარდება ერთობლივი წრთვები. საპასუხოდ, სომხეთი არათუ არ ახდევინებს რუსეთს რენტას გიუმრიში გახლავებული რუსული სამხედრო ბაზისათვის, არამედ თავად კისრულობს ბაზის შენახვის ხარჯების ნაწილს. რუსეთს კი შესაძლებლობა ეძლევა სომხეთის მეშვეობით დიდი გავლენა იქონიოს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ბერკეტებზე.

მეგობრული ურთიერთობები აქვს სომხეთს ირანთანაც. ყარაბაღის ომის წლებში ირან-სომხეთის 30 კმ-იანი სასაზღვრო მონაკვეთი ამ უკანასკნელისათვის, სიცოცხლის გზას წარმოადგენდა. სომხეთ-ირანის დაახლოებას ხელს უწყობს ირან-თურქეთის ტრადიციული მეტოქეობა და რუსეთ-ირანის კარგი ურთიერთობა.

ერევანში შეშფოთებით ადევნებენ თვალს უკანასკნელ დროს მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებს. მათი „ფაქტორიტი“ რუსეთი, ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ თმობს პოზიციებს და ახლა შეუდარებლად უფრო სუსტია, ვიდრე ცივი ომის დროს. შესაბამისად, მცირდება სამხრეთ კავკასიაში მანიპულირების საშუალებათა არჩევანი და ამ საშუალებებში იზრდება სომხეთის ხვედრითი წილი, რაც ყოველთვის არ შეესაბამება სომხეთის ეროვნულ ინტერესებს. პარალელურად ძალზე შთაბეჭდილად ძლიერდება თურქეთი, რომელიც შეიძლება ითქვას, ეკონომიკურ ზემო გავლენის თურქეთის პრესტიჟი დიდად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქვეყნა ევროკავშირის წევრობის კანდიდატად აღიარეს და ანკარამ ქუთთა მუშათა პარტიასთან ბრძოლაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

მოსალოდნელია აზერბაიჯანის გაძლიერება. ნავთობიდან მოღებული შემოსავლები, სწორად გამოყენების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო განვითარებას

გამოიწვევს.

გარკვევადიან პერსპექტივაში რეალურად გამოიყურება ისიც, რომ აშშ-სა და ირანს შორის დაწყებული ყინულის დროის პროცესი გაგრძელდება. შესაბამისად შეიძლება ირან-რუსეთის კავშირები შესუსტდეს, რაც გავლენას იქონიებს თეირანისა და ერევნის მეგობრულ ურთიერთობებზე. რაც შეეხება სომხეთ-აშშ-ის ურთიერთობებს, ისინი გავლენიანი სომხური ლობის წყალობით კვლავინდებურად მეგობრული რჩება, მაგრამ კაპიტალიზმზე სომხეთი უკვე ძლივს უძლებს ირან-აზერბაიჯანულ ძალებს, რომელთა უკანაც დიდი ნავთობკომპანიები, თურქეთის მეგობრები და ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, აშშ-ის ენერგული ლობი დგას.

ასეთ შემთხვევაში სომხეთი ორი „ძლიერი მტრის“ წინააღმდეგ რჩება ერთი „სუსტი მეგობრის“ იმედად. რატომ უნდა, შესაძლებელია, მოვლენები სხვა სცენარით განვითარდეს, მაგრამ სომხეთის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ელიტა ვალდებულია მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე იფიქროს.

სომხეთში, ბუნებრივია, ბევრს ეს კარგად ესმის, მაგრამ ქვეყანაში „ყარაბაღის ფრთის“, ომის პარტიისა და რუსეთის ზეგავლენით კომპრომისულად განწყობილი პოლიტიკოსების პოზიციები შედარებით სუსტია.

ამგვარი პოლიტიკის გამო სერიოზულად ზარალდება სომხეთის ეკონომიკა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომხეთის ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ნაწილობრივ ამის მიზეზებად ეკონომიკურ ლიბერალიზაციის, ყარაბაღის კონფლიქტისა და 1988 წლის მიწისძვრას მიიჩნევენ. 1990-იან წლების დასასრულს სომხეთის მრეწველობა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, რასაც საერთო ეროვნული პროდუქტის 60%-ით შემცირება მოჰყვა. 1994 წლიდან ინფლაცია პიკერინფლაციაში გადაიზარდა, ფართოდ გავრცელდა უმუშევრობა და სიღატაკე. მთავრობის რეკომენდების პროგრამა, ქვეყნის პოლიტიკური და ბუნებრივი პრობლემების გამო, ნელა მიმდინარეობდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ვაჭრობა, დაბრკოლებები შექმნა ტრანსპორტს, გაუარესდა სინფინანსო კლიმატი.

1994 წელს, აზერბაიჯანთან ომის დასრულების შემდეგ, მთავრობამ სომხური დიასპორისა და საერთაშორისო დონორ ინსტიტუტების მხარდაჭერით, სტაბილუმიზაციისა და სტრუქტურული რეკომენდების პროგრამები განახორციელა.

1994 წლიდან საერთო ეროვნული პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპმა 6% შეადგინა, საშუალო წლიურმა ინფლაციამ - 9%, ბიუჯეტის დეფიციტმა კი - სპოს 3%. ეკონომიკურ ზრდის ხელი შეუწყო არსებული ეკონომიკური პოტენციალის უკეთ გამოყენებამ და ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაუმჯობესებამ.

გარკვეული პროგრესის მიღწევის მიუხედავად, სომხეთის ეკონომიკა კვლავაც სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, 1997 წელს ინვესტიციები შპპ-ის 8.8%-ს შეადგენდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა კი - 52 მილიონ დოლარს, რაც მოსტახტოურ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. პრობლემებია საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის სტაგნაციის პირობებში, იმპორტის განუხრელი ზრდა მიმდინარე ანგარიშების ბალანსის გაუარესებას იწვევს. 1998 წელს აღნიშნული ბალანსის დეფიციტმა შპპ-ის 25,2% შეადგინა. უარყოფითი საგაჭრო მაჩვენებლებია აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ დაწესებული ბლოკადას უკავშირდება. სომხეთს არა აქვს ზღვაზე გასასვლელი და მონეტარული მსოფლიოს უდიდეს ბაზრებს, რაც ზრდის მემზებელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობას. მაგრამ თურქეთისა და აზერბაიჯანის მიერ სომხეთის წინააღმდეგ შემოღებული ბლოკადა პირდაპირ ვაჭრობას შეუძლებელს ხდის და ზიანს აყენებს საქართველოსა და ირანთან ვაჭრობასაც. აღნიშნულ ემბარგოებს საქართველო თავისი ინტერესებისათვის იყენებს და ზრდის სომხეთის საქონლის ტრანსპორტირების ღირებულებას. წინა წლის რუსეთის საფინანსო კრიზისის შედეგად, 1999 წელს მოხდა მაკროეკონომიკური ტენდენციების გაუარესება, რამაც სომხეთში მრეწველობის ვარდნა, საგადაზღვეო ბალანსის გაუარესება და ინფლაციის ზრდა გამოიწვია.

აზერბაიჯანი

შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ორიენტირები საკმაოდ ნათლად არის გამოკვეთილი. ჯერ ერთი, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მისი ენერგეტიკული რესურსები დაუზრკოვლებლად მოხედვს მსოფლიო ბაზარზე.

სარესურსო პოტენციალი. სამხრეთ კასპიის ნავთობის მარაგის შესახებ მასმედიაში ხანგრძლივი დებატები მიმდინარეობს. 1875 წლიდან, აღმოცენების შემდეგ, ბაქოს ნავთობნარმოების განვითარების ისტორიამ მრავალი ასპექტი მოიცვა. XX საუკუნის დამდეგს, ბაქო მსოფლიო ნავთობნარმოების ერთ-ერთი ლიდერი იყო. საბჭოთა მმართველობის დროს იგი ბოლოშევიკური რევოლუციის ეკონომიკურ დასაყრდენსა და, შემდგომ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რუსეთისათვის აღმოსავლეთის ფრონტის ენერგომომარაგებელს წარმოადგენდა. 1980-იანი წლებისთვის ბაქოს ნავთობნარმოებამ პიკს მიაღწია (250 000 ბარელი დღეში), თუმცა შემდგომი თანდათანობითი ეკოლო (140 000 ბ/დ). 1990 წლისთვის სამხრეთ კასპიის ნავთობის მრეწველობა დაცემის ფაზაში შევიდა, 1991 წლიდან კი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნგრევიტი

პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

საბჭოთა პერიოდში კასპიის ნავთობი დასავლეთისათვის დახურულ თემას წარმოადგენდა. 1991 წლიდან, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმაციის პერიოდში, დასავლელ ინვესტორებს კასპიის ნავთობის საბადოების აღმოჩენისა და ათვისების საკითხში მეტი შესაძლებლობები მიეცათ. მსხვილი ნავთობკომპანიების ინტერესი სამხრეთ კასპიის ნავთობის მიმართ აუთისებელი საბადოების არსებობამ კიდევ უფრო გაზარდა. ახალ აღმოჩენებთან ერთად, ელინდებოდა ის სტრუქტურული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიდა ამ სექტორის განვითარებას. საბჭოთა ტექნოლოგიის შეზღუდულმა შესაძლებლობებმა და კაპიტალდაბანდების სიმძირე დასავლურ კომპანიებს კასპიის რეგიონში აუთისებელი რესურსები დაუტოვა, რაც ადგილობრივი საბადოების ათვისებასთან დაკავშირებულ რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. აღმოჩენილი იქნა 17,05 მილიარდი ბარელი აღდგენადი ნავთობის მარაგი აზერბაიჯანსა და დასავლეთ თურქმენეთში. წინასწარი პროგნოზებით, მოსალოდნელია დამატებით 20 მილიარდი ბარელის აღმოჩენა. სამხრეთ კასპიის ნავთობით განსაკუთრებულ დაინტერესებას განაპირობებს მისი ხარისხიანობა, რომლის ათვისებაც მრეწველობრივი ტექნოლოგიის გამოყენებით არის შესაძლებელი.

კასპიის ზღვის აუზის ენერგეტიკული პოტენციალი ჯერ კიდევ დაზუსტებას მოითხოვს. 1995 წელს აშშ-ში გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები, რომლის თანახმადაც კასპიის ზღვაში დაახლოებით 200 მილიარდი ბარელის არსებობა იყო ნავარაუდები (შედაბიჯისათვის საუდის არაბეთის ნავთობის მარაგი 269 მილიარდი ბარელია), აშკარად გაზვიადებულია. ყველაზე უფრო რეალისტურად გამოიყურება აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის ყოფილი პრეზიდენტის, ტერი ადამსის შეფასება, რომლის თანახმადაც, კასპიის ზღვაში დაახლოებით 40-60 მილიარდი ბარელი ნავთობის აღმოჩენაა სავარაუდო. რა თქმა უნდა, ესეც დიდი მოცულობაა (პლანეტის საერთო მარაგის 3-5%), მაგრამ იგი თავისი მნიშვნელობით ახლოსაც ვერ მოვახასიათებთ ყურფსთან.

1994 წელს სამხრეთ კასპიის ნავთობნარმოების სექტორში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის შემდეგ, აზერბაიჯანის ნავთობპროდუქტი დღეში 240 000-დან 260 000 ბარელამდე გაიზარდა, დასავლეთ თურქმენეთისა კი 120 000-დან 130 000 ბ/დ. ეს კი მხოლოდ დასაწყისია. 2010 წლისთვის, მნიშვნელოვანი საინვესტიციო დაბრკოლებების არქონის შემთხვევაში, სამხრეთ კასპიის ნავთობპროდუქციამ 1,2-დან 1,5 მილიონ ბ/დ უნდა მიაღწიოს. ამ მაჩვენებლებით სამხრეთ კასპიის ნავთობის მარაგი ჩრდილოეთის ზღვის ექვივალენტურია გახდება.

1994 წლიდან სამხრეთ კასპიის ნავთობმა

მრავალი უცხოელი ნავთობინვესტორი მიზიდა. კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწინილი ნავთობპოლიტიკის გატარებით, აზერბაიჯანმა საიმედო საინვესტიციო სექტორი შექმნა. ამის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს პროდუქციის განაწილების კონტრაქტების (პეკ) დადება, რომელიც აზერბაიჯანის პარლამენტის მიერ მიღებული კანონით განსაზღვრებული მოგებისა და უსაფრთხოების უფლებით სარგებლობს. 19 ამგვარი კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია და 27 უცხოელი ინვესტორის მონაწილეობას ითვალისწინებს. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, „საუკუნის კონტრაქტი“ ითვალისწინებს ნავთობის უზარმაზარი საბადოს ათვისებას, რისთვისაც 10 მილიარდი დოლარი კაპიტალდაბანდების გარანტიები უკვე არსებობს. 18 კონტრაქტი ითვალისწინებს ძენაძეებით სამუშაოებს, რისთვისაც 3-5 წლის განმავლობაში 4 მილიარდი დოლარის ინვესტირებაა განზრახული. თუ საბოლოო სამუშაოების შესამედი წარმატებული აღმოჩნდება და პროდუქციის განაწილების შეთანხმებაში მიიღწევა, აზერბაიჯანი დამატებით 30 მილიარდ დოლარ ინვესტიციას მიიღებს. (აზერბაიჯანში მოსალოდნელი ინვესტიციების საერთო რაოდენობაზე განსვავებული მოსაზრებები არსებობს. ასახელებენ 29-36 მილიარდ და 50 მილიარდ აშშ დოლარს. სულ კი, კასპიის ენერგეტიკულ სექტორში, შ.შ. მილადენების მშენებლობაში, 100 მილიარდი დოლარის ინვესტირებაა ნავარაუდები).

სანავთობო სექტორში ეს უზარმაზარი კაპიტალდაბანდებები, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კატალიზატორს წარმოადგენს და, მეორე მხრივ, რეგიონის შიგნით და დასავლეთის ქვეყნებთან მრავალფეროვან გეოპოლიტიკურ კომპინაციებს ქმნის. სანავთობო კონტრაქტები აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის საფუძველს ქმნიან. მაგრამ ეს შეთანხმებული პროცესები 1998 წლის შემდეგ დაღმასვლას განიცდის. საექსპორტო მილადენების სისტემის შესახებ გადაწყვეტილების (რაც, სამწუხაროდ, აშკარად გამოკვეთილ პოლიტიკურ დატვირთვას იღებს) მოლოდინში შეჩერებულია უმნიშვნელოვანესი ოფშიორული საინვესტიციო პროექტები. კავკასიაში არსებობს ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური სტაბილურობის სიძნეოების მაგალითი, მაგრამ მდგრადი განვითარებისათვის კერძო ინვესტიციების მუდმივი ნაკადია აუცილებელი. ინვესტირება არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ სანავთობო სექტორით. საჭიროა კაპიტალდაბანდებები ელექტროენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. კავკასიაში შესაბამისი პოზიტიური პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდის უამრავი პოტენციალის გამოყენება შესაძლებელია.

მილადენების სტრატეგიაზე დანერგვით ქვემოთ შეჩერდებით. აქ კი უნდა ვთქვათ, რომ

ნავთობ-დაგასადენების საკითხს, ისევე როგორც მთლიანად ენერგეტიკულ რესურსებს აზერბაიჯანისთვის ეკონომიკურის გარდა უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, მასთანადაკავშირებული ქვეყნის მომავალი განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედი.

დაკარგული ტერიტორიები აზერბაიჯანისთვის კვლავაც ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება. ამჟამად სომხებს ოკუპირებული აქვთ აზერბაიჯანის ტერიტორიის დაახლოებით 15%. იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა სხვადასხვა წყაროების მონაცემებით 800 ათასიდან 1 მილიონამდეა. მათი დიდი ნაწილი დროებითი განსახლების ადგილებშია მოთავსებული და ძალზე მძიმე სიტუაციად აწევბა ქვეყნის ეკონომიკას. ლტოლვილები, რომლებიც ყარაბაღის საკითხში ყველაზე უფრო რადიკალურად არიან განწყობილი, მნიშვნელოვნად ზღუდავენ ამ საკითხში ქვეყნის ხელისუფლების „სამანერგო სივრცეს“. მოსახლეობის ამგვარ განწყობილებას თავის სასარგებლოდ იყენებენ ნაციონალისტურად განწყობილი ოპოზიციური პარტიები, რომლებიც მუდმივად აკრიტიკებენ ხელისუფლებას ყარაბაღის საკითხში კომპრომისული პოზიციის გამო. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გამოჩნდა მაშინ, როდესაც პრეზიდენტ კოჩარისთან შესვდრების შემდეგ, პეიდარ ალიევი დათმობების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. საინტერესოა, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მტკიცედ ზარალდება კონფლიქტის მოუგვარებლობის შედეგად, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევს სიტუაციიდან გამოსვლის ყველაზე გრძელვადიან გზას - ორმხრივ კომპრომისებს.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესი ამჟამად ჩიხშია მოხვედნი. მისკის ჯგუფის პირველი, ადრინდელი ინიციატივა, რომელიც ეუთო-ს ლისაბონის სამიტის პრინციპებს ეყრდნობოდა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას მოითხოვდა, უარყოფილ იქნა სომხეთის მიერ, ამავე ჯგუფის მეორე დედას, ასაერთო სახელმწიფოს“ უარყოფითად შეხვდა აზერბაიჯანი, რაც შეეხება ტერიტორიების გაცვლისა და სხვა გეგმებს, მათ, ფაქტობრივად, სერიოზულად არც კი განიხილავნ.

განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობები აქვს აზერბაიჯანს თურქეთთან. ლიად საუბრობენ ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნირობაზე. აზერბაიჯანის მხრიდან ამ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს სომხეთ-რუსეთის ალიანსის განვითარების სურვილი. თანაც თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა ამ ქვეყანას საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს როლი ითანამოს აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების საქმეში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თურქეთთან თანამშრომლობა

ეხმარება აზერბაიჯანს აშშ-თან ურთიერთობაში. მადრდეს ასრულებს აზერბაიჯან-თურქეთის ენობრივი, კულტურული და ისტორიული კავშირებიც.

ორმხრივი ურთიერთობებისათვის პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი (ნახიჩევანის ტერიტორია) თურქეთს არ ესაზღვრება. აზერბაიჯანისთვის აუცილებელია თურქეთთან პირდაპირი კომუნიკაციების არსებობა, რაც ამ ქვეყანას ბუნებრივად საქართველოსთან თანამშრომლობისაკენ უბიძგებს. საქართველო-აზერბაიჯანის პარტნიორულ ურთიერთობებს კიდევ უფრო ამტკიცებს ის, რომ ორივე ქვეყანა თავიანთი ეროვნული უშიშროებისათვის ძირითად საფრთხეს წარმოადგენს მზობილ შიხედას.

ანალიტიკოსთა მხრივ, აზერბაიჯანმა უკვე განსაზღვრა თავისი სახელმწიფო მოწყობის მაგალიტი. ალბათ უკვე აღარავინ მოიგონა ამ ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევა. უფრო რეალურია წარმოვიდგინოთ ქვეყანაში ერთი ძლიერი მმართველი კლანის არსებობა, რომელიც აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებასა და ნავთობისა და გაზის ინდუსტრიას. ეს ჯგუფი იქცევა ქვეყანაში სტაბილურობის საფუძვლად და ამავე დროს, მინერალური ნედლეულის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მას საშუალებას მისცემს მეტ-ნაკლებად გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რადგან ქვეყანა პირდაპირად ურთიერთობის არჩევს, აქ ალბათ სუფთა სახის ტოტალიტარული რეჟიმის წარმოქმნას არ უნდა მოელოდეთ.

ეკონომიკა. საბჭოთა სისტემის რღვევამ, სომხეთთან წარმოებულმა ომმა მნიშვნელოვნად გააუარესა აზერბაიჯანის ეკონომიკური ვითარება. 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 1988 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 37%-ს შეადგენდა. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის წარმოება, სადაბაშისად, 43 და 60%-ით შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის მრეწველობა. ამ დროის პროდუქცია 4,2 მილიონ ტონით შემცირდა.

1995 წლიდან, საერთო პოლიტიკურ სტაბილიზაციასთან ერთად, მთავრობა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული რეფორმების განხორციელებას შეუდგა და საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია. ინფლაცია 1664%-დან (1994 წელს) 1%-მდე (1997) შემცირდა და შემდეგ მკაცრი ფისკალური პოლიტიკის შედეგად დეფლაციაში გადაიზარდა. 1998 წელს ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა. მაკრომა ფისკალურმა პოლიტიკამ ხელი ვერ შეუშალა მშპ-ის ზრდას, რომელმაც პიკს - 10%-ს 1998 წელს მიაღწია. გაუმჯობესდა საგარეო ბალანსი. მიმდინარე

ანგარიშების ბალანსის 1.5 მილიარდიანი დეფიციტის (მშპ-ის 33%) დაფინანსება პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მეშვეობით მოხერხდა. ამ ინვესტიციების მოცულობამ, რომლის ძირითადი რეცეპიენტი მზარდი სანავთობო სექტორი იყო, 1 მილიარდი დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანს არსებითი დახმარება გაუწიეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა. 1992-99 წლებში მათგან ქვეყანამ 369 მილიონი დოლარი მიიღო. ძირითადად, ეს იყო მთავრობის ინსტიტუტური რეფორმებისათვის გამოზნული ტექნიკური დახმარება.

ამგვარად, 90-იან წლებში მეორე ნახევარში ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია, თუმცა ამ პროგრესის შენარჩუნება და ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება მჭიდროდა დაკავშირებული პოლიტიკურ სტაბილურობასთან და, პირველ რიგში, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასთან. პოლიტიკურ სტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კონიუნქტურას აზერბაიჯანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დივერსიფიცირებული ეკონომიკის არარსებობისა და ერთ დარგზე უზნოვო კონცენტრაციის ფონზე. ქვეყნის ეკონომიკის არამდგრადობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა 1997-98 წლებში ნავთობის ფასების კრიზისისა და 1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისის ფონზე.

საქართველო

თავისი დამოუკიდებელი არსებობა საქართველომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე მძიმედ დაიწყო. სამოქალაქო ომმა, კონფლიქტებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ეკონომიკურმა კატასტროფამ ქვეყანა დეზინტეგრაციის სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა. საშინაო კატაკლიზმებს საერთაშორისო იზოლაციაც დაემატა.

პროდასავლურ, პრორუსულ და პანკავკასიონისტურ თუ იზოლაციონისტურ მიმართულებებს შორის ბრძოლაში მტკიცებულა მიმდინარეობს საქართველოს საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბების პროცესი.

პროდასავლური ორიენტაცია ორ ძირითად მოსაზრებას ეყრდნობა. პირველი, დასავლეთისაა ერთადერთი ძალა, რომელსაც კავკასიაში რუსეთის გავლენის განცილებლა და ქვეყნისათვის უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად სანდო გარანტიების მიცემა შეუძლია. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ურთიერთობას ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი ნატო-სთან. მართალია, უახლოეს მომავალში თითქმის არაფერ მოელოს, რომ ნატო საქართველოს უსაფრთხოების გარანტი გახდებოდა, მაგრამ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკურ სისტემაში კავკასიის როლის ზრდას

პარალელურად, შესაძლოა ნატო უფრო მეტად დაინტერესდეს კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს უსაფრთხოებით.

საყურადღებოა, რომ ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ამგვარი პოზიციის არცთუ მთლად იზიარებენ ნატო-ს წევრ-სახელმწიფოებში. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა უმეტესობა კავკასიასთან ურთიერთობას კვლავაც რუსეთთან ურთიერთობის ჩრდილში განიხილავს. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კასპია-შავი ზღვის რეგიონთან. ამ მოსაზრების მხარდამჭერნი ფიქრობენ, რომ კავკასიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო გზა რეგიონში რუსეთისა და დასავლეთის ინტერესებს შორის გონივრული კომპრომისის მოძებნაა. რუსეთთან ღია კონფრონტაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დამლუპველი იქნება.

და მეორე, არასტაბილურობა და თუნდაც კონფლიქტები კავკასიაში ნაკლებად ემუქრება ევროპის უსაფრთხოებას (თუ თურქეთს არ მივიღებთ შედეგებსაში). აქედან გამომდინარე ნატო-ს წევრი ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან სამხედრო მსხვერპლის მიმართ, კავკასიაში პირდაპირი სამხედრო ჩარევას არ მოახდენენ.

პრორუსულ ორიენტაციაზე ძალზე ნეგატიური გავლენა იქონია აფხაზეთის კონფლიქტმა, რომლის შემდეგაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის ძირითად საშიშროებად რუსეთს აღიქვამს. ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხმა და რუსეთის ბრალდებებმა იმის შესახებ, რომ საქართველო მხარს უჭერს ჩეჩენ სეპარატისტებს, რაც მინიმუმ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის გავლით ჩეჩენ-მოსათვის იარაღისა და აღჭურვილობის დაუმტკიცებელ ტრანზიტში გამოიხატება.

ევთოპი 1999 წლის სტამბოლის სამიტზე ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა უნდა მოახდინოს ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გატანა 2001 წლის ივლისამდე და გადამცემის, საქართველოსთან შეთანხმებით ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გატანის კონკრეტული ვადები. მართალია, რუსეთი აცხადებს, რომ იგი აპირებს დადებულ ხელშეკრულების შესრულებას (ეს მისი ვალდებულება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერი ქვეყნების წინაშეც), მაგრამ უკანასკნელ ხანს მოსკოვში, განსაკუთრებით სამხედრო რეწებში, სულ უფრო ხშირად გაისმო რევიზიონისტული მოწოდებები. ასე, მაგალითად, რუსეთის მთავარი სამხედრო სტრატეგი ივანოვი აცხადებს, რომ

რუსეთმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ბაზები ამიერკავკასიაში. ისინი მოითხოვენ აგრეთვე ვაზიანის აეროპორტისა და გუდაუთის სამხედრო ბაზის შენარჩუნებას.

რაც შეეხება პანკავკასიურ და იზოლაციონისტურ შეხედულებებს, ისინი დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე იყო აქტუალური და ახლა მხარდაჭერით აღარ სარგებლობს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოც დიდი ხანია საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში თავისი ადგილის მოპოვებას, რაც მას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრეს საშუალებად მიაჩნია, თავის ადგილს საქართველო ხედავს ერთიანი ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის შემადგენლობაში. ამ გადგომით, ენერგეტიკული დეფიციტის პროექტები თბილისისათვის საყურადღებო არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ როგორც ერთგვარი „სატყუარა“, რომლითაც მოხდება დასავლეთის ქვეყნების დაინტერესება საქართველოში და მთლიანად კავკასიაში.

ჩვენი აზრით, აქ საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ დასავლური სამყაროს ნაწილად ქვეა პირველ რიგში პასუხისმგებელი მმართველობის, დემოკრატიული ინსტიტუტების, დადამინის უფლებათა დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოს, კორუფციასთან ბრძოლის დასავლური ღირებულებების ათვისებასა და მათ გუბაშორი იმპლემენტაციას ნიშნავს. ეს საქართველოს მსიცემს შანსს, ხელსაყრელი სტრატეგიული ვითარების დადგომის შემთხვევაში მართლაც იქცეს ევროპის ნაწილად და მეორეც, ზემოთ ჩამოთვლილი ღირებულებები არა მხოლოდ დასავლურ, არამედ ზოგადად კაცობრიო ღირებულებებს წარმოადგენენ, რომელთაც უნდა ეყრდნობოდეს ყველა განვითარებული სახელმწიფო.

ეკონომიკა. ტრანზიციით გამოწვეულ ეკონომიკურ სიძნელეებს საქართველოში თან დაერთო სამოქალაქო კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და პოტენციური არასტაბილურობა აჭარაში და ჯავახეთში. ამის შედეგად, 1990-დან 1995 წლამდე ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია 70%-ით შემცირდა; 1980 წელთან შედარებით, 20%-მდე დაეცა სანარმოო საშუალებათა გამოყენების მაჩვენებელი. 1993 წელს ინფლაციამ 8400%-ს მიაღწია. შიდა და საგარეო ბალანსის დეფიციტის საგანგაშო ტემპებით იზრდებოდა.

ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა - 1993 წელს სამხრეთ ოსეთში და 1994 წელს აფხაზეთში - მთავრობას კონსტრუქციული სტრუქტურული რეფორმების განხორციელებისა და მაკროეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების საშუალება მისცა. ამაში მას დიდი დახმარება გაუწიეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა. 1999 წლისათვის რეკონ-

სტრუქტურისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ კერძო სექტორის განვითარების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინსტიტუციური რეფორმების და სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი თანხების რაოდენობამ 510 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის, რომლის მიერ დაფინანსებული ტრასეკა-ს პროექტის მეშვეობით, შავი ზღვის პორტების მოდერნიზაცია განხორციელდა.

1996-97 წლებში სეპ-ის ზრდის მაჩვენებელმა 10% შეადგინა, 1998 წლის დასაწყისისათვის ინფლაცია 1%-მდე შემცირდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად, რუსეთის საფინანსო კრიზისის შედეგად, საქართველოც სერიოზულად დაზარალდა. 1999 წლის პირველ ნახევარში სეპ-ის ზრდის ტემპი 1,7%-მდე შემცირდა, ინფლაციამ 11%-ს მიაღწია, შიდა და საგარეო ბალანსებში არსებული პოზიტიური ტენდენციები ნეგატიურით შეიცვალა. ამის მიუხედავად, მთავრობამ კვლავ განაგრძო ფისკალური და სტრუქტურული რეფორმების განხორციელება. ხელისუფლებამ საგადასახადო შემოსავლების გაზრდა გადაზიდვითა და ბაზის გაფართოებითა და საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტურობის ამაღლებით სცადა, ხარჯვითი ნაწილის პრობლემატიკა კი განათლება და ჯანდაცვა იქცა. საქართველოს მთავრობა ცდილობს სანარმოო ბაზის დივერსიფიცირებას, რისთვისაც აქცენტს პრივატიზაციაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მყარი საკონსტრუქციო ნაწილის ჩამოყალიბებაზე აკეთებს. ამის მიუხედავად, ნაწილობრივ არამყარი პოლიტიკური ვითარებისა და კონფლიქტების მოუგვარებლობის გამო, პროგრესის ტემპი კვლავაც დაბალია.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების
ზოგიერთი საერთო პრობლემა

მიუხედავად მომავლის განსხვავებული ხედვისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, საერთო მართლაც გამო, მრავალი საერთო პრობლემა აქვთ. განვითარების რა მოდელიც არ უნდა აირჩიონ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა, ამ პრობლემების უმეტესობა მათთვის სერიოზულ დაბრკოლებად იქცევა. მათგან ზოგიერთი, მაგალითად, სადავო ტერიტორიები, რეგიონული ვაჭრობის აღდგენის, ეკონომიკური თანამშრომლობის, რეგიონის ქვეყნებმა ერთად უნდა გადაჭრან, ზოგიერთი კი, როგორცაც სტაბილური სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, ეკონომიკის რესტრუქტურალიზაცია და განვითარება, კორუფციასთან ბრძოლა ცალკე ცალკე აღნიშნული პრობლემებიდან მხოლოდ ზოგიერთზე შეეაჩერებოდა ყურადღებას.

სუსტი სახელმწიფოს სინდრომი

სამხრეთი კავკასიის სამივე სახელმწიფო ყველა არსებული დიფიცილის თანახმად, პატარა, სუსტი ქვეყნებია. ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, სახელმწიფო, პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების მიხედვით ეს ქვეყნები იძულებული არიან საერთაშორისო სისტემაში ძალზე მოკრძალებულ როლსა და ადგილს დასჯერდნენ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ არ ძალუძთ მხოლოდ მათ ხელთ არსებული საშუალებებით დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები და განახორციელონ ეროვნული მიზნები. მათ ბედს მნიშვნელოვანწილად სხვა ქვეყნების, ინსტიტუტების დახმარება, მიდინარე პროცესები და მოვლენები განსაზღვრავს.

ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები არა მხოლოდ პატარა ქვეყნები, არამედ სუსტი სახელმწიფოებიც, ნაკლებად განვითარებული ინსტიტუტებითა და სახელმწიფოებრიობის შეგრძნებით.

სამხრეთ კავკასიაში სუსტი სახელმწიფოებრიობა დემოკრატიული ინსტიტუტების მოუმწიფებლობას, კანონის უზენაესობის პრინციპის არარსებობას, ფუნქციონირებად და საბაზრო ეკონომიკის არქონას, სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მასშედიის არარსებობასაც გულისხმობს.

ძალზე უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოებზე მათი უუნარობა ამოიღონ გადასახადები და მოახდინონ შემოსავლების რაციონალური განკარგვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები წარმოიშვნენ, როგორც უფრო დიდი სახელმწიფოს დეზინტეგრაციის შედეგი, რამაც წარმოშვა იმის საშიშროება, რომ დეზინტეგრაცია ყოფილი რესპუბლიკების დონეზე არ შეჩერდებოდა და განაგრძობდა თავის დამანგრეველ მოქმედებას მათ შიგნითაც. ეთნიკური კონფლიქტები, გარკვეულწილად, ამის გამოხატულებაა.

უსაფრთხოების პრობლემა

საკუთარი სისუსტის გამო სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს არ შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი ძალებით გადაჭრან თავიანთი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა. სამხედრო თვალსაზრისით, რეგიონის სამივე ქვეყანა შეუდარებლად უფრო სუსტია, ვიდრე მათი მეზობლები: რუსეთი, თურქეთი და ირანი. აქედან გამომდინარე, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი იძულებული არიან მუდმივად იზრუნონ ეროვნულ გადარჩევაზე, და ამ თვალსაზრისით ხშირად უფრო უცხო ქვეყნის, ვიდრე საკუთარ ძლიერებას დაეყრდნენ. თურქეთ-აზერბაიჯანი, სომხეთ-რუსეთის მჭიდრო თანამშრომლობა სწორედ ამის მაგალითია.

სამი სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემას კიდევ უფრო აწვავს გარემოება, რომ

ჯერჯერობით ისინი საერთაშორისო სისტემის წევრებად ნაკლებად მიიჩნევიან.

რაც შეეხება უსაფრთხოების რეგიონულ სისტემას, იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

რეალურად არსებულ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს ემატება წარმოსახული საფრთხეებიც, რაც, ნაწილობრივ, ყოფილი რესპუბლიკების პოლიტიკური ელიტების გამოუდევლობის შედეგია. მათში მხოლოდ ახლა იზალება იმის შეგრძნება, რომ მომავალშიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოუწევთ არსებობა და აქედან გამომდინარე, გრძელ და საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავება.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. რიბი უსაფრთხოების პრობლემებიც, როგორცაა, საერთაშორისო ტერორიზმი და დამნაშავეობა, იარაღთა და ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობა, კორუფციანად, ეკოლოგიურად და დაავადების გავრცელების საფრთხეები, ლტოლვილთა ნაკადები და ა.შ.

შიდა უსაფრთხოება

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვეყნების შიდა უსაფრთხოების პრობლემები. ალბათ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი საგარეო საფრთხეებისა, მთავარი საშიშროება მაინც ქვეყნის შიგნიდან მოდის და ჩამორჩენილობაში, არაკომპეტენტურობაში და კორუმპირებულობაში მდგომარეობს.

სამივე სახელმწიფოში განსაკუთრებით მტკიცუნელად დგას ქვეყნისა და მისი ელიტის ინტერესების შორის კონფლიქტის პრობლემა. მმართველი კლანები, როგორც წესი, უგულვებელყოფენ ეროვნულ ინტერესებს, როდესაც საქმე მათ პირად ან ჯგუფურ ინტერესებს ეხება. ასეთ სახელმწიფოებში, დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის ან არარსებობის ფონზე, განსაკუთრებით რთულად დგას ხელისუფლების ტრანზიციის პრობლემა.

ხელისუფლებაში ყოფნა ქვეყნის ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლის საშუალებას ნიშნავს, ხელისუფლების დაკარგვა, კი, შესაბამისად, ეკონომიკური რესურსების დაკარგვას. ამ რესურსების ნაკლებობის პირობებში მათთვის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავედგება. ამიტომაც, ხელისუფლებაში ყოფნა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანაა არა მხოლოდ პოლიტიკოსების, არამედ მათთან დაახლოებული „ბიზნესმენებისათვისაც“.

სტრატეგიული პრობლემები

სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების პრობლემა მებიდან ცალკე უნდა გამოიყოს სტრატეგიული პრობლემები.

ჯერ ერთი, შეუძლებელია, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები შეუძლებლად პოსტსაბჭოურ სივრცის ნაწილად მოიაზრებოდნენ. საჭიროა, მათი

იდეტურობა უფრო კონკრეტულად განისაზღვროს. ევროსაბჭოში საქართველოს მიღება და სომხეთისა და აზერბაიჯანის განცვირების რეალური პერსპექტივა (უკვე გადამწყვეტილია, რომ ნოემბერში იქვე ეს ქვეყანა ამ „პრესტიჟული კლუბის“ წევრი გახდება), გარკვეულ იმედებს იძლევა კავასიის ევროპულობის შესახებ. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყნების ევროკავშირში მიღება ძალიან შორეული და საეჭვო პერსპექტივა რეგიონის ევროპულ მოწოდებას კითხვის ნიშნის ქვეშაყენებს.

მეორეც, კავკასიაში იკვეთება თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ყველაზე გავლენიანი ძალების, აშშ-ის, ევროკავშირის, ისლამური სამყაროს, რუსეთის ინტერესები. ამ ძალების შორის დამაბულობა ძალზე ნეგატიურად აისახება კავკასიაზე, რომელსაც ზოგიერთი „ცივილიზაციითა შეჯახების“ ბრძოლის ველად მოიაზრებს.

კორუფცია

კორუფცია განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სენია. თუმცა, იმის შესახებ, თუ რა კავშირია კორუფციასა და განვითარებას შორის, დებატები კვლავაც გრძელდება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საერთაშორისო განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ამ პრობლემას სათანადოდ ყურადღებას არ აქცევდნენ. როგორც წესი, მოცემული ქვეყნისათვის საერთაშორისო დამხმარების მოცულობა ნაკლებად იყო დამოკიდებული ამ დამხმარების მიზანმიმართულ გამოყენებაზე და ზოგადად, კორუფციის დონეზე. მიიჩნევდნენ, რომ კორუფციის ზეგავლენით ეკონომიკური რესურსების გადანაწილება ქვეყნის შიგნით ნაკლებ გავლენას ახდენს საერთო ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე, ეკონომიკური განვითარების ამ უმთავრეს ინდიკატორზე.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი კორუფციას განვითარებად ქვეყნებში გარკვეულწილად დადებით მოვლენადაც კი მიიჩნევდა, იმ გაგებით, რომ კორუფცია ხელს უწყობს სახელმწიფო მანქანის ფუნქციონირებას, რომელიც კორუფციის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება, უბრალოდ, მიიშალოს.

ფართოდ იყო გაზიარებული მარქსისტული შეხედულება, რომლის თანახმადაც, კაპიტალის დაგროვება კაპიტალიზმის განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. ხოლო უსამართლობა და რესურსების არათანაბარი გადანაწილება გარდაუვალია. ამ დებულებიდან გამომდინარეც ხედავდნენ კორუფციის, როგორც კაპიტალის დაგროვების საშუალების, დადებით მხარეებს.

ამგვარი შეხედულებების ემპირიულ დასაბუთებას აღმოსავლეთ აზიის „ვეფხეების“ მაგალითზე ცდილობდნენ, სადაც კორუფციამ, ნეპოტიზმმა და ფავორიტიზმმა თითქმის ხელი ვერ შეშუშა სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, ეს განზოგადება არასწორია, რადგანაც სინგაპურის,

კორუფციის, ტაივანის, ჰონგ-კონგისა და იაპონიის ეკონომიკურ აღმავლობას წინ სწორედ აგრესიული ანტიკორუფციული პოლიტიკა უსწრებდა, რასაც ხელისუფლებისადმი ნდობის გაჩენა მოყვა.

კორუფციაზე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ფაქტობრივად, თვალის დახუჭვის კიდევ ერთი მიზეზი იყო შეხედულება, რომ კორუფცია პოლიტიკური პრობლემაა, რომელიც ეკონომიკის ლიბერალიზაციის მეშვეობით გადაიჭრება. ამიტომ, ძირითადად აქცენტი სწორედ ეკონომიკურ ლიბერალიზაციაზე და არა კორუფციასთან ბრძოლაზე კეთდებოდა.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარმა მიდგომამ სრული კრახი განიცადა. კორუფცია იყო და რჩება მესამე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უპირველეს ხელშემშლელ ფაქტორად.

თუ ვითარდება სამხრეთ აზიის ქვეყნების მაგალითზე შევსავსებთ, აქ 90-იანი წლების განმავლობაში არც ერთი მთავრობა ზედზედ ორჯერ არ აურჩევიათ, ძირითადად იმის გამო, რომ ვერც ერთმა მთავრობამ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა ვერ წარმართა.

ეს ფაქტორი კიდევ ერთ საყურადღებო ტენდენციას იმეცხვან: მსხვილ დონეზე კორუფციასთან ბრძოლის მოთხოვნა ქვეყნის შიგნით. ამ მისწრაფებას აქტიურად იყენებენ ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებას სწორედ კორუფციის ნიადაგზე უტყევენ და ხშირად წარმატებითაც. თუმცა ეს პრობლემა არ შეეღობა, რადგანაც ახალი ხელისუფლებაც ხშირად ისევე კორუმპირებულია, როგორც მისი წინამორბედი. კორუფცია უკიდურესად ცუდად მოქმედებს ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელზე.

არცთუ მთლად ეფექტური აღმოჩნდა კორუფციის წინააღმდეგ ეკონომიკური ლიბერალიზაციის გამოყენება. პირიქით, კორუფცია აწელებს ზრდის ტემპებს და შეუძლებელს ხდის ლიბერალური ეკონომიკის მდგრად განვითარებას შემდეგი ფაქტორების ზემოქმედების გამო:

1. კორუფცია არ აძლევს ხელისუფლებას საშუალებას მოსახლეობა უზრუნველყოს ძირითადი საჭიროება და მომსახურებით. საჯარო სახსრები მიდის ხელისუფლების მომხრეთა კერძო ინტერესების და არა ხალხის დასაკმაყოფილებლად. ეს არყვეს ნდობას როგორც მთავრობის, ისე მის მიერ გატარებული ლიბერალიზაციის კურსის მიმართაც.

2. მართალია, ლიბერალიზაცია გზას უღობავს კორუფციის ზოგიერთ საშუალებას, სამაგიეროდ, ქმნის ახლებს, მაგალითად, პრივატიზაციას.

3. კორუფცია მნიშვნელოვნად ცვლის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს როგორც საჯარო, ისე კერძო ინსტიტუტებში. ხელისუფლების კორუმპირებული წარმომადგენელი აკეთებს ზუსტად იმის საპირისპიროს, რაც მას თანამდებობრივად ევალება. ზედმეტი რეგული-

რების, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის გართულების მეშვეობით, იგი ცდილობს მუდმივი საფრთხის ქვეშ აყავდეს კერძო სტრუქტურები და მათთან მაქსიმალური მოგება მიიღოს. კერძო ინსტიტუტები იძულებულნი ხდებიან მოერგონ ამგვარ ვითარებას, მაქსიმალურად გაასაღიდონ მლუინ თვითნაობის საფრთხე, რათა თავი დაიკავონ მთავრობის მხრიდან მოულოდნელი მასშტაბის რეგისტრაციისგან. ამავე მიზნით კომერციული სტრუქტურები იყენებენ საკუთარს ყოვლად წარმოუდგენელ ფორმებს. ბიზნესი ხშირად აღწევს წარმატებას კანონებისადმი გვერდის ავლით, მაგრამ ეს ხდება კერძო სტრუქტურების გამჭვირვალობის მექანიზმის შემცირების ხარჯზე, რაც შეუძლებელს ხდის მათადმი გრძელვადიანი ნდობის აღმოსაფხვრის შექმნას.

4. უამრავი ნესი აიძულებს ფორმებს დაარღვიონ კანონი. პოლიტიკოსების მხრიდან სპორადული თავდასხმები „უკანონოდ დაგროვებულ სიმდიდრეზე“ ბიზნესმენებს ჯერ ერთი საზოგადოების მხარდაჭერას ართმევს და მეორე, მათ არ აძლევს საშუალებას ღიად ჩაებან პოლიტიკაში. ბიზნესმენები დიდად არიან დამოკიდებული პოლიტიკოსებთან პირად კავშირებზე. თუმცა, „კარგ კავშირებზე“ დამყარებული გარიგებები ხშირად კრახით მთავრდება, როდესაც ახალი მთავრობა მოდის.

5. დემოკრატიულ ქვეყნებში კორუფციის დამალვა ძნელია. იგი ყოველთვის აქტიური განხილვის საგანი და, ამასთანავე, ოპოზიციური პარტიების ყველაზე საყვარელი თემაა. როდესაც მთავრობა იცვლება, წინას მიერ დადებული შეთანხმებები სავალდებულო არ არის შეძღვენი სთვის, რაც ქონებრივ უფლებებს მუდმივი საფრთხის ქვეშ აყენებს. ითვალისწინებენ რა ამას, ინვესტორები რისკის კომპენსირებისათვის სამთავრობო სუბსიდიებს ან მონოპოლიურ მდგომარეობას მოითხოვენ. მთავრობის აშკარა ჩარევა კი ამიერიდან დასუსტებს კერძო სექტორს.

შეიძლება ითქვას, რომ კორუფცია პოლიტიკური პრობლემაა გამანადგურებელი ეკონომიკური შედეგებით. კორუფციის მსკვირვების პირობებში იკარგება შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია სიბილესის დანერგვა და გაერცხლება, მცირდება მენარმოება და ინვესტიციები. როდესაც მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მთავრობა უქმურია გაატაროს ეკონომიკური ზრდისაკენ მიმართული პოლიტიკა, მთავრობა კარგავს სახალხო მხარდაჭერას, ხელახლა არჩევის შანსს და შეიძლება დადგეს მისი ლეგიტიმურობის საკითხიც. კორუფცია ანგრევს ნდობას და შლის იმ გარემოში, რომელშიც ეკონომიკური რეფორმების გატარება შეიძლება.

კორუფციათ დასწავლულ ქვეყანაში განსაკუთრებით ძნელია ეფექტური საჯარო სამსახურის შექმნა, ამის გარეშე კი ქვეყნის სწრაფი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია.

სრულიად აშკარაა, რომ რეგიონში არსებული სხვა უამრავი პრობლემის ფონზე, თუ ქვეყნებმა ეს საკითხი ვერ გადავრეს, კორუფცია დამანგრეველად იმოქმედებს მათ სახელმწიფოებრიობაზე.

ეკონომიკური პრობლემები

ამაზე უკვე იყო საუბარი თვითუფლები ქვეყნის მიმოსილვისა და აქ მათზე დაწერილებით აღარ შეეწერებოდა.

წამორჩენილი საზოგადოება

ეს ცნება პრობლემათა ფართო სპექტრს აერთიანებს. ბრწყინვალე სულიერი მეგვიდრეობის ფონზე, ეს პრობლემა განსაკუთრებით გულსატკეპნი და მნიშვნელოვანია.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში, ფაქტობრივად, მოიშალა განათლების სისტემა, რაც იმის „გარანტია იძლევა“, რომ მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ისეთივე არაკომპეტენტური იქნება, როგორც მისი წინამორბედი. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს მათში სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების სისუსტე, რასაც ელექტორატის წინაშე საპასუხისმგებლობის გრძნობა მინიმუმამდე დაჰყავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უმუშევრობისა და სოციალური პრობლემები.

კონფლიქტებისა და ლაპაპულობების არმაღამისი მისიონი

მთიანი ყარაბაღი. ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის სსრის შემადგენლობაში 1923-1991/2 წლებში. კონფლიქტი დაიწყო საბჭოთა იერარქიული სისტემის დელეგირებისა და შედეგად. აღნიშნული სისტემა მოკავშირე რესპუბლიკებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებს მოიცავდა. ავტონომიური ოლქი დამოუკიდებელი იყო როგორც მოსკოვზე, ისე მოკავშირე რესპუბლიკაზე. ზოგადად სომხები და, განსაკუთრებით, მთიანი ყარაბაღის სომეხი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ავტონომიურ ოლქზე აზერბაიჯანის სუვერენიტეტთან დაკავშირებით. კონფლიქტის დასაწყისისათვის სომხები მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის 75%-ს შეადგენდნენ.

მეღვარებაში განსაკუთრებით იჩინა თავი საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში. დემონსტრაციებმა აშკარად გამოხატული ეთნოპოლიტიკური ხასიათი შეიძინა, ვითარება თანდათან უფრო დაიძაბა. 1988 წელს მთიანი ყარაბაღის სომხებმა მოსახლეობამ ოლქის აზერბაიჯანთან და გამოყოფა და სომხეთთან შეერთება მოითხოვა. მოსკოვმა ეს თხოვნა უარყო. სომხეთის ხელისუფლებამ ამას მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთების მონოფონი უპასუხა. 1992 წლის იანვარში, მოსკოვის ხანმოკლე პირდაპირი

მმართველობის შემდეგ, მთიანი ყარაბაღის მოსახლეობამ ხმა მისცა ოლქის დამოუკიდებლობას. ამ ცალმხრივი დეკლარაციის საპასუხოდ, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური სტატუსი გააუქმა, რამაც სრულმასშტაბიანი ომი გამოიწვია აზერბაიჯანსა და მთიანი ყარაბაღის კარგად ორგანიზებულ შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელსაც უშუალო დახმარებას უწევდა სომხეთი. 1992 წელს მათ არა მხოლოდ ოლქის ტერიტორია, არამედ აზერბაიჯანის სხვა 7 რაიონიც დაიკავეს, რაც ამ უკანასკნელის საერთო ტერიტორიის 10%-ს შეადგენს. ოკუპირებულ რაიონებს შორისაა ლაჩინი და კელბაქარი, რაც სომხებისა და მთიანი ყარაბაღის შორის სახმელეთო კავშირის საშუალებას ქმნის. 1994 წელს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემდეგ, მთიანი ყარაბაღი არსებობს, როგორც უღიარებული სახელმწიფო. მისი სამხედრო ძალები კვლავაც აკონტროლებენ ოკუპირებულ რაიონებს.

ომმა ლტოლვილთა დიდი ნაკადის გამოიწვია და ეკონომიკური სირთულეები გამოიწვია. ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობით მეღვარეობას ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის სომხებით დასახლებულ რიგ ქალაქებში. სომხებსა და მთიანი ყარაბაღში აზერბაიჯანელთა 200 ათასი სომეხი გაიქცა, 45 ათასმა კირუსეთს შეაფარა თავი. მეორე მხრივ, 185 ათასმა აზერბაიჯანელმა და 11 ათასმა ქურთმა დატოვა სომხეთი, 47 ათასი აზერბაიჯანელი მთიანი ყარაბაღიდან გამოიქცა. სომხების მიერ ოკუპირებული რაიონების 500-ზე მეტი 600 ათასამდე აზერბაიჯანელმა დატოვა, რაც ქვეყანაში არსებულ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვს 800 ათასამდე ზრდის (მთელი მოსახლეობის 10%).

1994 წლის შემდეგ მხარეთა სამხედრო ძალები დაცილებულია, ადგილი აქვს მცირემასშტაბიანი ინციდენტებს. ეთნო-მისკის ჯგუფმა (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი) შეიმუშავა კონფლიქტის დარეგულირების რამდენიმე გეგმა, თუმცა ისინი მხარეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

აფხაზეთი. ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში. მასზე კონტროლს ახორციელებდა როგორც საქართველოს მთავრობა, ისე ცენტრალური ხელისუფლება. ვითარებას ართულებდა ის გარემოება, რომ აფხაზებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდნენ, მნიშვნელოვანი პოსტების უმეტესობა ეკავათ. ამ პრივილეგიას მათ ერთი თვითგამორკვევაზე საბჭოთა შეხედულება ანიჭებდა, რომლის თანახმად, „სატიტულო ერებს“ გარკვეული ტერიტორიის ადმინისტრირების უფლება ენიჭებოდა. აფხაზებს ამ პრივილეგიას ეცილებოდა აფხაზეთის ქართველობა, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 45%-ს შეადგენდა (1989 წლის მონაცემებით).

ქართველები აზრით, მათი კულტურული და პოლიტიკური ჰეგემონია რესპუბლიკის შემადგენლობაში შემაჯავალ ავტონომიურ სუბიექტებზეც უნდა გავრცელდებოდა.

უკანასკნელ ათწლეულში აფხაზეთის ეროვნული მოძრაობა აქტიურად მოითხოვდა საქართველოდან გამოხსნას და რუსეთთან შეერთებას. 1989 წლიდან მოხდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის ესკალაცია, რამაც 1992 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების ინტერვენცია გამოიწვია. საპასუხოდ, აფხაზეთმა, არძინბას ხელშეწყობით, სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რაშიც მათ აქტიურად ეხმარებოდა ე.წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაცია. მათ მხარს უჭერდნენ, აგრეთვე, აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო შენაერთები. ქართულმა ჯარმა მარცხი განიცადა, რასაც ქართული მოსახლეობის მიერ აფხაზეთის დანთქკვა მოჰყვა.

1993 წელს გაერო-მ საქართველოში დამკვირვებელთა მისია (UNOMIG) განათავსა. მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. UNOMIG-ის მეთვალყურეობით, გახორციელდა რუსეთის (ფორმალურად, დსთ-ის) სამშვიდობო ძალების დისლოცაცია აფხაზეთში. სამშვიდობო ოპერაციები, ძირითადად, გალის რაიონში მიმდინარეობს, სადაც ომამდე ქართველები მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ. სამშვიდობო მოლაპარაკებები გაერო-ს იგიდით იმართება. რუსეთის შუამავლობით, 1997 წელს შევარდნაძემ და არძინბამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ამის მიუხედავად, ქართველმა ლტოლვილებმა, რომლებიც ვერ ურთავდნენ საკუთარ სახლებში დაბრუნების პერსპექტივის არარსებობას, შექმნეს გასამხედროებული ფორმირებები, რომლებიც, ძირითადად, გალის რაიონში მოქმედებენ. უსაფრთხოების ზონაში კვლავაც დაძაბული ვითარებაა.

მოლაპარაკებებზე აფხაზეთი მხარე კონფედერაციის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომელშიც გაერთიანდება ორი თანაბარუფლებიანი რეგენტული სახელმწიფო. ისინი გარკვეულ ფუნქციებს გადასცემენ საერთო სახელმწიფოს მთავრობას. საქართველოს ხელისუფლება კი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ისინი მზად არიან დათანხმდნენ ქვეყნის ფედერალიზაციას. აღნიშნული ინიციატივები მეორე მხარისათვის საკმარისი უსაფრთხოების გარანტიებს არ შეიცავს. 1999 წელს აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა იმ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, რომელშიც აფხაზეთის ოპამდელი მოსახლეობის მხოლოდ ნაწილი მონაწილეობდა.

აფხაზეთისათვის ომით მიყენებული ზარალი, რუსეთისა და საქართველოს მიერ მის წინააღმდეგ დაწესებული ბლოკადის გამო, აღმოებჩენილი არ არის. იგრძნობა საკვებისა და სხვა ძირითადი პროდუქტების დეფიციტი, ქარხნები მინიმალური

დატვირთვით მუშაობენ, არასტაბილურად ხდება გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება. კონფლიქტი სერიოზულ ზიანს აყენებს საქართველოსაც, რამდენადაც იკეტება რუსეთთან დამაკავშირებელი ყველაზე ხელსაყრელი გზები და ხელი ეშლება ტურიზმის აღორძინებას.

სამხრეთ ოსეთი. კავკასიაში დაახლოებით 600 ათასი ოსი ცხოვრობს. მათგან 440 ათასი ომამდე ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში ცხოვრობდა, ხოლო 160 ათასი - საქართველოში, მათგან 65 ათასი - ავტონომიურ ოლქში და 95 ათასი - საქართველოს სხვა რეგიონებში.

კონფლიქტი აღმოცენდა 1980-იანი წლების მიწურულს, როდესაც სამხრეთ ოსეთმა საჯაროდ დაიწყო გაფართოებული ავტონომიის მოთხოვნა. 1989 წელს მან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მოითხოვა. საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, ქართული მოსახლეობის დაცვის საბაბით, ძალების მოზიდვა დაიწყო. ისინი ოსებს გვიან მოსულ ერაღ მიიჩნევდნენ, რომელთაც საქართველოში რაიმე განსაკუთრებულ პოლიტიკურ სტატუსზე პრეტენზია არ უნდა ჰქონოდათ. თავისი სიმართლის დასაბუთებლად, ორივე მხარემ სამხედრო ძალას მიმართა. ქართულმა მოსახლეობამ თითქმის მთლიანად დატოვა სამხრეთ ოსეთი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები 100 ათასი ოსი ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში გაიქცა, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ნაწილი კი ჩრდილოეთ ოსეთში ემიგრირდა. 1992 წელს, საჩქო პოლიტიკურ და სამართლებრივ ვითარებაში გამართულ რეფერენდუმზე, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ ხმა მისცა ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. რუსეთის წამყვანი პოლიტიკოსები აქტიურად უჭერდნენ მხარს სამხრეთ ოსეთს. 1992 წელს, ამის გამო, რუსეთი საქართველოსთან ომის ზღვარზე აღმოჩნდა. 1992 წელს, ელცინისა და შევარდნაძის დავით შერეულმა შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შეიქმნა ქართულ-რუსულ-ოსური სამშვიდობო ძალები, რომლებიც ერთობლივ კომისიის კონტროლს დაექვემდებარა. საქართველოს ეუთო-ს მისია, რომელიც ხელს უწყობდა მოლაპარაკებებს პროცესს, აქტიურად ჩაერთო სამშვიდობო ძალების საქმიანობაში. 1997 წელს განახლდა კონტაქტები დაპირისპირებულ მხარეებს შორის. მხარეებმა მიიღეს შემორანდუმით ძალის არგამოყენების, ლტოლვილების დაბრუნებისათვის ხელშეწყობისა და დემოკრატიზაციის შესახებ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სიტუაციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

აჭარა. საქართველოს თურქეთთან მოსაზღვრე საზღვარი რეგიონი. აჭარის მოსახლეობა 400 ათასს აღემატება, რომელთაგან უდიდესი უმრავლესობა (392 ათასი, 1989 წლის მონაცემებით) მუსლიმია, ნაწილი - ორეო-

ვანი. იყენებს ქართულისა და თურქულის დიალექტებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აქ გარკვეული დაძაბულობა არსებობდა, თუმცა ძალადობასა და კონფლიქტამდე საქმე არ მისულა. უთანხმოებას იწვევს ეკონომიკური საკითხები და ძალაუფლების განაწილება აბაშიძესა და შევარდნაძის მმართველ პარტიას შორის. აბაშიძე რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად და მხარს უჭერს რუსეთი სამხედრო ბაზის ყოფნას ბათუმში. ბათუმის ძირითადი სატრანსპორტო პროექტებიდან გამორიცხება, თბილისში აჭარის ეკონომიკა დასუსტა.

მესხეთ-ჯავახეთი. რეგიონი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ესაზღვრება სომხეთს. მისი 235-ათასიანი მოსახლეობის 90%-ზე მეტს სომხები შეადგენენ. „ერესტრაოკის“ პერიოდშიან მოყოლებული, სომხები, სახალხო ეროვნული მოძრაობა „ჯავახკი“-ის ხელმძღვანელობით, სომხური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას მოითხოვენ და პროტესტს გამოქვეყნებენ იმის გამო, რომ მთავრობა მათ მიმე ეკონომიკურ მდგომარეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. შემდგომში მოხდა ამ მოძრაობის რადიკალიზაცია და გაჩნდა მოთხოვნები მათთვის ავტონომიის მიწოდება, ან სომხეთთან შეერთების შესახებ. ვითარება დაიძაბა 1994 წელს, როდესაც სამცხე და ჯავახეთი ერთ ადმინისტრაციულ ოლქად გაერთიანდა და მის ხელმძღვანელად ეთნიკური ქართველი დაინიშნა. ამ ადმინისტრაციული რაიონისა, რომელთაც დამოუკიდებელი სტრუქტურები მართავენ და პრედაირი ამყარებენ კავშირს თბილისთან. რაიმე რეგიონული სტრუქტურა ჯავახეთისთვის არ არსებობს. მთიანი ყარაბაღისაგან განსხვავებით, აქ კონფლიქტი არ აღმოცენებულა. სფეროთხილეს იჩენს თავად სომხები, რადგან ამ რეგიონში ემუშავება მას ომით, ან სრული ბლოკადით ემუქრება. ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზა განლაგებულია.

ლეზგიები. 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ლეზგი 400-ათასიანი ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და, ოსების მსგავსად, ორისახელმწიფოს - ამ შემთხვევაში, რუსეთისა (დაღესტნის) და აზერბაიჯანის - საზღვარზე სახლობენ, მდინარე სამურის გასწვრივ. დაახლოებით 252 ათასი ლეზგი ცხოვრობს სამხრეთ დაღესტანში, დანარჩენი კი - ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში. ლეზგები უკმაყოფილებას გამოთქვამენ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის შემდეგ მათი გაყოფის გამო და მიიჩნევენ, რომ ბაქო მათ დისკრიმინაციას ახდენს. საკუთარი უფლებების დაცვისა და, საერთოოდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ხელშესაწყობად, ლეზგებმა შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია „სადავლო“. 1993 წელს ლეზგთა დემონსტრაციები აზერბაიჯანის პარლიამენტს შეტაკებებში გადაიზარდა. ბაქო, რომელსაც არ სურს კიდევ ერთ ომში ჩათრევა,

დაღესტნის ხელისუფლებასთან ლეზგების საკითხზე საერთო ენის გამოხატვას ცდილობს. მიღწეულა შეთანხმება აზერბაიჯანს, რუსეთსა და დაღესტანს შორის საზღვრის გამჭვირვალობის თაობაზე.

ნახიჩევანი. ავტონომიური რესპუბლიკა აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ესაზღვრება თურქეთს, სომხეთსა და ირანს. 310-ათასიანი მოსახლეობით უდიდესი უმრავლესობა აზერბაიჯანელია. 80-იანი წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების დასაწყისში აქ არსებული დაძაბულობა ხელისუფლებისათვის ბრძოლის შედეგი უფრო იყო, ვიდრე ეთნიკური დავის სპირების გამოხატულება, რამდენადაც 1989 წელს სომხურმა მოსახლეობამ ნახიჩევანი მთლიანად დატოვა. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის შემდეგ ნახიჩევანმა შეინარჩუნა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საკუთარი კონსტიტუციით, მთავრობით, პარლამენტითა და სასამართლო ხელისუფლებით. ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში შედის: ადგილობრივი გადასახადები, ტურიზმი, ყარაბაღის იმპაზინდელი ხელმძღვანელი ჰიდარ ალიევი ნახიჩევანისათვის უფრო ფართო უფლებების მიწოდებას ცდილობდა, სანამ თვითონ გახდებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი. აღსანიშნავია, რომ ელჩიზიეცა და ალიევიც წარმოშობით ნახიჩევანიდან არიან.

მილსაქმეპის სტრატეგიის ყოველი მომენტი ასპექტი

კასპიური მილსადენების სტრატეგია. იმის საფრთხე, რომ კასპიის მინერალური ნედლეულის ტრანსპორტირება ბაზრებამდე ვერ მოხერხდება, ინვესტირებისათვის კვლავაც ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. კასპიის მილსადენის კონსტრუქციის მიერ ეფექტური ნავთობსადენის შექმნის საკითხი თენგიზიდან ნოვოროსიისკამდე 1992 წლის შემდეგ იდგა დღის წესრიგში. ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა, მისი ამოქმედება კი 2001 წლისათვისა დაგეგმილია. სრული დადგენილებით მუშაობის შემთხვევაში, ამ მილსადენში ყოველდღიურად 1,3 მილიონი ბარელი ნავთობი გაივლის (საფარდოდ, ეს 2016 წელს უნდა მოხდეს). ნავთობსადენი მოემსახურება ჩრდილო კასპიის საბადოების უმრავლესობას და სერიოზული ფაქტორი იქნება რუსეთის გრძელვადიანი პოლიტიკური და საეკონომიკური ინტერესებისათვის. პრობლემატურია ქმნის ასეთი დიდი რაოდენობის რუსული და ყაზახური ნავთობის გადატანა ბოსფორის სრუტის გავლით. პრობლემატურია დემონსტრაციები აზერბაიჯანის პარლიამენტს შეტაკებებში გადაიზარდა. ბაქო, რომელსაც არ სურს კიდევ ერთ ომში ჩათრევა,

სებით აქ 4 მილიარდი ტონა ნავთობი უნდა იყოს, რაც კაშაგანს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს საბადოდ აქცევს. წინასწარმა ბურღვებმა საბადოში ნავთობის გარკვეული რაოდენობის არსებობა დაადასტურა, თუმცა საერთო მოცულობა ჯერ დადგენილი არ არის.

სამხრეთ კასპისში აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა, პირველმა უცხოურმა ნავთობკონსორციუმმა, შავ ზღვამდე ნავთობსადენის გაყვანა სტრატეგიულ პრიორიტეტად დაისახა და ეს პროექტი უშუალოდ ოფშორული ნავთობის საბადოების ათვისებამდე განახორციელა. გადაწყდა ორი მილსადენის მშენებლობა, რამაც მათი ოპერაციული შესაძლებლობები და კომერციული უსაფრთხოება გაზარდა. აზერბაიჯანის მიერ 1996 წლის დასაწყისში მილსადენით გადაზიდვის შესახებ შეთანხმებები და სამთავრობათშორისო ხელშეკრულებები ჯერ რუსეთთან, შემდეგ კი - საქართველოსთან იქნა ხელმოწერილი. მათი მეშვეობით, შესაძლებელი გახდა დღემდე დაახლოებით 120 ათასი ბარელი აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის გავლით, ნოვოროსიისკამდე და საქართველოს გავლით, სუფსამდე. საერთაშორისო ბაზარს პირველმა აზერბაიჯანულმა ნავთობმა, რუსეთის გავლით, 1997 წლის ბოლოს მიაღწია.

ბოლო 3 წლის მანძილზე აღმოსავლეთ კასპიური ნავთობის ტრანსპორტირება წარმატებით მიმდინარეობს ჯერ კასპიის ზღვით, შემდეგ კი რკინიგზის მეშვეობით ბაქოდან ბათუმამდე. ასევე წარმატებით მიმდინარეობს თურქმენული ნავთობის ტრანსპორტირება ირანული ნეკას-მილსადენით თიერანამდე, შემდეგ იმავე რაოდენობის ნავთობი ირანი თურქმენეთის სუბურნებს სავარსეთის ყურეში. დამატებითი სექსპორტო შესაძლებლობებს ქმნის ვოლგა-დონის არხების სისტემა (ზაფხულში) და რკინიგზა მაზაჩკალიდან ნოვოროსიისკამდე. დღეს, არსებობს იმის სარული შესაძლებლობა, რომ კასპიის საექსპორტო ნავთობის მოლიანად მოხვედრის მსოფლიო ბაზარზე.

გაცხარებული პოლიტიკური დებატების საგანია ძირითადი საექსპორტო მილსადენების მშენებლობა. არსებობს სამი ვარიანტი: ჩრდილოეთის (ბაქო-ნოვოროსიისკი, ჩქინეთის გვერდის ავლით) - გამტარობა 0,5 მლნ ბარელი დღეში, დასავლეთის (ბაქო-სუფსა, ბაქო-ჯეიჰანი) - სანყისი გამტარუნარიანობით 1 მლნ ბარელი დღეში, და სამხრეთის (თიერანის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნებისკენ) - დღეში 350 ათასი ბარელის გადაზიდვის შესაძლებლობით. კითხვა ამჟამად მდგომარეობს არა იმაში, აშენდება თუ არა ეს მილსადენები, არამედ იმაში, თუ როდის აშენდება.

ირანთან ნავთობის გაცვლა, ჯერჯერობით, ტრანსპორტირების ყველაზე იაფი საშუალებაა, ამასთან, ირანს აქვს იმის პოტენციალი, რომ კიდევ უფრო შეამციროს გადასახადი. მაგრამ, სტრა-

ტეგიული მიზეზების გამო, ირანის გზით ექსპორტირებული ნავთობის რაოდენობა მცირეა. ახალ, ნეკა-თიერანის მილსადენზე გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში მილსადენის გამტარუნარიანობა დღეში 350 ათას ბარელამდეა შეზღუდული. ეს რაოდენობა ჩრდილოეთ ირანის, სადაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს, მოთხოვნის 50%-ს დააკმაყოფილებს. კასპიის ნავთობზე სრული დამოკიდებულება ირანისათვის სტრატეგიულად არასახარბილო იქნება. ამავდროულად, კომერციული თვალსაზრისით, არასახარბილოა ნავთობის გაცილებით დიდი რაოდენობის გადატანა სპარსეთის ყურემდე და, შემდეგ, მისი ზღვით ტრანსპორტირება აღმოსავლეთ აზიამდე, ან აშშ-ის დასავლეთ სანაპირომდე. დიდ მანძილზე ნავთობის გადატანა მნიშვნელოვად ზრდის ტრანსპორტირების ხარჯებს. ეს კი, ამ არჩევანს ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის ნავთობის სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ან შავი ზღვის ბაზრებამდე მიტანასთან შედარებით. ირანსა და სპარსეთის ყურის სხვა ნავთობმწარმოებელ ქვეყნებს არ სურთ კასპიური ნავთობის დამატებითი რაოდენობის შესვლა ისედაც გადაჭირვითულ საზღვაო გზებზე. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ირანს არ სურს კასპიურმა ნავთობმა მის საკუთარ ნედლეულს კონკურენცია გაუწიოს აზიის ბაზრებზე.

კონფრონტაცია, რომელიც სამხრეთკასპიურ მეგანავთობსადენს არჩევის საკითხს მოჰყვება, რეგიონული განვითარების ხელის შეშლელ ფაქტორად იქცა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამგვარი სიმძაფრის ნავთობსადენის მშენებლობა ბაზარს არ სჭირდება. არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება საცხებით დააკმაყოფილებს ბაზრის მოკლე და საშუალოვადიან მოთხოვნას.

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს მილსადენების სისტემის შექმნას სამხრეთ კასპიისპირეთში, ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს და პოლიტიკურად კარგადაა მოტივირებული. ამ პოლიტიკის გაგრძელება იქნებოდა რეგიონის ქვეყნების ევროპის ენერგეტიკულ ქარხნასთან მიერთება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა კასპიის მილსადენების განვითარებაში არსებულ დადებით ტენდენციებს.

ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის კასპიის რეგიონში დღეში 3-5,5 მილიონ ბარელ ნავთობს ამოიღებენ. უკვე დამუშავებულია იმ მილსადენების პროექტები, რომელთა მეშვეობითაც 4,5-5,5 მილიონი ბარელის ტრანსპორტირება გახდება შესაძლებელი. აღნიშნული პროექტები ამ პერიოდისათვის არსებულ ხმელთაშუაზღვიპირეთის, შავი ზღვისა და თავად კასპიის ქვეყნების მოთხოვნასაც ითვალისწინებს. მოთხოვნის სიმცირის, ან წარმოების ნაკარგუდზე ნელი ტემპით ზრდის შემთხვევაში, ნავთობის ექსპორ-

ტის რაოდენობა შემცირდება. თუკი მოთხოვნა გაიზარდება, მაშინ იმ დროისათვის არსებულ მილსადენებს, შეიძლება, გარკვეული სიმძლავრეები დაემატოს. ყოველ შემთხვევაში, უკვე დაფინანსებული მილსადენების ცვალებად პირობებთან ადაპტაცია სირთულეს აღარ წარმოადგენს.

ნავთობისაგან განსხვავებით, ბუნებრივი გაზი (გათხევადებული აირის გარდა) რთულად ტრანსპორტირებულია. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების გრძელვადიან პროექტებს რეგიონული ბაზრების მოთხოვნები განსაზღვრავს. ამგვარი პროექტების ინვესტირება მხოლოდ გრძელვადიანი (20 წლიანი) გაყიდვისა და შესყიდვის შეთანხმებათა გაფორმების საფუძველზე ხდება. რუსეთის, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში ბუნებრივი აირის ჭარბი რესურსები არსებობს, რაც მასზე მოთხოვნას აღემატება.

სამხრეთ ევროპა და შავი ზღვისა და ბალკანეთის რეგიონის ბაზრები გრძელვადიანი მოგების წყაროს წარმოადგენს, მაშინ როდესაც თურქეთი ბუნებრივი აირის ბაზარი მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაშია განსაკუთრებით მიმზიდველი, რაც განპირობებულია თურქეთში გაზზე მოთხოვნის ძალზე სწრაფი ზრდით.

ძირითადი კონკურენცია ამჟამად გაზსადენის ორ პროექტს შორის მიმდინარეობს. პირველი, რუსეთის „ციხფერ ნაკადად“ ნოდებული გაზსადენი შავი ზღვის გავლით თურქეთისაკენ და მეორე, ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი, თურქმენეთიდან თურქეთამდე, კასპიისა და ტრანსკავკასიის ენერგოაღწერების გავლით. ეს უკანასკნელი აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობს. ორივე პროექტი ტექნიკური თვალსაზრისით განხორციელებადია. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი საკმარისია თურქეთის მოკლე და საშუალო ვადიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივი აირის ბაზარი ორივე პროექტისათვის საჭირო კომერციული ინვესტირების მიღებისათვის საკმარად პატიარა. აზერბაიჯანის ახლად ამოჩენილი ოფშორული ბუნებრივი გაზის საბადო კონკურენციას კიდევ უფრო ზრდის, კერძოდ, საუბარია მის პირდაპირ მიწოდებაზე თურქეთისათვის ან ტრანსკასპიური გაზსადენის პარალელურად. თურქეთი სერიოზული არჩევანის წინაშეა, თითოეული ვარიანტი, თავის მხრივ, გარკვეულ რისკსა და გეოპოლიტიკურ დაშვირვას იძენს.

ამჟამინდელი მილსადენი, რომელიც თურქეთისათვის რუსეთის გაზის მიწოდებისათვის გამოიყენება, ხორციელდება აღმოსავლეთი შავი ზღვისპირა ქვეყნების გავლით. ამ სახმელეთო ინფრასტრუქტურის გაფართოება აშკარად ხელსაყრელია, მაგრამ რუსეთიც და თურქეთიც აღიარებენ რისკს არსებობის. იმდენად რამდენადც, ისინი დამოკიდებული არიან მესამე მხარის სატრანზიტო უფლებებზე. ეს აუცილებელს

ხდის, თურქეთისათვის რუსეთის გაზის მიწოდების პირდაპირი მარშრუტის ძიებას. შესაბამისად, რუსეთი ყურადღებას ამახვილებს „ციხფერ ნაკადად“ ნოდებულ ახალ პროექტზე: შავი ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენი, რომელიც თურქეთის მიმართულებით მესამე ქვეყანაში ტრანზიტის გარეშე გაივლის. გაზპრომის მიერ პროექტი 2001 წლისათვის თურქეთისათვის წელიწადში 16 კმ მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდებას ითვალისწინებს. პროექტში გამოიყენება უახლესი ტექნოლოგია, რათა გადებული იქნას ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიღრმეზე 375 კმ-იანი წყალქვეშა გაზსადენი, რაც უდაოდ სერიოზულ ტექნიკურ სირთულეს წარმოადგენს. ერთობლივი სანაშრომის დაფინანსება იტალიური, გერმანული და იაპონური ბანკებიდან 2 მლრდ დოლარის ინვესტიციას მოითხოვს. მიმდინარეობს სახმელეთო მილსადენის ნაწილისა და ტურმინალის მშენებლობა. მაგრამ მიწოდების დაწესებული ვადა პირველი ეტაპისათვის, რომელიც შესყიდვისა და გაყიდვის შეთანხმების თანხმად, ითვალისწინებს 8 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდებას წელიწადში, საეჭვოა, რომ შესრულდეს.

პროექტს აშკარა კონკურენციას უწევს ალტერნატიული ტრანსკასპიური მილსადენი. ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი, რომელსაც ამერიკულ-პოლანდიური კონსორციუმი ხელმძღვანელობს, ითვალისწინებს თურქეთისათვის თურქმენეთის გაზის მიწოდებას, წელიწადში 16-დან 30 მილიარდი კუბურ მეტრამდე ოდენობით, ტრანსკავკასიური ენერგოაღწერების გავლით. თუმცადა, კასპიური მილსადენის პროექტი, მთლიანად არის დამოკიდებული აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობაზე, კერძოდ, 1998 წლის ნოემბერში ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე მიღებულ შეთანხმებაზე.

ამის შემდეგ პროგრესი შედარებით ნელა მიმდინარეობს. აზერბაიჯანის ოფშორულ ნაწილში, შაშ-დენიზში აღმოჩენილი ბუნებრივი გაზი წარმოადგენს მნიშვნელოვან ალტერნატიულ წყაროს TCGP-სთვის (ტრანსკასპიური გაზსადენი), რომელიც წარმოდგენილი იყო განსახილველად. შაშ-დენიზის პროექტის ინვესტირებას თურქეთის მთავრობა უპირატესობას ანიჭებს. პროექტს შეუერთდება ტრანსკავკასიური მილსადენის ტრანზიტის, რაც უფრო გააძლიერებს ბაქო-ჯეიჰანის მხარდაჭერების პოზიციას. ამასთანავე, აზერბაიჯანი თურქეთს „ადრეული გაზის პროექტს“ სთავაზობს, რომელიც 2003 წლისათვის თურქეთისათვის წელიწადში 4 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდებას ითვალისწინებს. ამისათვის კი საჭიროა, საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული მილსადენის ინფრასტრუქტურის აღდგენა. შაშ-დენიზის ბუნებრივი გაზის მხარე ეტაპობრივი განვითარების შედეგად, 2010 წლისათვის გაზის მიწოდება წელიწადში 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ხოლო

2015 წლისათვის - 30 მლრდ მ-მდე გაიზარდა.

აქ უნდა აშენდეს ახალი გაზსადენის სისტემა. აზერბაიჯანს თურქეთთან არაა აქვს ხელმოწერილი არც ერთი შესყიდვისა და გაყიდვის შეთანხმება, შესაძლოა იმის გამო, რომ არის მცდელობა ამ პროექტის დაკავშირებისა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი დასრულებასთან. შაჰ-დენის პროექტის ფაქტუაზე აყენებს თურქმენეთის ტრანსკასპიური მილსადენის აუცილებლობას. თუმცაღა, ეკონომიკური თვალსაზრისით ერთზე მეტი მილსადენის შექმნა მნიშვნელოვანია. ეს ბაქოსა და აშხაბადს შორის თანამშრომლობის საშუალებებს იძლევა.

მეორე მხრივ, კასპიის ოფშორული სტატუსი და ტრანსნაციონალური ზღვის ფსკერით ტრანზიტის საკითხი გადაუწყვეტელია, რუსეთი და ირანი უნაბიძგებელია ოფშორული მილსადენის მშენებლობას ეკოლოგიური საფრთხის გამო. ამავდროს, აშხაბადსა და ბაქოს შორის პოლიტიკური ურთიერთობები დაძაბულია. თურქმენეთის ხელმძღვანელობას არსურს შეამციროს თურქეთისათვის პროექტით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის ექსპორტის მოცულობა აზერბაიჯანის სასარგებლოდ და შესაბამისად აშხაბადი ექვს ალტერნატიულ გზებს. განხილვის პროცესშია რუსეთისათვის წელიწადში 50 მლრდ მ³ გაზის ექსპორტის საკითხი. თურქმენეთის მხარე ბუნებრივ გაზზე დანერგულზე მაღალ ფასებს ითხოვს. ამასთანავე, სთავაზობს ბარტერული გარიგების სხვა სახის ვარიანტს. ეს თავისებურ რისკთან არის დაკავშირებული. თურქეთს არ სურს მიიღოს თურქმენული გაზი, როგორც „ცისფერი ნავადის“ ნაწილი. „გაზპრო-მის“ მიერ თურქმენეთისათვის გადაუხდელობა ვალეები აფერხებს ახალი ხელშეკრულებების დადებას. აშხაბადი ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავს ირანის სახმელეთო მარშრუტს. თავის მხრივ, ირანს თურქეთთან გაფორმებული აქვს შესყიდვისა და გაყიდვის ცალკეული შეთანხმებები წელიწადში 10 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ადრეული ექსპორტისათვის. შესაბამისი ურთიერთდაკავშირებული გაზის ინფრასტრუქტურა აშენებულია თავიდან თურქეთის საზღვრამდე. თურქეთის მხარეს დამაკავშირებელი მილსადენი არ დასრულებულა. ირანს არ უნდა აწყობდეს თურქმენეთის გაზის ტრანზიტით, რომელიც მის საკუთარს კონკურენციას გაუწევს.

უკანასკნელ ხანს დომინირება მოსაზრება, რომ ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის განხორციელება გაურკვევლია დროით დაგაიდგება. ამის მიზეზებად მოყვება რუსეთის ოპოზიცია აღნიშნული ინიციატივისადმი, მიმდინარე წელს ცენტრალური აზიის ყოფილ შესასვლელზე გაყვამის გავლენის განხილვის ზრდა, აზერბაიჯანის სურვილი, თავიდან აეცილებინა თურქმენული გაზის კონკურენცია, საფინანსო, სამართლებრივი და ტექნიკური პრობლემები, პრეზიდენტ ნიაზოვის რამდენიმე

გაურკვეველი პოლიტიკური მოსაზრებები. უახლოეს დღეებში, აშხაბადის განცხადებების საფუძველზე, კვლავ გაჩნდა იმედი, რომ აღნიშნული პროექტი შესაძლოა გადარჩეს.

რუსეთი აგრეთვე აღიარებს, რომ ადრეული გაზის პროექტი აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, სერიოზულად შეარყევს მის ამბიციებს თურქეთისა და, შესაბამისად, ევროპისათვის გაზის მიწოდების გრძელვადიანი პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. რუსეთში უკვე უშუალოდ მიმართა საქართველოს ადრეული გაზის მიწოდების ახალი ინიციატივით. გაზპრომმა სთავაზობს ერთობლივი სანარმოს დაარსებას საქართველოში ერთად (საქართველოს ბუნებრივი გაზის კომპანია), რათა მოიპოვოს ერთობლივი უფლებები არსებულ ქართულ ინფრასტრუქტურაზე და საპასუხოდ იძლევა წელიწადში 8 მილიარდი კუბური მეტრის რუსული გაზის მიწოდების გარანტიას. ეს უზრუნველყოფს ერთობლივი სანარმოს წელიწადში ორი მილიარდი კუბური მეტრის ოდენობით საქართველოს შიდა მოთხოვნილებებისთვის, 2 მილიარდ კუბურ მეტრის სომხეთისთვის და 4 მილიარდ კუბურ მეტრის თურქეთისათვის. პროექტი გაფართოვდება ახალი მილსადენის მეშვეობით, რაც, შესაბამისად, წელიწადში 16 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდებას გაულისხმობს თურქეთისათვის. ეს რუსულ-ქართული ადრეული გაზის პროექტი, დაასრულებს აზერბაიჯანულ და თურქმენულ ინიციატივებსა და შესაბამისად დაგვიანებით, მაგრამ აამოქმედებს „ცისფერი ნავადის“ პროექტს, რომელიც საკმაოდ ყოველწლიურად საქართველოს გერეგირებით არ მოუღია რუსეთის ეს წინადადება, მაგრამ ძალიან მტკიცებულად განიცდის ზამთარში რუსეთიდან მოზიდვადი გაზის შეწყვეტას. თურქეთს კი აქვს არჩევანი რუსეთს, კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგიონის ყველა ნავთობმომწოდებელ და სატრანზიტო ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი სარესურსო ან სატრანსპორტო პოტენციალი და იგი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ აქციოს. კონკურენციის ძირითადი ობიექტები ამჟამად მილსადენები და მოკლევადიანი სავაჭრო კონტრაქტებია (ეს განსაკუთრებით შეეხება ბუნებრივ გაზს).

კავკასიის სატრანსპორტო მშენებლობა

ენერგეტიკული რესურსებისაგან განსხვავებით, რომლის ექსპლუატაციის გზები და სარგებლობა სრულიად აშკარაა, ჯერ-ჯერობით უზრუნველანია, როგორ უნდა გამოიყენოს კავკასიამ თავისი მეორე უმნიშვნელოვანესი რესურსი - სავაჭრო სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა.

აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-

სამხრეთის დამაკავშირებელი სტრატეგიული დერეფანი, განვითარებული ინფრასტრუქტურით, ჩადებული მრავალმილიარდობის ინფრასტრუქტურითა და მის გასწვრივ მდებარე სახელმწიფოების სტაბილურობით დაინტერესებული თითქმის მთელი მსოფლიოთი, ძალზე მომხიბლავი და ამბიციური იდეაა.

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში არსებულმა მინერალურმა ნედლეულმა ამ იდეას საჭირო კონკრეტულ შესაძინა, რისი წყალობითაც, ახალი აბრეშუმის გზის მხარდამჭერებს შეუძლიათ ისაუბრონ არაა ძალზე ამბიციური, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კატეგორიებით, არამედ კონკრეტული ტვირთბრუნების, ინფრასტრუქტურის ცალკეული დარგების განვიითარებისა და აქედან მიღებული მოგების შესახებ.

ალბათ, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ თუ არა კასპიის ზღვის რესურსები, კავკასიის სტრატეგიული მდებარეობა, გაცილებით უფრო ნაკლებ ინტერესს გამოიწვევდა.

ისიც შეიძლება ითქვას, რომ იდეაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი იმდენადვე სტრატეგიული პოლიტიკური პროექტი, რამდენადაც ეკონომიკური. მისი გავლით იდევნება და ღირებულებების ტრანზიტო არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საქონლისა და მინერალური ნედლეულის. თუ დასავლეთი არ დარწმუნდა იმაში, რომ აბრეშუმის გზის ქვეყნები, პირველ რიგში, კავკასია და ცენტრალური აზია არ იქნებიან სტაბილური, დემოკრატიული, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოები, მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობის შორეული იმედი იგი ალბათ ნაკლებად დაუჭერს მხარს ამ ძალზე ამბიციურ პროექტს. დასავლეთის რეალური პოლიტიკური მხარდამჭერა კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, სრულად აუცილებელია.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დერეფნის მონაწილე სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დერეფნის ეფექციონირება ძალიან ბევრ სარისკო (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სტრატეგიულ, კულტურულ) ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც კერძო კაპიტალს აიძულებს თავი შეიკავოს მასში მსხვილი ინვესტიციების ჩადებისაგან.

ამის გამო, სამხრეთ კავკასიის შიდაპოლიტიკურ კომპანიაციებში „აბრეშუმის გზის კონკრეტი“ ჯერ, სხვაინდელ კვრცის „როლსაც ვერასრულებს.

ჯერჯერობით მაინც, ალბათ უფრო ლოგიკური იქნება, თუ ევრო-აზიულ დერეფანს განვიხილავთ არა როგორც ერთ დიდ პროექტს, არამედ როგორც რამდენიმე შედარებით პატარა „დერეფნისაგან“ შემდგარ ცეცხლს. ამგვარ პატარა დერეფნებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ კოორდინაციას.

ექსტრარეგიონული სახელმწიფოების დაინტერესებას კავკასიით მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის გამოეყოფილი: ენერგეტიკულ რესურსებს, რეგიონის ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მდებარეობას, კავკასიაში პოტენციური დესტაბილიზაციის თავიდან აცილების სურვილს, რეგიონის სტორიულ ინტერესებს.

განვიხილოთ ამ სახელმწიფოების ინტერესები ცალკეულად:

აშშ

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში შემდეგნაირად ჩამოყალიბა:

1. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდამჭერა, რეგიონული სტაბილურობისათვის ხელშეწყობა;
2. დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების წახალისება;
3. არსებული კონფლიქტების მოგვარება;
4. რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება და ამ საქმეში ამერიკული კომპანიები-სათვის ხელშეწყობა.

რეგიონის შიგნით ამერიკის მოკავშირეებად თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო მიიჩნევიან, ე.წ. „ბაქო-ჯეიჰანის კოალიცია“. დამატებით ურთიერთობა აქვს აშშ-ს რუსეთთან, ძალიან ცუდი - ირანთან. რაც შეეხება აშშ-სომხეთის ურთიერთობების მიუხედავად განსხვავებული ინტერესებისა, ამერიკის სომხეთში ლობი უზრუნველყოფს აშშ-ის მიერ ხშირად პროსომხური პოლიტიკის გატარებას. ამის კარგი მაგალითია ცნობილი „მუხლი 907“. თავისუფლების მხარდამჭერის აქტის ეს მუხლი უკრძალავს აშშ-ს აზერბაიჯანის ხელისუფლებისათვის პირდაპირი დახმარების აღმოჩენას, მანამ სანამ აზერბაიჯანი სომხეთზე დანერგულ ბლოკადას არ მოხსნის. ეს მუხლი ძალიან აღიზიანებს როგორც აზერბაიჯანის ხელისუფლებას, ისე აშშ-ის ნაციონალსა და გაზის ბიზნესის წარმომადგენლებს და მათთან დაახლოებულ წრეებს. ყოველ წელს ისინი კონგრესის წინაშე ამ მუხლის გაუქმების საკითხს სვამენ, მაგრამ ყოველთვის წარუმატებელია.

ამისა და მიუხედავად, აშშ-ს აზერბაიჯანის ურთიერთობა მეტოპრულ ხასიათს ატარებს. ამერიკული კომპანიები კასპიის ზღვის ნავთობებსა და გაზის პროექტების უმსხვილეს ინვესტიციებში არიან. ბაქოს იმედო აქვს, რომ ადრე თუ გვიან, „დროშა მოყვება ვაჭრებს“ და აშშ-იც, რომელიც კავკასიას თავის სასიცოცხლო ინტერესების ზონად აცხადებს, აზერბაიჯანის აქტიური მოკავშირე გახდება.

აშშ-მა თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არაა, მათ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აქვთ. დიდი ხანია, თურქეთი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ნომრე პირველ მოკავშირედ და მისი ინტერესების გამტარებლად არის აღიარებული. ეს კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა თურქეთის რაიონის ალიანსმა.

აშშ-რუსეთის ურთიერთობები მუდმივი თემაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი მეგობრული არასოდეს ყოფილა თუ ცივი ომის შემდგომ მოკლე პერიოდს არ მივიღებთ მხედველობაში. ექსპერტთა აზრით, ამჟამად ორი ქვეყნის ურთიერთობაში შედარებითი ცივილების პერიოდი დადგა. რუსეთს ჯიუტად არ სურს ალიანსის ამერიკის გლობალური პეგემონია. თავისი ძლიერების დადასტურებას რუსეთი ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებზე ზეწოლით ცდილობს, რაც ამერიკის უპასუხოვლობას იწვევს. ორმხრივ უთანხმოებებს კიდევ უფრო ამკვეცებს აშშ-ის „ეროვნული სარაკტო თავდაცვის“ სისტემის შექმნის გეგმა. კავკასია ერთ-ერთი რეგიონია, სადაც ორმხრივი დაპირისპირება ყველაზე აშკარად იჩენს თავს.

აშშ-ირანის ურთიერთობებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ის ტერმინები, რომლებითაც მხარეები ერთმანეთს მოიხსენიებენ. ამერიკისთვის ირანი „ურჩი სახელმწიფო“ და საერთაშორისო ტერორიზმის ბუდეა, ხოლო თეირანი აშშ-ს „დიდი სატანად“ და „დეკადანის ბასტიონად“ მიიჩნევს. აშშ-ის პრეტენზიები ირანის მიმართ შემდეგია: ამ უკანასკნელის მისწრაფება მძიმბრივ განადგურების იარაღის (განსაკუთრებით, ბირთვლის) შექმნადად, ოპოზიცია ახლო აღმოსავლეთის ამშვიდობო პროცესისადმი და ტერორისტული ორგანიზაციების (პაშასი, ჰეზბოლა) მფარველობა. 1997 წლის შემდეგ გარკვეული დათბობა შეინიშნება, თუმცა ჭეშმარიტ შერიგებამდე ჯერ კიდევ დიდ გზაა.

აშშ-ს მეგობრული ურთიერთობები აქვს საქართველოსთან. ორმხრივი თანამშრომლობის მომავალი ალბათ მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ბაქო-ჯეიჰანი ნავთობსადენის ბედზე და საქართველოს შიდაპოლიტიკურ განვითარებაზე.

რაც შეეხება აშშ-ის ინტერესებს კასპიის ენერგეტიკულ სექტორში, აქ ერთდროულად რამდენიმე ასპექტი იჩენს თავს. ვაშინგტონს მაინაია, რომ ენერგიის წყაროების დივიზიონ ფიქრობდა შეამცირებს მის დამოკიდებულებას სპარსეთის ყურის აუზზე და მხარს უჭერს კასპიის აუზში ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდას. მიმოხილვების აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ის სურვილი წინ აღუდგეს რეგიონში რუსეთის ან ირანის გავლენის ზრდას და ამიტომაც იგი ცალმხრივად უჭერს მხარს ნავთობისა და გაზის დასავლეთის მარშრუტით ტრანსპორტირების გეგმას.

რუსეთი

რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაზე დიდი ხნის ისტორია აქვს. ამჟამად ფედერაციის ჩრდილო-კავკასიურ სუბიექტებში მიმდინარე კონფლიქტები და დაძაბულობები პირდაპირ გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიაზე.

რუსეთს მეგობრული ურთიერთობები აქვს ირანთან. ორი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ატომური ენერგეტიკის სფეროში, დაახლოებით მსგავსი პოზიცია აქვთ კასპიის ზღვის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით. მათ აერთიანებთ აგრეთვე წინააღდეგობა კავკასიაში აშშ-თურქეთის გავლენის ზრდის მიმართ.

დღეისათვის, რუსეთის ერთადერთი მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში სომხეთია. საქართველოსა და აზერბაიჯანს უფრო პროდასავლური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც რუსეთის სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს.

ყბადაღებულ „იმპერიულ ამბიციებთან“ ერთად, რუსეთს უფრო პრაგმატული საფუძველი აქვს სამხრეთ კავკასიაში პეგემონიის აღდგენაზე იზრუნოს. ჯერ ერთი, კავკასიაზე კონტროლი ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ხელთ აღმოჩნდება კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რესურსების სატრანზიტო გზებზე კონტროლი. ეს კიდევ უფრო გააძაქრებს მის პოზიციებს ცენტრალურ აზიაში.

მეორეც, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსალოდნელი პერმანენტული არასტაბილურობის პირობებში, ამ რეგიონის შესაზარუნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანზე კონტროლს, ამ მიზნის უზრუნველყოფას, რომ ორივე ეს ქვეყანა ნეიტრალური დარჩება ახლანდელი და მოსალოდნელი კონფლიქტების მიმართ.

მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ფაქტორიც. ბრძოლა გასაღების ბაზრებისა და მილსადენებისათვის საკმაოდ გამწვავდა და მასში რუსეთი და აზერბაიჯან-საქართველო სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

სტრატეგიული თვალსაზრისით, აშშ-ის ან თურქეთის კავკასიაში „გამაგრება“ სერიოზული დარტყმა იქნება ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ამბიციებისათვის და ამავე დროს, საბოლოოდ დადასტურებს რუსეთის დასუსტებას.

ამჟამად რუსეთს აქვს 4 სამხედრო ბაზა საქართველოში, 1 სომხეთში და ერთი სარადადო პუნქტი აზერბაიჯანში. მაგრამ მისთვის კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედების ყველაზე საიმედო საშუალებას ეთნოკონფლიქტები წარმოადგენს: მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის. საქართველო ყველა დონეზე აღიარებს, რომ ამ ორი უკანასკნელი კონფლიქტის გადწყვეტის გასაღები რუსეთში დევს. უფრო ნაკლები ხალისით, მაგრამ ამას აზერბაიჯანშიც აღიარებენ.

სამწუხაროდ, ჯერ ჯერობით რუსეთი კავკა-

სიაში კონსტრუქციულ როლს არ ასრულებს. რაც ძალზე ნეგატიურად მოქმედებს აქ მიმდინარე პროცესებზე. არადა, სიცოცხლისუნარიანი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება რუსეთის მონაწილეობის გარეშე ძნელი წარმოადგენია.

თურქეთი

თურქეთის დაინტერესება კავკასიით ასევე მრავალი ასპექტი გააჩნია. დამოუკიდებლობის სანყის ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შიშობდნენ, რომ პანთურქისტული იდეებით განხლებული თურქეთი შესაძლოა მათთვის საფრთხედ ქცეულიყო. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ თურქეთს შეუძლია რეგიონულ განვითარებაში ძალზე დადებითი როლი შეასრულოს, როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან და მკავშირებელმა რგოლმა და, გარკვეულწილად, განვითარების მოდელმა. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, კავკასიის ქვეყნებმა შეიძლება ისარგებლონ თურქეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარებით და ექსპანსიით. თურქეთის ევროკავშირში შესაძლო განვითარება კავკასიისათვის ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს.

თურქეთის ურთიერთობებზე კავკასიის ქვეყნებთან ზემოთ უკვე იყო საუბარი და ამიტომ მასზე ახლა აღარ შეგჩერდებით.

ირანი

ყოფილი საბჭოთა კავშირის ისლამური ტრადიციების მატარებელ რეგიონში ირანი და თურქეთი მეტოქეების როლში გვევლინებიან. უნდა ითქვას ისიც, რომ პოსტსაბჭოური მუსლიმური რესპუბლიკებისათვის თურქეთს სახელმწიფო მონყების სეკულარული მოდელი გაცილებით უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე ირანული ისლამიზმი. ამის გამოც, ირანის პოზიციები ამ სივრცეში უფრო სუსტია, ვიდრე თურქეთის. თურქეთის კავშირი აშშ-თან კიდევ უფრო ძაბავს ორმხრივ ურთიერთობებს. საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ირანს კორექტული, მაგრამ არც თუ ისე ბილი დამოკიდებულება აქვს. მისი რეალური მოკავშირე კავკასიაში სომხეთია. სომხეთ-ირანის ურთიერთობები სულ უფრო ღრმავდება, რისი დადასტურებაცა ინფრასტრუქტურის განვითარების ერთობლივი პროექტები, ვაჭრობის ზრდა (სომხეთისათვის ირანი მთავარი სავაჭრო პარტნიორია), ხშირი ოფიციალური ვიზიტები და სხვ.

ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობაში განსაკუთრებული თემა ირანში მცხოვრები 15 მილიონი (სხვა წყაროებით 20-22 მილიონი) აზერბაიჯანელის საკითხი. ამჟამად ისინი „ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების“ რაიმე სურვილს არ ამჟღავნებენ და საკმაოდ კარგად არიან ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში. მაგრამ თეირანი მაინც შიშობს, რომ არდებილში,

თავიზსა და რეზაიში (ირანის აზერბაიჯანული პროვინციები) შესაძლოა სეპარატისტულმა ტენდენციებმა იჩინონ თავი. მოქმედებს „სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტი“, მაგრამ მისი გავლენა საკმაოდ სუსტია.

საუფრადღებოა, რომ ირანში მცხოვრები უზარმაზარი აზერბაიჯანული დიასპორის ფაქტორი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ირანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში პრო-აზერბაიჯანული, ან თუნდაც ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა, რაც გარკვეულწილად ირანელი აზერბაიჯანელების „ისტორიული სამშობლოსადმი“ ამბივალენტურობას მოწმობს.

ევროკავშირი

პოლიტიკური თვალსაზრისით ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით აქტიური არ ყოფილა. მისი მონაწილეობა ძირითადად სატრანსპორტო პროექტების დაფინანსებით (ტრასეკა, ენოგეტიკი), ჰუმანიტარული ინიციატივებით და კონფლიქტის მოწაწილ მხარეებს შორის დიალოგის მხარდაჭერით შემოფარგლებოდა.

კავკასიის სტაბილურობის პაქტი

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით აქტუალურია ევროპის პოლიტიკური კვლევების ცენტრის მიერ შემოთავაზებული კავკასიის სტაბილურობის პაქტის იდეა. ქვემოთ მოგვყავს ამ პაქტის ფაქტორების ძირითადი მოსაზრებები.

XI საუკუნეში ევროპა მოქსერიგებულ საზღვრებით, დარეგულირებული ურთიერთობებით, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობარობით და საერთო, მშვიდობიანი განვითარების მძლავრი პერსპექტივით შედის. რეგება სულ რამდენიმე რეგიონი, რომელიც ამ საერთო სურათს არ ესაზღვრება. პირველ რიგში ესაა ბალკანეთი, რომელიც კონტინენტზე დესტაბილიზაციის უპირველეს წყაროდ განიხილებოდა. მრავალი სხვადასხვა საერთო ძალისხმევით ბალკანეთზე ვითარების დეესკალაცია და კონფლიქტთა შემდგომი განვითარების მქონე თუ არა, შეკავება მაინც მოეჩინა.

ევროპის მოქსერიგებულ გეოპოლიტიკურ რუკაზე რჩება ფაქტობრივად ერთადერთი რეგიონი, რომლის სტაბილურობაც კვლავინდებურად დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას - ესაა კავკასია.

XI საუკუნის ევროპის საზღვრები ძირითადად გარკვეულია. 1999 წლის რუსეთმა განაცხადა, რომ იგი საკუთარ თავს ევროკავშირის სრული ან ასოცირებული წევრობის კანდიდატად არ განიხილავს. იმავე თვეში გადამწადა განცხადება ირანის თაობაზე ლატვიასთან, ლიეტუვასთან, გერმანიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, მალტასთან და კვიპროსთან მოლაპარაკებების

დაწყება. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები ევრო-კავშირის პოტენციურ წევრებად მიიჩნევიან. გაურკვეველია უკრაინის საკითხი. მართალია, საუბრობენ „უკრაინის ევროპულ არჩევანზე“, მაგრამ ევროკავშირში უკრაინის წევრობის საკითხი ჯერ დღის წესრიგში არ დგას.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1999 წლის პელსინის სამიტზე თურქეთის ევროკავშირის წევრობის კანდიდატად აღიარებას. მართალია, სრულ წევრობამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ კანდიდატად აღიარება ცერემონიულ პოლიტიკურ ფაქტს წარმოადგენს, რომელიც თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე დადებით გავლენას იქონიებს.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დგება კავკასიის საკითხი. ჩრდილოეთი კავკასია რუსეთის შემადგენელი ნაწილია და ამას ევროკავშირიც აღიარებს. ევროპა არ არის დაინტერესებული ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა სუბიექტების დამოუკიდებლობაში.

რაც შეეხება იმას, შედის თუ არა სამხრეთ კავკასია ევროპის შემადგენლობაში, საქართველოში დიდი ხანია საუბრობენ ქვეყნის ევროკავშირში შესაძლო განცხადების პერსპექტივის თაობაზე. მსგავსი მოთხოვნები, ოღონდ უფრო მოკრძალებული, სომხეთშიც ისმის. ჯერჯერობით ევროკავშირი არ იძლევა რაიმე პასუხს, მან უახლოეს წლებში ჯერ კიდევ ბევრი ახალი წევრი უნდა „მოიწილოს“, მაგრამ როდესაც საუბარია საქართველოსა და სომხეთზე, როგორც წესი, აღიარებენ, რომ ეს ქვეყნები, შესაძლოა, იყვნენ ევროპული იდეალების მატარებლები. აზერბაიჯანსაც კი, რომელიც ამ თვალსაზრისით, ყველაზე შორსაა ევროპისაგან, უნდა რაღაც შესწავლა, თუ თურქეთი ევროკავშირის წევრი გახდება.

აქამდე ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში მაინცდამაინც აქტიური არ ყოფილა, „დასავლეთის მხარეს“ აქ აშშ წარმოადგენდა. თუმცა, თუნდაც გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, ევროკავშირის აქტიურობას კავკასიაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება ამ რეგიონში თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთვის, რაც სტაბილიზაციის გარანტად უნდა იქცეს.

კავკასიაში სტაბილურობის დამყარება მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი ქვეყნების სტრუქტურულ კონსტიტუციულად თანამშრომლობის რეგიონში მშვიდობის დამყარებისათვის. დღევანდელი თვალთახედვით, ეს შორეულ პერსპექტივად ჩანს. რუსეთის არჩევნებმა, რომლებმაც ნაციონალისტურ ტალღაზე ჩაიარა, ახლანდელი რუსეთის მთავარი ლოზუნგები - ღირსება, ერთიანობა, ძლიერი რუსეთი, მონოპოლარული მსოფლიოს უარყოფა - გამოააშკარა. ევროკავშირის გაფართოებასთან და ინსტიტუციურ ადაპტაციასთან დაკავშირებით

ბევრი პრობლემა აქვს და თანაც ბალკანეთის საკითხიც საბოლოოდ არ მოუგვარებია. აშშ-ს, რომელიც კავკასიაში დასავლეთის წარმომადგენს, ამჟამად რუსეთთან რთული ურთიერთობა აქვს და, ამასთანავე, წინასწარჩვენი პერიოდში იმყოფება.

ამგვარი წონასწორობის პირობებში კონსტიტუციული თანამშრომლობა ძნელად მისაღწევია, მაგრამ არასრულიად შეუძლებელ ამოცანად ჩანს. უკვე დაიწყო იმ ფორმულის ძიება, რომელიც ყველა მხარისათვის, მათ შორის რუსეთისთვისაც, მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ საერთო-ევროპული ტენდენციაც - კონტინენტის ყველა სუბრეგიონი, კავკასიის გარდა, სახელმწიფოთშორის თანამშრომლობაში მრავალი ფორმით აქტიურად იმყოფება.

კავკასიაშიც უკვე საკმაოდ ხშირად გაისმის მოწოდებები სუბრეგიონული თანამშრომლობის რაიმე ფორმის გამოცდების თაობაზე. უკანასკნელი ინიციატივა თურქეთის მაშინდელ პრეზიდენტ სულეიმან დემირელს ეკუთვნოდა, რაც მან 2000 წლის იანვარში, თბილისში ვიზიტისას წამოაყენა. კავკასიაში სტაბილურობის პაქტის მისეული იდეა ჯერჯერობით ძალზე ზოგადი ფორმითაა წარმოდგენილი.

უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში პრეზიდენტი შევარდნაძეც აქტიურად გამოდის რეგიონული სამშვიდობო ინიციატივებით.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანი ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე გამოვიდა მოწოდებით რუსეთის, თურქეთის, ირანისა და სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს მონაწილეობით რეგიონული უსაფრთხოების სისტემა შეიქმნას.

საყურადღებოა პრეზიდენტ ალიევის სიტყვებიც: „XVI საუკუნეში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ყოველგვარი კონფლიქტისა და კონფრონტაციისგან თავისუფალი უნდა იყვნენ. მათ უნდა მიიღონ მშვიდობისა და უსაფრთხოების საკუთარი პაქტი, გარეშე ძალების ამბიციების გაუთვალისწინებლად. მესამე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებმა კავკასია უნდა დატოვონ“.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კავკასიური თანამშრომლობის ფორუმის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რაც აშშ-ის, ევროკავშირის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, საგანმანათლებლო, ენერგეტიკულ და სამეცნიერო საკითხებში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ევროკავშირიც უწყობს სამსახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განვითარებას და მხარს უჭერს რეგიონული მნიშვნელობის ისეთ პროექტებს, როგორიცაა „ტრასეკა“, „ინოვაციები“ და სხვ.

გარკვეული დიალოგი რუსეთთან და თავად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის დღეს ფარგლებში მიმდინარეობს.

როდესაც საუბარია ზემოხსენებული

ურთიერთობებისათვის რაიმე ინსტიტუციური ჩარჩოს გამოძებნაზე, ყველაზე ხშირად ტერმინ „სტაბილურობის პაქტი“ ხმარობენ, რაც ბალკანეთთან აშკარა ანალოგიას წარმოადგენს და, შესაძლოა, კავკასიისათვის სავსებით მისაღები არ იყოს.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის რამდენიმე ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც ევროპაში იქნა აპრობირებული და კავკასიაში მათი გადმოტანის შესაძლებლობა.

ბალადურის სტაბილურობის პაქტი - მოდელი 1

აღნიშნული ინიციატივა სპეციფიურობითა და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებით გამოირჩეოდა. არსი მდგომარეობა შემდგომში: ცენტრალურ და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები სპეციალურ ფორუმებს ქმნიან, სადაც მოუგვარებელ საკითხებს განიხილავენ, მაგალითად საზღვრების, ანეთნიკური უმცირესობების საკითხებს, განსაკუთრებით, როდესაც ერთი სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობა მეორე სახელმწიფოს სატიტულო ერს წარმოადგენს (მაგალითად უნგრეთში საკითხი რუმინეთში). ამგვარი ფორუმები ან მრგვალი მაგიდები მსოფლიო დონეზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობით იქმნება. მოლაპარაკებებზე მიღწეული შედეგები შიდასახელმწიფოებრივ ან სახელმწიფოთაშორის საკანონმდებლო აქტებში აისახება. თითოეულ ამგვარ საკანონმდებლო აქტს ევროკავშირი როგორც ან ორგანიზაციის წევრობისაკენ გადადგმულ მორიგ ნაბიჯს განიხილავს. ეს კანდიდატი სახელმწიფოთა თანამშრომლობისათვის ძირითად სტიმულს წარმოადგენს.

კავკასიის სახელმწიფოებისათვის სტიმულის როლი შეიძლება არა განეკუთვნებოდეს პროცესის დაქარავებამ (რამდენადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები არ განიხილებიან ეკ-ის წევრობის კანდიდატებად), არამედ ეკ-ის საფინანსო-ეკონომიკურმა დახმარებამ შესარულოს. ევროკავშირთან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებები კონფლიქტების მოგვარებაში მიღწეულ პროგრესს ეკონომიკურ დახმარებასა და თანამშრომლობას უკავშირებს. საუბარია ოთხ მთავარ კონფლიქტზე: აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი და ჩეჩნეთი.

ბალკანეთის სტაბილურობის პაქტი - მოდელი 2

იგი სტრუქტურულად უფრო რთულია და თავისი არსით უფრო ომის შემდგომი დარეგულირების მცდელობას, ვიდრე პრევენტიული დიპლომატიის მექანიზმს წარმოადგენს.

აღნიშნულ ინიციატივაში ევროკავშირის წევრობის კანდიდატები, ორი „საერთაშორისო

პროტექტორატი“ (ბოსნია კოსოვო), კვაზი-სახელმწიფოებრივი ერთობები (კოსოვო, ჩერნოგორია (მონტენეგრო)), საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობენ. არ მონაწილეობს სერბია (თუმცა, არის კონტაქტები ოპოზიციის ლიდერთან).

პაქტის ფარგლებში მრავალმხრივი, მეგა-შეხვედრები, მონაწილეთა დიდი რიცხვით მიმდინარეობს. მონაწილეობენ რეგიონის სახელმწიფოები, ეუთო-ს წევრები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ნორმატიულ ტექსტებს ეუთო-ს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გამოცდილება უდევს საფუძვლად. შეხვედრების დღის წესრიგში ბრიუსელში მზადდება.

პაქტს რაიმე სამხედრო ძალა ან საფინანსო რესურსები არ გააჩნია, თუმცა, ხანდახან დონორთა კონფერენციებს იწვევს. ძირითადი ამოცანაა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა წაახლოს და ტრანზიციის პროცესს შეუწყოს ხელი.

კავკასიაში ამგვარი პაქტის მონაწილეებად რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი, ევროკავშირი და შეერთებული შტატები წარმოგვიდგებიან. ისინი ქმნიან ბირთვს, თუმცა, სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები ღია უნდა იყოს სხვა მონაწილეებისთვისაც, როგორცაა ევროკავშირის სახელმწიფოები, შავი და კასპის ზღვების სხვა ქვეყნები.

კავკასიაში სტაბილურობის პაქტი (კსპ), ბალკანური ანალოგიისაგან განსხვავებით, მონაწილეთა რაოდენობით შედარებით შეზღუდული იქნება. ორგანიზაციის სიდიდე და დღის წესრიგი შეიძლება ბისკუსიის წინაგავლედ. დღის წესრიგი ყოველს მომცველი არ არის. მიზნები და მათი განხორციელების საშუალებები საკმაოდ მოკლებულია. შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული კავკასიური თანამშრომლობის ფორუმის ინიციატივაც ძირითადად იგივეს გულისხმობს. ამგვარი ფორუმი ან პაქტი გარკვეული შედეგების მიღწევას ალბათ შეძლებს, მაგრამ არსებული ვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ვერ იქონიებს.

შეიძლება განვიხილოთ კსპ-ში სუბსახელმწიფოებრივი წარმომადგენლობის საკითხიც. საუბარია რუსეთის არამარტო ჩრდილოეთ კავკასიური რესპუბლიკების, არამედ კრასნოდარის, სტავროპოლისა და როსტოვის მონაწილეობაზეც. ამგვარი თანამშრომლობის მაგალითი ბარენცის ზღვის რეგიონში უკვე არსებობს, სადაც რუსეთის ფედერაციის სუბიექტები ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებთან და მათ რეგიონებთან პირდაპირ ამყარებენ კავშირს.

მოკლედ, თუ მოხდება ბალკანეთში სტაბილურობის პაქტის გადართვა კავკასიაში, საჭირო იქნება მისი მნიშვნელოვნად შეკვეცა როგორც მონაწილეთა რაოდენობის, ისე დღის წესრიგის, მიზნებისა და ამოცანების მხრივ. კსპ უფრო სპეციფიური და შედეგებზე ორიენტირებული

უნდა იყოს.

არსებობს საშიშროება, რომ კსპ, რომელიც ძალის, საფინანსო რესურსებისა და საერთაშორისო ჩარევის მხრივ შეზღუდული იქნება, რიგით კონფერენციად იქცევა.

ვირტუალური წევრობა ეკ-ში და პოსტთანამედროვე სტრუქტურები - მოდელი 3

ტერმინი „ვირტუალური წევრობა“ უკანასკნელ დროს შემოვიდა ხმარებაში და გამოყენება იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ეკ-ის წევრობის ძირითად კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ (ან მომავალში დააკმაყოფილებენ), მაგრამ მათი განცხადება ერთი ან მეორე მხარისათვის პოლიტიკურად მიუღებელია (ნორვეგია). ასეთი ქვეყანა საერთო ბაზარში მონაწილეობს, მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის პარმონიზაცია, ეხმარება საერთო ეკონომიკურ და ფულად სივრცეში განვითარების ევროპეტივას, მაგრამ პოლიტიკურად, ქვეყანა ევროკავშირის გარეთ რჩება.

ასეთი სტატუსი ბალკანეთისა და შემდგომში კავკასიის ქვეყნებისათვის, შესაძლოა, ძალზე სასურველი იყოს. იგი შეიძლება მოიცავდეს თავისუფალ ვაჭრობას ან საბაჟო კავშირს ეკსთან, ევრო-ს შემოღებას იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული ვალუტა სუსტია, მონაწილეობს ევროპის სწრაფი რეაგირების ჯარებში, თანამშრომლობას კანონის დაცვაში და ასე შემდეგ. მოკლედ, ქვეყანა იურიდიულად არ არის ევროკავშირის წევრი, თუმცა კი წევრობის ბევრი პრივილეგიით სარგებლობს. მოდელი ეკ-ის სხვადასხვა ინსტიტუტებთან და სააგენტოებთან სპეციალურ ურთიერთობებს მოიცავს.

ამგვარი იდეები დღევანდელ მიღებულ ნორმებსა და პრაქტიკას ცილდება, მაგრამ ევროკავშირის გრძელვადიან მიზნებს სასებით შეესაბამება. სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ აღბანეთთან და მაკედონიასთან შეთანხმების პროექტები ამგვარი მიდგომის რეალიზაციის მაგალითებს წარმოადგენენ. მართალია, შეთანხმების მიზნები და ჩარჩო საკმაოდ მოკრძალებულია, მაგრამ იგი აშკარად წარმოადგენს ნაბიჯს შემდგომი ინტეგრაციისაკენ და შეიძლება დაემატოს იმ „პროზს“, რომელსაც ბალადურის მოდელი ითვალისწინებს.

სრულიად დასაშვებია, რომ სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთანაც დაიდოს, რაც ამ სახელმწიფოებისთვის არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად დამატებით და მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

კავკასიური განზომილება - მოდელი 4

„კავკასიური განზომილება“ ასოცირდება „ჩრდილოეთ განზომილებასთან“, რაც სასაზღვრო

რაიონებში (მაგალითად, ფინეთში) რუსეთ-ევროკავშირის მჭიდრო და კეთილშობილურ თანამშრომლობას გულისხმობს.

ამგვარი მოდელი გულისხმობს, რომ თურქეთი ეკ-ის წევრი გახდება და კავკასია რუსეთსა და ეკ-ს შორის სასაზღვრო რეგიონად იქცევა. ამ მოდელის მომხრეთა აზრით, საერთო ინტერესები, როგორცაა უსაფრთხოება სასაზღვრო რაიონებში, თანამშრომლობა საზღვრის დაცვაში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ექსტრემიზმისა და ფუნდამენტალიზმის შეკვეცა, თანამშრომლობა ეკონომიკური შედეგები (აქ უნდა გავითვალისწინოთ თურქეთის განსაკუთრებული ეკონომიკური დინამიზმი) „გადაწონის“ წინააღმდეგობას.

ამ მოდელის მიხედვით მიღსაძვრების დივერსიფიცირებისა და საბაზოების ათვისებაში რუსეთის, „წილის“ ზრდის გზით თანამშრომლობა რეალურად ჩანს ენერგოპოტენციალში.

მოსალოდნელია ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობა საზღვრის დაცვის საკითხშიც (საუბარია საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე).

მოვლენათა ამგვარი განვითარება გულისხმობს რუსეთსა და ეკ-ს შორის უაღრესად მგობრულ ურთიერთობებს. აგრეთვე რუსეთის მხრიდან იმის აღიარებას, რომ ერთადერთ ალტერნატივას ჩრდილოეთ კავკასიის (შესაძლოა სამხრეთ რუსეთის) გაღარიბების, კრიმინალიზაციისა და კონფლიქტებისათვის წარმოადგენს რუსეთ-თურქეთის მჭიდრო თანამშრომლობა. ამგვარი თანამშრომლობა ამ უკანასკნელის სწრაფი ეკონომიკური განვითარება და ექსპანსია უდევს საფუძვლად.

ბუნებრივია, რომ ამ მოდელისათვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ჩეჩნეთის კონფლიქტი, რომელიც სასაზღვრო რაიონებში დამაბულობასა და უნდობლობას მნიშვნელოვნად ზრდის. საჭირო იქნება აღნიშნული კონფლიქტის ისეთი ფორმით გადაწყვეტა, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღებად როგორც ეკ-ისათვის, ისე რუსეთისათვის, რაც ძალზე ძნელად მისაღწევ პერსპექტივად ჩანს.

პაკეტი კავკასიისათვის

ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე მოდელს თავისი უპირატესობა აქვს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა გათვალისწინებული ისეთი ერთი, მრავალმხრივი და ფუნქციონალური ვითარებისათვის, როგორცაა კავკასია. მართალია ტერმინი „კავკასიის სტაბილურობის პაკტი“ იმედის მოცემად ედრის, ბალკანეთის პაქტის ადაპტირებული ვერსია კავკასიისთვის საკმარისი არ იქნება. ქოლგა სტრუქტურა, რომელიც კავკასიაში სერიოზულად ჩართულ ყველა ძალას აკავშირებს, შეიძლება ნაწილობრივ გადმოღებული იქნეს ბალკანეთის პაქტიდან, მაგრამ იგი უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული რეგიონულ

თანამშრომლობაზე და უფრო შეკვეცილი მონაწილეთა რაოდენობის მხრივ.

ბალადურის პაქტიდან კავკასიაში შეიძლება გადმოვიტვიფროთ პაქტისტიკა ეთნიკურ-პოლიტიკურ საკითხებზე და სტიმულირება ევროპულ ინტეგრაციაში უფრო ღრმად ჩართვის გზით. კავკასიის პოლიტიკური მონაწილის ფორმები შეიძლება თანამედროვე ევროპული გამოცდილებით (ბელგია, ჩრდილოეთ ირლანდია) გამოედრეს. რაც შეეხება „ჩრდილოეთური განზომილების“ გადმოტანას კავკასიაში, ეკ-რუსეთის თანამშრომლობის პოზიტიურ ასპექტებზე და ტერორიზმის, ფანატიზმისა და კრიმინალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე შეიძლება ფოკუსირება. ევროპა უნდა გამოიყენოს თურქეთის პოტენციალი, როგორც მზარდი, ექსპანსიური ეკონომიკისა და ზომიერი, სეკულარული ისლამის ქვეყნის.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საუკუეთესო კომპინაცია იქნებოდა პირველი მოდელის გამოყენება მესამე და მეორე მოდელიდან გარკვეული ელემენტებით და ყურადღების გამახვილება მეოთხე მოდელის განახლებულ ვარიანტზე.

კავკასიის სტაბილურობის პაკტში განსაკუთრებული ადგილი უკავია „სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობას“.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული ინტეგრაცია

გამოყვეთ მხოლოდ პირობიტეტებს:

სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობა - სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში არსებითი როლს ითვს რეგიონის საშუალებას მისცემს შეიძულოს გრძელვადიანი რეგიონული ინტეგრაციის გეგმები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ევროკავშირთან კავშირების გაგრძელებას. სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა შეიძლება დააარსოს სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობა, ევროკავშირის დახმარებითა და ფინანსურ მხარდაჭერით, რომელიც დაეყრდნობა რეგიონული ინტეგრაციის მსოფლიო გამოცდილებას.

პირველი პირობიტეტი - უსაფრთხოება. სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს პოლიტიკური გადანაცვრტილებების მხარდაჭერის მიზნით რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობის შექმნაში, რომელიც დაფუძნებული იქნება უსაფრთხოების გარანტიებისა და მშვიდობის დაცვის საიმედო სისტემაზე. სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც უკვე დაწყებულია დსთ-ის, პარტნიორობა მშვიდობისათვის (PIP) და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში, უნდა წარმოადგენს უკიდურესად ფრთხილად აღნიშნული ინიციატივების განხორციელების შესახებ ინტეგრაციის საშუალებების გაზრდას. სამხრეთ კავკასიის

გაერთიანებამ უნდა უზრუნველყოს ამგვარი ქმედებების ინტეგრაცია რეგიონული უსაფრთხოების თანამშრომლობის რეგიონში. ამას მოჰყვება თანამშრომლობა სამოქალაქო უსაფრთხოების დარგში და დანაშაულებათა აღმოფხვრაში.

მეორე პირობიტეტი - ვაჭრობა. სამხრეთ კავკასიის გაერთიანება უზრუნველყოფს სავაჭრო პირობების დადგენას ბლოკადების მოხსნით, მძლავრი რეგიონული ინფრასტრუქტურული ქსელის შექმნით, რასაც ითვალისწინებს TRACEA-სა და INOGATE-ის პროგრამები და ეფექტური სასაზღვრო ადმინისტრაციის დაარსებით. ამას შეუძლია განაპირობოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან თავსებადი თავისუფალი სავაჭრო ზონისა და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური პოლიტიკის საბჭოს შექმნა.

ინსტიტუციური სტრუქტურა. სამხრეთ კავკასიის გაერთიანება შექმნის სამთავრობო საბჭოების სტრუქტურას (სავაჭრო საქმეთა, თავდაცვის, ეკონომიკის, შინაგან საქმეთა მინისტრები და სამიხის დონე); მთელი რეგიონიდან არჩეული წევრებისგან შემდგარ საპარლამენტო ასამბლეას; და არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქალაქო ასამბლეას; გარეთვე, პროფესიულ ასოციაციებს.

ეროვნული კავშირები სამხრეთ კავკასიის გაერთიანების განვითარებას დიდად შეუნყობს ხელს კავშირები ევროკავშირთან. სამხრეთ კავკასიის გაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის შესაძლებელი გახდება ევროკავშირის სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების დადება. შემდგომ პროგრამებს მძლავრი სამთავრობო და რეგიონული თანამშრომლობისთვის მხარს დაუჭერს უფრო და ევროპის საბჭო.

სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობა. სამხრეთ კავკასიის გაერთიანება განავითარებს თანამშრომლობას მის მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში არსებულ კულტურულად დაკავშირებულ სუბიექტებთან.

ალმანახი ინტეგრაციის ნაცვალად

სამხრეთ კავკასიის მომავლის „ინტეგრაციული“ ხედვა, გარეცხლებულია აზრით კავკასიის XIX საუკუნიდან პირდაპირ XXI-ში გადაყვანას ნიშნავს და ექსპერტთა ერთი ნაწილის შესედეულებით, ნაკლებად რეალისტურია. მაია აზრით, კავკასიაზე კიდევ დიდ ხანს მოგვიხდება მსჯელობა „ძალთა ბალანსისა“ და „რეალობიტიკის“ კონცეფციებით. ძალთა წონასწორობა კავკასიაში ორი დაპირისპირებული ალიანსის სახეს იღებს: ერთი მხრივ, რუსეთის სომხეთი და ირანი და მეორეს მხრივ თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. მეორე ალიანსის მხარდაჭერებად მოიაზრებიან აშშ, ევროკავშირი და გუშაობის ქვეყნები: უკრაინა, მოლდოვა და უზბეკეთი, ზოგიერთი მოსაზრებით, ისრაელიც. პირველი ალიანსის უკან კი ზოგიერთი



ექსპერტი თურქმენეთს, ინდოეთსა და ჩინეთსაც ხედავს.

ამგვარ შემთხვევაში, კავკასიაში სტაბილურობა მთლიანად იქნება დამოკიდებული გარე სახელმწიფოების, პირველ რიგში რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობებზე. საქართველოს „გადარჩენის სტრატეგია“ წარმოგვიდგენია როგორც ლავიერება ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. დასავლეთისაკენ საქართველოს ლტოლვას გარკვეულწილად, გაანეიტრალებს რუსეთის ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიცაა აფხაზეთი. ვფიქრობთ, ასეთ გეოპოლიტიკურ თამაშში საქართველოს შანსები, დაიბრუნოს აფხაზეთი, მცირეა. იგივე შეიძლება ითქვას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე.

ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ „თამაშში“ ერთი მხარის გადამწყვეტი გამარჯვება, რის შემდეგაც მეორე მხარე თამაშს დატოვებს. ამ შემთხვევაში საქარ-

თველოს, ისევე როგორც მთლიანად კავკასიის ბედი დამოკიდებული იქნება გამარჯვებულის ნება-სურვილზე.

დამინჯ, როგორი შეიძლება იყოს საუკეთესო გამოსავალი საქართველოსთვის? ვფიქრობთ, რომ ჩვენი ყველაზე აქტუალური პრობლემა სტაბილური სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში მდგომარეობს, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას გახდეს საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის წევრი.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ორი ფაქტორი, სტაბილური, დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში (რაც სატრანსპორტო დერეფნების ამოქმედებას, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვას გულისხმობს) უნდა გახდეს საქართველოს განვითარებისა და სტაბილურობის ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები, ალექსანდრე რონდელი, 3, სადისკუსიო წერილების სერი
2. A Stability Pact for the Caucasus, a consultative document of the CEPS Task Force for the Caucasus, Working Document No.145, Center for European Policy Studies, Brussels, Belgium
3. *Unlocking the Assets: Energy and Future of Central Asia and the Caucasus. A Political, Economic, and Cultural Analysis, prepared by: James A. Baker III Institute for Public Policy, Rice University, April 1998*
4. Iran and the Caucasus, Svante E. Cornell, *Middle East Policy*, Volume 5, Number 4, January 1998
5. Caucasus: Analysis – Seeking Security for the South, Henry Tamrazian, *RFERL report*, June 9, 2000
6. Turk deputy PM says Russia Destabilizing Caucasus, *REUTERS*, May 23, 2000
7. Approaches to the Stabilization of the Caucasus, Michael Emerson *Caucasian Regional Studies*, Vol.5, Issue '1&2, 2000
8. Aid Cuts threaten Caspian Strategy, Simon Taylor, *from: http://www.eubusiness.com/easteuro/990705ev.htm*
9. Prospects for the Stability Pact for the Caucasus: Some Preliminary Speculations, Sergiu Celac, *Center for European Policy Studies*, Brussels, Belgium, 27-28 January, 2000
10. Caspian Hydrocarbons, the Politization of Regional Pipelines, and the Destabilization of the Caucasus, Terry Adams, *Caucasian Regional Studies*, Vol.5, Issue '1&2, 2000
11. Political Entities in the Southern Caucasus and their Cooperation. The Influence of Internal Tensions, Intensified by Outside Interests and Conflicts, Dietrich Sperling, *Marco Polo Magazine*, 4-5/99
12. A Regional Security System for the Caucasus, Bruno Coppieters, *Caucasian Regional Studies*, Vol.5, Issue '1&2, 2000
13. Ajaria, the Russian Military in Georgia, and Stability in the South Caucasus, Robert M. Cutler, published by: Central Eurasia Project, Open Society Institute, Soros foundation, January 29, 2000
14. The Place of Caucasian States in Eurasian Strategic Alignments
Svante E. Cornell *Marco Polo Magazine* 1/99
15. Revival of Great Silk Road, Abduqani Mamadazimov *Marco Polo Magazine* 2/99

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მასმედიასა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვინვეთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისისა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

- საზოგადოება და დემოკრატია
- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება
- საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება
- ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ✦ კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- ✦ კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- ✦ საქართველოს ტერიტორიული მონეების შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ✦ ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ✦ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- ✦ თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- ✦ შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ✦ ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის ღონისძიებები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“.

ცენტრის მხარდამჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალკეული ღონისძიებების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალტინგი (Zenith Gamma Consulting)

მხარდამჭერობით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ
თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვანდოთ
ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საშინაო მითითებული დაინტერესებულ პირებს დაგებად
ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33, ბინა 22.

ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711

ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net

<http://www.csrdg.caucasus.net>

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გაეხდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდამჭერობით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

8